ლიტერატურული გაზეთი

№20 (156) 30 ოქტომბერი - 12 ნოემბერი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ეკა ქევანიშვილი

მეგობრის მამა ადგა და მოკვდა

იმ დღეს,
მეგობრის მამა ადგა და მოკვდა.
მანამდე დიდხანს იავადმყოფა, წასასვლელად კი შეარჩია შემოდგომის
ერთი შუადღე. თბილი, უნისლო.
წავედით მე და ჩემი კაცი მკვდარ მამასთან ცოცხალი შვილის სანახავად.
ლიფტით ავედით.
თუმცა მანამდე ცოტა ვიდავეთ — ფეხით თუ,
მაინც სართულია მეექვსე და მოდი, არ გვინდა.
და როდესაც კარი გაიხსნა — თითქოს სცენაზე ამიცდა ფეხი,
კაშკაშა შუქში ჩემი როლი გამოაცხადეს, ერთსიტყვიანი.
მივუახლოვდი ჩემს მეგობარს.
ის, როგორც წესი, იდგა კარში და გზას გვითმობდა მკვდარი მამისკენ.
მისი მხრისკენ წავიღე ხელი და „გამაგრდი“, სასულედან ამოვახვიე.
მერე ცოტა ვილაპარაკეთ:
სიკვდილი რომ ზოგჯერ შვებაა.
მამები რომ უნდა წავიდნენ და ჩვენ დავრჩეთ...
დავიმშვიდეთ თავები და, პანაშვიდიც ამით დასრულდა.
კიბეებზე ფეხით დავეშვით და რატომღაც გამახსენდა
წარწერა ლიფტში:
მეექვსე სართულზე გარდაიცვალა ესა და ეს.
ვკრძალავთ სამშაბათს, ლიფტი — უფასოა.
როგორც სიკვდილი —
გავიფიქრე და მამაჩემს დავურეკე.

სიკვდილს ებარებოდეთ

მე მეგონა, როცა ბებერი პოეტები სიკვდილზე წერენ, ისინი ბოდავენ.
ტვინი წაიღეს, დიახ, ასე აგდებით ვფიქრობდი მათზე,
როცა სიკვდილს უძღვნიდნენ ოდებს.
ნაირნაირ სამოსს აცმევდნენ — ხელში ცელს და შავ მანტიას აჩეჩებდნენ,
ხან სიზმარში შემოჰყავდათ,
ხანაც ცხადში ამარცხებდნენ სიკვდილს — ლექსებში.
რას დაათრევენ ამ მკვდრებს, ვამბობდი.
რატომ ერთხელ და სამუდამოდ არ დამარხავენ.
რატომ სურთ, რომ ლამაზი იყოს აღსასრული —
მაინც ვერაფერს იგრძნობენ და დაინახავენ.
ვფიქრობდი, რა საჭიროა ელაპარაკო მას,
ვისაც მიჰყავხარ სახლიდან და გდებს მიწაში.
ვისაც სულ არ აინტერესებს, რამდენი რამე დაგრჩა ჯერ კიდევ მოსასწრები.
რა აზრი აქვს ზავს სიკვდილთან, თეთრი ალმის გადმოკიდებას?
და ერთხელ, როცა მეც დავწერე ჩემს მომაკვდავ სიყვარულზე,
ჩემს გვამ სიყვარულზე,
ჩემს საწყალ სიყვარულზე,
პასუხი აღმოჩნდა ბანალური:
წერ იმაზე, რაც ყველაზე ახლოსაა.
ამიტომ, ბოდიში.
სიკვდილს ებარებოდეთ, ბებერო პოეტებო.

შოთა იათაშვილი

პირსახოცი

აბაზანაში თანდათანობით,
ერთის გარდა,
ჩამოიმტვრა ყველა საკიდი.
და იქ მხოლოდ
ერთადერთი პირსახოცი
ჰკიდია ახლა.
და ყოველთვის,
როცა შევდივარ აბაზანაში,
და გამოსვლისას
ხელ-პირს ვიმშრალებ,
შენ გგრძნობ ხოლმე —

ვგრძნობ, რომ რაღაც საერთო დაგვრჩა.

ნინო სადღობელაშვილი

* * *

სულ შენ მოდიხარ
და ინგრევა თეთრი ქაღალდი.
სიცარიელე ნაბიჯების ხმაზე გუგუნებს.
სულ შენ მოდიხარ,
ვთენდები თუ როცა ვაღამებ
და მზე სტკივა დედა-უკუნეთს,
მე არ ვიძვრი. სულ შენ მოდიხარ.

სულ შენშია
ჩემი სული, ჩემი საბადო.
ვემორჩილები ფოთოლცვენას და გაზაფხულებს,
რამდენჯერ გულის კლდეებიდან ცეცხლი ავარდა,
კრთოდა სამყარო მოლოდინით გადაზაფრული,
სულ შენშია
ჩემი ცეცხლი,
რასაც ვუყურებ.

სულ შენ მოდიხარ,
მე კი ისევ მიწაში ვწევარ.
მოჰყვები ხეებს ნამის რუდ და
ფარდებს — ნიავად,
ეს სინანული ამისრულე — სიცოცხლის ჩვევა:
მკვდარიც რომ ვიყო,
მაინც მოდი,
აქ ვარ. ღია ვარ.
ადამიანი დგას, არ იძვრის.
სულ შენ მოდიხარ.

პაატა ნაცვლიშვილი
„„ია აი““
ღია პასუხი
როსტომ ჩხეიძეს
II-III

იოჰან ვოლფგანგ გოეთე
სამი სცენა „ფაუსტიდან“
VIII-X

ლუკა ბაქანიძე:
„ფრენა
არ მეხერხება“
XV

„გორი, აგარა, ქარელი, სკრა“ ანუ „„ია აი““

ღია პასუხი როსტომ ჩხეიძეს

ჩემო როსტომ,
როსტომ ჩემო,

დიდი მადლობა უნდა გითხრა შენი კეთილი გამოხმაურებისთვის „ლიტერატურული გაზეთის“ 4 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ ჩემს ოპუსზე, რაც სწორედ ისე მივიღე, როგორც მწერ – „ექსპერიმენტთა თავისებურ აპოლოგიად, ექსპერიმენტატორული დაუმცხრალობის შეგულიანებად“. გთხოვ, შენი მხრივ, ჩემი ეს პასუხიც ჭეშმარიტი კრიტიკის თავისებურ აპოლოგიად, კრიტიკული დაუმცხრალობის შეგულიანებად მიიღო.

შენმა ღია ბარათმა საბაბი მომცა, იმ ოპუსის ერთგვარი წინაისტორია და ზოგიერთი თავისებურება განმემარტა დაინტერესებული მკითხველისთვის. განა არა, თავიდანვე ვიფიქრე, მეტი სიცხადისთვის იქნებ მცირე შესავალი ან სქოლიო დავურთო-მეთქი, მაგრამ, შენი თქმისა არ იყოს, „ლექსია, სამეცნიერო ნარკვევი ხომ არა, სქოლიო დართვოდა?“ ჰოდა, დავბეჭდე ისე, როგორც დავბეჭდე. მაგრამ შენი ღია ბარათის შემდეგ ამ ჩემმა თხზულებამ განმარტება მაინც დაისაჭიროვა. ამგვარი განმარტება ადრე თუ გვიან ისედაც დაიწერებოდა, თუმცა შენი გამოხმაურება რომ არა, იგი ესოდენ ვრცელი და ღრმა ალბათ ვერ იქნებოდა, როგორიც ახლაა.

ჩემი ოპუსის ჟანრის განსაზღვრა მე არც მიცდია. შენ უნდა გენდო. პოეზიის ნიმუშიო. გრძელი ლექსიო. პოემა ვერ დაერქმევაო. იყოს გრძელი ლექსი. არც აქვს ამ ოპუსს პრეტენზია პოემობაზე. პოეზიის ნიმუში კი, ალბათ, ნამდვილად არის. ეს პუბლიკაცია რომ მზადდებოდა გაზეთის რედაქციაში, უჩამ მითხრა, შერაზადიშვილმა, იქნებ „ექსპერიმენტული პოეზია“ დავაწეროთ რუბრიკადო. თუ მაინცდამაინც რამ განსაზღვრებაა საჭირო, მაშინ „მათემატიკური პოეზია“ უნდა დავარქვათ-მეთქი. ბოლოს მხოლოდ „პოეზიას“ დავჯერდით.

მათემატიკა და მათემატიკური პოეზია იმთავითვე მიტაცებდა. მუდამ განსაკუთრებული პიეტეტით ვიყავი გამსჭვალული იმ პოეტებისადმი, რომელთაც ფუნდამენტური მათემატიკური ცოდნა(ც) და გამოცდილება(ც) ჰქონდათ – ომარ ხაიამიდან მოყოლებული, ვიდრე, ვთქვათ, გურამ პეტრიაშვილამდე.

ერთი ხანობა ლექსებს სიტყვებით და ასოებით კი არა, მხოლოდ რიცხვებით და სასვენი ნიშნებით ვწერდი: ქართული ასოების ნაცვლად მათი რიცხვითი მნიშვნელობები მქონდა გამოყენებული. აი, მაგალითად, 1978 წელს, ქართული ენის ამბებთან დაკავშირებით დაწერილი ერთი ასეთი ლექსი:

900.5.50. 1.100.1. 9.600.6.1. „5" 1.50. „1",
100.70.200. 600.6.5.800.50.10.200.9.6.10.200.
6000.1.40.200. „10"...
40.900.70.2.30.10.450.100.10. 5.50.1.1.
1.6000.30.1. 900.5.50.10. 6000.1.6.200.10.

ჩვეულებრივად რომ მოვთარგმნოთ და რიცხვითი მნიშვნელობანი შესაბამისი ასოებით ჩავანაცვლოთ, ეს ლექსი ასე წაიკითხება:

შენ არა თქვა „ე“ ან „ა“,
როს ქვეყნისთვის ხამს „ი“...
მშობლიური ენაა
ახლა შენი ხავსი.

აქ კიდევ ერთი რამ არის საინტერესო: ცნობილია, რომ ასო-ბგერა „უ“-ს ისტორიულად რიცხვითი მნიშვნელობა არ გააჩნია. მე შემეძლო, ამ ასოსთვის თანამედროვე ქართულიდან ამოღებული ხუთთაგან ერთ-ერთი ასოს რიცხვითი მნიშვნელობა მიმენიჭებინა, თუნდაც მისი წინამორბედი „ვე“-სი (400), როგორც აკეთებენ კიდეც ხანდახან, მაგრამ ამის ნაცვლად ამ „უ“-სთვის „450" ვარჩიე, რაკი მას ამ „ვე“-სა(400) და „ფ“-ს (500) შორის უკავია ადგილი ქართული ანბანის რიგში.

ეს ლექსი ჩვეულებრივი ასოებით დავბეჭდე 2001 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში — „სიყვარულის დასასრული“ — სათაურით „ერთი სტროფი წყალწაღებულის გადასარჩენად“. მაგრამ მაშინ არ გა=მიშიფრავს ლექსში ჩართული ის სამი ხმოვანი: ე, ა და ი. თუმცა ეს ამ წერილის თემასთან უშუალო კავშირში არ არის. შენებრ კვალიფიციური მკითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ბარემ აქვე განვმარტავ, რომ ეს ხმოვნები პირველი ასოებია საკუთარი სახელებისა: ედუარდი, ამვროსიევიჩი და ილია! ყველაზე საოცარი და სამწუხარო კი ის არის, როსტომ ჩემო, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, რაგინდ რიცხვებითა თუ ასოებით ჩაწერილს, რაგინდ კოდირებულსა თუ გაშიფრულს, ამ ლექსს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა...

ხოლო შენს მიერ „იდუმალ მექანიზმად“ და „ექსპერიმენტებად“ სახელდებულ შესაკრებთა გადანაცვლებებს სკოლიდან მოყოლებული ვაკეთებ(დი) – მაინტერესებდა, როგორ აირეკლებოდა პოეზიაში, აღარ მახსოვს რომელ კლასში ნასწავლი, არითმეტიკული კანონი, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ორსიტყვიანი – არაფერი, ძირითადად სამ- და ოთხსიტყვიან წინადადებებს ვატრიალებდი, ხანდახან ხუთსიტყვიანსაც. უმთავრესად ეს გახლდათ აფორიზმები, ანდაზები, სტერეოტიპული ფრაზები. თუმცა გამონაკლისები აქაც იყო, ორ- და სამსიტყვიანებში არითმეტიკული კანონი გამართულად მუშაობდა, მეტსიტყვიანებში კი აღმოჩნდა, რომ თუ საგულდაგულოდ არ შევარჩევდი, სიტყვების გადანაცვლებით ჯამი იცვლებოდა კი არა, ხშირ შემთხვევაში აბსურდი ან სრულიად საპირისპირო შინაარსი გამოდიოდა.

ხუთსიტყვიანები:
მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.
ყველაფერი შესავლით
უნდა დაიწყოს კაცმაო.

ექვსსიტყვიანები:
ადრე ამდგომსა ყმაწვილსა ღმერთი
უმზადებს სადილსა.
ერთი თხილის გული
ცხრა ძმამ გაიყოო.
მხარზე მზე ჰქონდა გადებული
მართლა თოხივით.

გაზეთში იმის ადგილი არ არის, ამ ფრაზების ყველა შესაძლო ვარიანტი ჩამოვწერო, მაგრამ შენებრ განაფუდ მკითხველს არ გაუჭირდება, შენიშნოს, რომ ორსიტყვიანებში და სამსიტყვიანთა უმეტესობაში შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი მხოლოდ ნიუანსობრივად იცვლება, სტილისა და ემოციის დონეზე. მაგალითად, „შიგნიდან გატყდებაო ციხე“ კონსტანტინე განსახურდიას სტილია, ხოლო „იარა მჭირს ათასგანა“ – ოთარ ჩხეიძისა.

ახლაც მახსოვს წარმატებით თუ წარუმატებლად წაღმა-უკუღმა ნატრიალები ზოგიერთი მაშინდელი ფრაზა.

ორსიტყვიანები:
მოჩქარეს მოუგვიანდესო.
ვაი, დედა!
დროშები ჩქარა!
ძალა ერთობაშია!
გამგონი გაიგონებსო.
წყალი უმცროსისაა.
ზესტაფონო, გშორდები!

სამსიტყვიანები:
დედას ვუყვარვართ შვილები.
ისწავლე, სწავლის მძებნელო!
იყო არაბეთს როსტევან.
ხამს მოყვარე მოყვრისათვის.
შავი შაშვი ჩიოდა.
ქურდს ქუდი ეწვისო.
ტირის ვაზი ობოლი.
თხამ შეჭამა ვენახი.
ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.
ლაზარე, გამოვედ გარეთ!
არწივი ვნახე დაჭრილი.
ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო.
ციხე შიგნიდან გატყდებაო.
ათასგანა მჭირს იარა.
პატარა გორი დიდია.
პატარა ბიჭი დამეკარგა.
კვიცი გვარზე ხტისო.
ძალა აღმართს ხნავსო.
ცდა ბედის მონახევრეა.
ქოში უკუღმა ჰყარაო.
ვარდს გაეფურჩქნა კოკორი.

ოთხსიტყვიანები:
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
რა ნათელი დილა არის!
დათვი ხეზე როგორ გავა?!
მიყვარს ფაცხა მე მეგრული.
სკრა, ქარელი, აგარა, გორი.
წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!
ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა.
ვერ იდავითა პატარა კახმა.
მუნჯის ენა დედამ იცისო.
ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.
უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიენო.
გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.
ცნება თუ ცნობა არეული, მოუყოლოს თავის
ცნებასა თუ ცნობასა, ისა მოუყოლოს, —
ყველამ თავისი მეცადინე დასაბარებელი.
და ესეც ნოეულის დასაბარებელი:
„ალტაიცემამ არიკის დამეწერა, — ალტა-
ცა რო შემეფინა ისეც დამეწერა, — ალტა-
ცემამ ვარიაციები არ იცის!
ცემამ ვარიაციები ეარიაციებე;
ალტაიცემამ ვარიაციები ეარიაციებ, თუმ-
ცა ეს ერთ ბოლოს ალტაიცემამა;
ბოლოსა ალტაიცემამ ყველაფერ-
ეს ერთ ბოლოს ალტაიცემამ ...
ეს ერთ ბოლოს ალტაიცემამ ...
ეს ერთ ბოლოს ალტაიცემამ ...

ჰოდა, ძმური პირდაპირობით უნდა გითხრა, რომ „შესაკრებთა პოეტური გადანაცვლების“ მთავარი პრინციპი ხელიდან დაგსხლტომია. სწორად შეგინიშნავს, რომ „ლექსი ორი სტრიქონის თამაშსა თუ ვარიაციებზეა აგებული“, ისიც ზუსტად დაგითვლია, რომ „პირველ ფრაზაზე 24 ვარიაცია აიგებოდა“, მეორეზე – 720. მაგრამ ვერ შეგინიშნავს, რომ ამ ვარიაციათაგან არც ერთი არ მეორდება და ეს 720 ვარიაცია „ცოტა არ იყოს გაჭიანურებულად“ მიგიჩნევია. ალბათ იფიქრე, რომ მათი რაოდენობა ხელოვნურად გავზარდე. ვარიანტების შედარების დრო შენ სად გექნებოდა! იმაზეც მადლობელი ვარ, რომ ჩემი ოპუსი, როგორც ამბობ, თავიდან ბოლომდე წაგიკითხავს. მაგრამ ერთგან თუ ჩემი ლექსი გაჭიანურებულად გეჩვენება, მეორეგან წერ: „დროზე გამოვეცალო, ემანდ კიდეც არ გავიხლართო შესაკრებთა გადანაცვლების ქარბორიაში და 720 სტრიქონსაც არ გადავაჭარბო და მეტსაც“. აბა, ეს რა გამოცლა გამოვიდა! რაგინდ სიტყვის მასალადაც უნდა იყოს ეს ყველაფერი ნათქვამი, უნდა მოგახსენო, რომ ამ ჩემს 720-ს ვერც ერთ სტრიქონს ვერ მიუმატებ, როგორც არ უნდა გაი(შ)ხლართო „შესაკრებთა გადანაცვლების ქარბორიაში“ და ვერც ერთ სტრიქონს ვერ დააკლებ, ემანდ ვინმეს გაჭიანურებულად არ მოეჩვენოსო!

ჩემო როსტომ, შენს მიერ „ვარიაციათა სტილურ მანერად“, „მხატვრულ ხერხად“ და „მხატვრულ თამაშად“ მონათლული შესაკრებთა (პოეტური) გადანაცვლება უწინ მათემატიკური თამაშია და მხოლოდ შემდეგ – ლიტერატურული.

ამიტომ არც ის 24 ვარიაციაა შემთხვევითი და არც ის 720!

ვინ გაიგონა გაჭიანურება მათემატიკაში! განა ვინმე იტყვის, მილიონი გადაჭარბებული რიცხვიაო?!

ეს არ არის უთავბოლოდ გაღავებული ან მხატვრულად დალაგებული სიტყვები თუ სტრიქონები, ეს მათემატიკური სიზუსტით გათვლილი წესრიგია.

ხოლო ის ორივე რიცხვი – 24 და 720 ვარიანტთა მაქსიმალური რაოდენობაა, პირველი ოთხსიტყვიანი ფრაზისათვის და მეორე – ექვსსიტყვიანისთვის. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ერთიც და მეორეც სიტყვათა თვითკმარი რიგია, რომელიც ყველა შესაძლო ვარიანტს მოიცავს და ამდენად – ორივე სრულყოფილია და აბსოლუტური. და თუმცა ჩემთვის(აც) არ არის სულერთი შესაკრებთა გადანაცვლების „ინტონაცია, რიტმი, მელოდიურობა, ქვეტექსტი, განწყობილება, კამერტონული თუ აკორდული დანიშნულება“, ამ მათემატიკურ თამაშის მთავარ ამოცანად რაც შეიძლება მრავალსიტყვიანი ისეთი ფრაზების მოძებნა დავისახე, რომლებიც შესაკრებთა გადანაცვლების ყველა შესაძლო ვარიანტში მეტ-ნაკლები სიზუსტით შეინარჩუნებენ შინაარსს და აბსურდად არ იქცევიან.

ექვსსიტყვიანზე შორს ჯერჯერობით ვერ წავედი. შვიდსიტყვიანებს დიდი ხანია, ვუტრიალებ, მაგრამ უშედეგოდ. ამდენი ვარიანტის შესამოწმებლად – სად როგორ შეიცვალა შინაარსი, მე არც დრო მყოფნის და არც მოთმინება! როგორ ფიქრობ, როსტომ ჩემო, რამდენი ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს შვიდსიტყვიან წინადადებას? რამდენით მეტი, ვთქვათ, იმავე 720-ზე?

რამდენი და, 5040!

რამ დამათვლევინა?

არა, მე არ დამითვლია – ამის კუსტარულად დათვლა ყოვლად შეუძლებელია! ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში. საქმე ის არის, რომ ვარიანტთა ზღვრული ოდენობის ძიებაში როგორღაც მივაგენი მათემატიკოსთათვის კარგად ცნობილ ფაქტორიალს, რამაც ჩემი არითმეტიკულ-ლიტერატურული ძიებანი ერთიან სისტემაში მომაყვანინა.

გურამ პეტრიშვილივით, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ არ არის გამორიცხული, შენც იცოდე, რა არის ფაქტორიალი.

ამა თუ იმ რიცხვის ფაქტორიალი ყველა ნატურალური რიცხვის ნამრავლია თვით ამ რიცხვამდე მისივე ჩათვლით. ფაქტორიალი მათემატიკაში ძახილის ნიშნით აღინიშნება.

მაგალითად, 7! ანუ 7-ის ფაქტორიალი არის პირველი შვიდი ციფრის მიმდევრობითი ნამრავლი ერთმანეთზე: 1x2x3x4x5x6x7=5040.

აბა, ეს იქნება, თუ იქნება გაჭიანურებული იმ შენი ლოგიკით! კიდევ უფრო მეტსიტყვიანი ხომ – საერთოდ!

რვის ფაქტორიალი, ანუ რვასიტყვიანი ფრაზის ყველა შესაძლო ვარიანტი 40 320 იქნება, ხოლო ათსიტყვიანისა – სამ მილიონზეც მეტი – 3 628 800!!!

კომბინატორიკაში დადგენილია, რომ სიტყვათა (ასოთა, რიცხვთა, ელემენტთა) კონკრეტული რიცხვის შემთხვევაში მათი გადანაცვლების ვარიანტთა ოდენობა ზუსტად შეესაბამება ამ კონკრეტული რიცხვის ფაქტორიალს.

საერთოდ, ფაქტორიალების ცხრილი ერთი კარგი ლექსივითაა, რომელიც ინტელექტუალურის გარდა, ესთეტიკურ ტკბობასაც ანიჭებს ადამიანს. ჩემს ამ პასუხთან ერთად პირველი 25 რიცხვის ფაქტორიალების ცხრილს შემოგთავაზებ და ამაში თავად დარწმუნდები.

თუ ამ ცხრილს ერთად გადავავლებთ თვალს, ჩემო როსტომ, დავინახავთ, რომ უკვე ლიტერატურად ქცეული ჩვენთვის საინტერესო რიცხვები მეორე და მეშვიდე სტრიქონებს შორისაა მოქცეული. ერთის ფაქტორიალი ჩვენ არ გვაინტერესებს, რადგან ერთსიტყვიან წინადადებაში სიტყვების გადანაცვლება შეუძლებელია. მით უმეტეს, არ გვაინტერესებს ნული, რომლის ფაქტორიალი დათქმით თუ შეთანხმებით ერთის ტოლია.

დანარჩენი – მე ყველა მაქვს გაკეთებული. ორიოდე ნიმუში გამოქვეყნებულია და უმეტესობა – გამოუქვეყნებელი. არც ამ ორის დაბეჭდვას ვაპირებდი, გაზეთის 2 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული შენი ღია ბარათი რომ გამოიწვია, მაგრამ როცა „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორმა, ვინ იცის, მერამდენედ დაბეჯითებით მთხოვა, ლექსები მომაწოდეო, ყველაზე ახლო უჯრაში ეს აღმომაჩნდა და ვაახლე კიდეც. მადლობა მას, რომ მოცულობას არ შეუშინდა, არც გაჭიანურებულად ჩაუთვლია და გამოაქვეყნა.

ორ-, სამ- და ოთხსიტყვიან წინადადებებში „შესაკრებები“ სხვებსაც გადაუნაცვლებიათ. ზოგი ვიცი, ზოგი – არა. საგანგებოდ არ მიძებნია, თორემ იქნება, როგორ არ იქნება ასეთები ქართულ პოეზიაში.

სახელდახელოდ აქ ლადო ასათიანის სტრიქონები მახსენდება:

„ილია – საქართველო
საქართველო – ილია.“

პირველად 1974 წელს გამოქვეყნებულ ჩემს პოემაში – „წერილი“ – მეც მაქვს ერთი ორსიტყვიანი გადანაცვლება:

„უკვე თენდება.
თენდება უკვე“...

ხოლო ერთ ორსიტყვიან გადანაცვლებას ჩემი ამ ღია პასუხის დასაწყისშივე შეამჩნევდი, როსტომ ჩემო.

აქ კი ნახე, ჩემო როსტომ, რას წერს მუხრან მაჭავარიანი:

„ის რა კაცია,
გეტყვის ახლა ვინც:
– სახელს გერჩიოს, გირჩევ, სახრავი!
კაცი ის არი,
ვინც გეტყვის ახლა:
– გირჩევ, სახელი გერჩიოს სახრავს“.

თუმცა ერთი შეხედვით, ამ ლექსის ოთხსიტყვიანის წინადადებებიც ასეთი ჩანს, აქ მხოლოდ მეორე და მეხუთე სამსიტყვიანი ფრაზებია შესაკრებგადანაცვლებული, ისიც – ნაწილობრივ. სრული რომ ყოფილიყო, ეს ფრაზა ექვს(ივე) ვარიანტად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

გეტყვის ახლა ვინც.
ვინც ახლა გეტყვის.
გეტყვის ვინც ახლა.
ახლა ვინც გეტყვის.
ვინც გეტყვის ახლა.
ახლა გეტყვის ვინც.

შესაკრებთა არასრული გადანაცვლების მაგალითია აგრეთვე ქართლში, და არა მარტო ქართლში, პოპულარული სიმღერის ცნობილი ფრაზა, რომლის მეორე ნაწილი ჩემი ამ პასუხის სათაურშიც გამოვიტანე:

„სკრა, ქარელი, აგარა, გორი...
გორი, აგარა, ქარელი, სკრა...“

ეს ფრაზები თუ ეს სტრიქონები რომ გავიგე და წავიკითხე პირველად, მე ორსიტყვიანიდან მოყოლებული ექვსიტყვიანით დამთავრებული არაერთი წინადადება მქონდა შესაკრებგადანაცვლებული, თანაც არა ნაწილობრივ, არამედ – სრულად. მათ შორის, ის ორიც, „ლიტერატურული გაზეთის“ 4 სექტემბრის ნომერში რომ დაიბეჭდა ერთი სათაურის ქვეშ.

ადვილად შეამჩნევდი, როსტომ ჩემო, რომ აქ შესაკრებთა მათემატიკურ-პოეტური გადანაცვლების ორი ნიმუში ერთი იდეით და ერთი სათქმელით არის გაერთიანებული და კარგა გვარიანად სცილდება რაგინდარა მათემატიკურ-ლიტერატურული ეგზერსისის ფარგლებს.

ამ ოპუსის შექმნის თარიღი ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ 70-იანი წლების დასაწყისი იყო და ის ორი ფრაზაც, რომელთა „შესაკრებები“ მე ამ ოპუსში დავატრიალე, სწორედ იმ დროს გაჩნდა ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში:

„გზაზე ერთი ჩრდილი მიდიოდა“ ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია ოთარ ჭილაძის რომანის სათაურისა – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, მეორე წინადადება კი პერიფრაზია ჯანსუღ ჩარკვიანის ყბადაღებული სტრიქონებისა მისი პოემიდან „რწმენის კედელი“:

„გავიდებ დროშას,
მზისფერ დროშას გავიდებ მხარზე,
თოხივით არა მართლა გავიდებ,
მე შენი სული გადავწერე, გადავიხაზე,
ახლა მრცხვენია და თავს გარიდებ“.

შენც კარგად მოგეხსენება, რომ ჯანსულ ჩარკვიანის ეს პოემა 1970 წელს გამოქვეყნდა, ოთარ ჭილაძის რომანი – 1973-ში.

თუმცა წლებს იმიტომ როდი ვიხსენებ, რომ პირველობას ვიჩემებ და ჩემი პრიორიტეტი მინდა დავამტკიცო, ან „შესაკრებთა გადანაცვლების მექანიზმის მიგნება“ საკუთარ ექსპერიმენტატორულ მონაპოვრად მივითვალო. შესაკრებთა გადანაცვლების სიტყვიერებაში გამოყენების პრიორიტეტი, კარგად ვიცი, მე არ მეკუთვნის, მაგრამ უშენიშვნოდ ვერც იმაში დაგეთანხმები, ჩემო როსტომ, რომ „შესაკრებთა გადანაცვლების მექანიზმის მიგნება ოთარ ჩხეიძის სახელს, მის ექსპერიმენტატორულ ძიებებს უკავშირდება“.

საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ შენი ამ ფრაზით ოთარ ჩხეიძე მათემატიკოსი გამოდის, რადგან სიტყვა „ლიტერატურული“ გამოგრჩენია და შეიძლება რომელიმე ასოკირკიტა მკითხველმა ის არც კი იგულისხმოს.

შენი წყალობით დღეს უკვე ყველა განათლებულმა ქართველმა მკითხველმა იცის, რომ სულგანათლებული მამაშენის, ოთარ ჩხეიძის სახელს მართლა არაერთი ექსპერიმენტატორული ძიება და ლიტერატურული სიახლე უკავშირდება, მაგრამ... არა „შესაკრებთა გადანაცვლების მექანიზმის მიგნება“.

შენი ღია ბარათიდან გავიგე, რომ სანამ მე იმ ჩემი ცოდვით სავსე ფრაზებს წაღმა-უკუღმა ვატრიალებდი, ოთარ ჩხეიძეს კიდევ ერთი მშვენიერი მოთხრობა დაუწერია და „ლიტერატურულ საქართველოშიც“ გამოუქვეყნებია 1987 წლის 1 მაისს. მოთხრობას „ავანსი“ ჰქვია. მაშინ მე ის არ წამიკითხავს – დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი მებარა, როგორც მთავარ რედაქტორს, და ლიტერატურისთვის, ჩემდა სამწუხაროდ, აგრერიგად არ მეცალა. შენი წერილიდანვე გავიგე, რომ უკვე მწერლის გარდაცვალების მერე, თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ის მოთხრობა მისი „სოფლის ეტიუდების“ მესამე წიგნში დაბეჭდილა განმეორებით 2010 წელს და ბოლოს, განმესამებით – 2014 წელს ნოველების კრებულში „შესანდობარნი“. ეს უკანასკნელი არ მაქვს, „ჩემი სოფლის ეტიუდების“ მესამე წიგნი კი, მგონი, სულაც შენი ნაბოძები, ჩემო როსტომ, შენი წერილის წაკითხვისთანავე გადმოვიღე აუცილებლად წასაკითხი წიგნების თაროდან. მრცხვენია, რომ აქამდე არ წამიკითხავს! დაუძინებელი მკითხველი და ლიბროკუბიკულარისტი კი ვარ, მაგრამ, შენც კარგად იცი, არ არის ოთარ ჩხეიძე ადვილი, ძილის წინ წასაკითხი მწერალი. ჰოდა, მიმრჩა და მიმრჩა. მადლობელი ვარ, რომ გამახსენე. „ავანსი“ ხომ სასწრაფოდ წავიკითხე და ახლა სხვებსაც ჩავყვები თავიდან ბოლომდე. მართლა მშვენიერი მოთხრობაა – სერიოზულ მკითხველზე გათვლილი, როცა შენ თავად უნდა მიხვდე, რომ ეტიუდისეული გერონტი სწორედ გერონტი ქიქოძეა და რომ მოპასანის სიუჟეტი, რომელსაც სერგო კლდიაშვილის პირით, მაგრამ თავისი ენით თავიდან ბოლომდე გვიყვება ავტორი, აღებულია მისი ზღაპრიდან „მშვიდობით“. შედარებით ნაკლებმომზადებული მკითხველისთვის ოთარ ჩხეიძე მოთხრობაშივე დებს ერთგვარ გასაღებს, როცა ყოველგვარი წინწკლების გარეშე ახსენებს „ეროვნულ ენერგიასა“ და სიტყვას „მშვიდობით“ – გერონტი ქიქოძის წიგნისა და გი დე მოპასანის ზღაპრის სათაურებს – მაგრამ არა როგორც ასეთებს, არამედ უბრალოდ, ისე, ვითომ შემთხვევით, თუმცა საგანგებოდ. საგანგებოდ არეული მგონია აგრეთვე მოპასანის პერსონაჟთა სახელები. ბუნებრივია, საგანგებოდ აქვს ავტორს მოფიქრებული ნოველის დასაწყისიც და დასასრულიც.

თუმცა წიგნი წინ მიდევს, ოთარ ჩხეიძის ტექსტიც შენი ბარათიდან მომყავს, ჩემო როსტომ:

„ეს დასაწყისი ნოველისა:
„კედრზე შაშვი გალობდა.
კედრზე გალობდა შაშვი.
გალობდა შაშვი კედრზე.
გალობდა კედრზე შაშვი.
შაშვი კედრზე გალობდა.
შაშვი გალობდა კედრზე.“

სხვათა შორის მწვავე პასაჟიც რომ მოედევნება, მწერლის გამოკამათება თავის კრიტიკოსებთან:

– ყველა ქართულია. ყველა სწორია. ჩემი ნებაა, თუ რომელს ავირჩევ, სწორია და ჩემი ნებაა. სწორია და არავის არაფერს ვაკითხებ, ქართულია და არ ვაკითხებ არავის არაფერსა. ქართულია. თუ ვინმეს ცნება და ცნობა არევია, მოუაროს თავის ცნებასა თუ ცნობასა, იმას მოუაროს, – ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო.“

და ესეც ნოველის დასასრული:

„აღტაცებამ არ იცის ვარიაციები,
თუმცა რომ შემეძლო ისეც დამეწერა, –
აღტაცებამ ვარიაციები არ იცის;
არ იცის აღტაცებამ ვარიაციები.
ვარიაციები არ იცის აღტაცებამა;
ვარიაციები აღტაცებამ არ იცის“.

ჩვენ აქ სხვადასხვა რამ გვაინტერესებს, ჩემო როსტომ, თქვენ – მამა-შვილ ჩხეიძეებს ამგვარ ვარიაციათა მხატვრული თუ სტილური დანიშნულება, მე კი – მათემატიკური აბსოლუტურობა და პოეტური სიზუსტე თუ სისრულე. ფსიქოლოგიური ამბები რომ გვაინტერესებდეს, იქნებ იმაზეც გვეკამათა, იცის თუ არა ვარიაციები აღტაცებამა და ჩამოგვეთვალა კიდეცა ცალკეული ვარიაციები აღტაცებისა – უდიდესი აღტაცებაი, საყოველთაო აღტაცებაი, ბავშვური აღტაცებაი, გულწრფელი აღტაცებაი, უნებური აღტაცებაი, დაუფარავი აღტაცებაი, მოჩვენებითი აღტაცებაი, დითირამბული აღტაცებაი (ყოფილა ასეთიცა!)...

ამ ჩამონათვლიდან მე ახლა ერთადერთი უნდა მოვიხმო – გულწრფელი აღტაცება, რომელიც დამეუფლა, როცა ოთარ ჩხეიძის ეს ეტიუდი თუ ნოველა წავიკითხე. აღტაცება კი იმან მომგვარა, რომ თუმცა სრულიად სხვა მიზნით და სხვა დანიშნულებით, ოთარ ჩხეიძეს, ჩემგან დამოუკიდებლად, ზუსტად ისევე დაუტრიალებია სამი სიტყვა, როგორც მე ვატრიალებ მისგან დამოუკიდებლად ამდენი წლის მანძილზე სიტყვებს. დიახ, მხოლოდ სამი სიტყვა და არა ოთხი(ც). „ავანსის“ დასაწყისის სამი სიტყვის დატრიალება პრინციპულად განსხვავდება დასასრულის ოთხი სიტყვის დატრიალებისაგან. და აი, რატომ:

დასაწყისის სამი სიტყვის ეს ექვსი ვარიანტი, ანუ ვარიაცია, როგორც შენ ამბობ, როსტომ ჩემო, სრულია, მეტი ვარიანტი ამ სამი სიტყვისგან არ გამოდნება. დასასრულის ოთხსიტყვიან წინადადებას კი კიდევ 19 ვარიანტი აქვს, ზუსტად 19! არც მეტი, არც ნაკლები. თანაც, სამსიტყვიანი დასაწყისის შემთხვევაში შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება და სწორედ ამას უსვამს ხაზს ოთარ ჩხეიძე, დასასრულის შემთხვევაში კი, თუ ჩვენ სხვა ვარიანტებსაც გავსინჯავთ, შინაარსი არათუ მკვეთრად იცვლება, არაერთ შემთხვევაში გაუგებარიც და აბსურდულიც კი ხდება.

მაგალითად, საპირისპირო აზრია ასეთ ვარიანტში:

არ აღტაცებამ იცის ვარიაციები.

ხოლო სრული უაზრობაა ამგვარ ვარიანტებში:

იცის არ ვარიაციები აღტაცებამ.
აღტაცებამ იცის ვარიაციები არ.
არ ვარიაციები აღტაცებამ იცის.
იცის ვარიაციები აღტაცებამ არ.

ოთარ ჩხეიძეს, და შენც, ჩემო როსტომ, როგორც ნოველის დასაწყისის, ისე დასასრულის გადანაცვლებებში გეინტერესებათ შინაარსით ერთნაირი და მხოლოდ სტილისტური ნიუანსებით განსხვავებული ვარიანტები და მათი არჩევის მწერლური თავისუფლება, მე კი ისინი მაინტერესებს ყველა ერთად, მათ მთლიანობაში – რამდენად ინარჩუნებს ყოველი შესაძლო ვარიანტი შინაარსობრივ იდენტურობას.

ისე არ წარმოიდგინო, თითქოს ნებისმიერი სამსიტყვიანი წინადადება ექვსივე ვარიანტში ინარჩუნებდეს შინაარსს.

აი, ორიოდე საპირისპირო მაგალითი:

გვარზე კვიცი ხტისო.
ბედის ცდა მონახევრეა.

ამიტომაც დავისაჭიროვე ზემოთ ოთარ ჩხეიძის ამ რომანის დასაწყისის მიმართ ჩემი დამოკიდებულების გამოსახატ-

დასასრული მე-6 გვერდზე

ეკა ქევანიშვილი

ცივად და საქმიანად. უსისხლოდ

თავიდან, უბრალოდ რეპორტაჟს ვამზადებდი.
ტრადიციულად, ცივად და საქმიანად. უსისხლოდ.
ეტლში მჯდომი გოგოს წინ ჩავიმუხლე —
ჭკვიანური კითხვები მინდოდა დამესვა.
მაინტერესებდა, როგორ გამოდის სახლიდან ქუჩაში,
როგორ ვუთმობთ გზას უხერხულად აწურული
ადამიანები და ვაშველებთ ხელს,
როგორ კეთდება სიჩუმის დერეფანი,
შუაში კი ეტლი მიგორავს.
გოგო გვიხსნის, რომ თავისითაც შეუძლია.
ხალხი დაბნეულია. გოგო — შებრალებული.
ვლაპარაკობდით და მეშინოდა, არაფერი შემშლოდა,
რამე სისულელე არ წამომეროშა.
არც მაღლა მინდოდა ვდგარიყავი, არც დაბლა —
თანასწორობის დაცვას ვცდილობდი.
მერე დავიღალე და წამოვდექი. ორ ფეხზე ვიდექი.
ზემოდან დავყურებდი.
თავიდან, უბრალოდ ერთი მუშის ამბავს ვყვებოდი.
ხარაჩოდან რომ ჩამოვარდა და
მკვდრების სტატისტიკა შეავსო.
ვყვებოდი, როგორ მუშაობდა უჰაერობაში,
დახეული ხელთათმანებით.
ბოლოს კი როგორ მიეკრო შიშველ სადენებს.
ვყვებოდი ცივად და საქმიანად. უსისხლოდ.
ტრაგედიებს დამატებითი გმირები აღარ სჭირდება.
მითუმეტეს, პირველ პირში მთხრობელები.
მეორე დღეს სხვა ამბავი დაიწყო,
უფრო ახალი და მას გავედევნე.
უჩემოდ დამარხეს.
მერე სახლიდან გამოყრილ ხალხს ვუსმენდი.
ოცწლიან უსამშობლობაზე მოთქვამდნენ —
მიწა რომ ნაცრად ექცათ და ჰაერი კვამლად.
ვუსმენდი, ვუსმენდი და ვგრძნობდი, როგორ მიხაროდა,
მათი ნაწილი რომ არ ვიყავი.
ასე ეგოისტურად გამოვტყუე ყველაზე უბედური ამბები
და მოვყევი.
ერთხელ კი, როცა ნიკო აივანზე მოსაწევად გავიდა,
კაცს მანქანა დაეჯახა. ნიკომ ამბავი შემოიტანა.
აივანზე გავცვივდით და მოთმინებით დაველოდეთ
სასწრაფომ როგორ გააქროლა კაცი — საკაცით.
სისხლი არ იყო, ვთქვით ჩვენ და
უკმაყოფილოები ოთახში შემოვბრუნდით.

წვრილი ბედნიერებების გამო

ბედნიერებები არსებობს.
აი, ჩვენი რვა წლის შვილი
თავისუფლად ფლობს უცხო ენას.
შენ კი ყვები ამაზე
სხვებისთვის შესამჩნევი თავმდაბლობით.
და ოდნავი გულგრილობით — ეს მომგებიანი პოზაა.
მაგალითად, ვიზიტი იერუსალიმში —
გამორჩეულობის ნათელი.
ყველა კი ვერ ხვდება აღთქმულ მიწაზე.
ოქროსფერი რუჯი ზამთარში, თბილი ქვეყნიდან
ობიექტივისთვის მიძღვნილი სიცილი,
როცა სამშობლოში გზები მოყინულია.
კრიალა ავტომობილის ჩაწეული ფანჯარა
და ამ ფანჯრიდან ჭუჭყიან ქუჩაში გამოყოფილი თავი.
ასეთი ბედნიერებები გვაძლებინებს.
— ილუზიებს თუ შეეჩვიე, შეიძლება კიდეც გადარჩე.
ბედნიერებები დამალულია D დისკზე.
ეს დაობებული სიყვარულები —
ფოტოები საშინელი, გამჟღავნებული ჯაშუშები არიან.
შენ კი მაინც გიხარია და როცა აწმყო გძულს,
ათი წუთით მათში გადადიხარ საცხოვრებლად.
იქ ვალდებულებები გამქრალია.
ბედნიერებები გვჭირდება.

ეს ამბებიც მეგობარმა გამახსენა.
მან გადაუღო ფოტო თავის პასპორტს,
რომელშიც ეწერა:
ათწლიანი ვიზა. ამერიკა.
და გვაჩვენა.
მე გამეცინა და შემშურდა.

სახელის დავიწყება

თუ ტელეფონში დედის ნომერი ჯერ არსებობს,
ყველაფერი ისევ რიგზეა.
ხან თუ პასუხს დააგვიანებს,
გეტყვის — საქონელს ჩამოუარა,
დააბინავა სამი ცხვარი, ორი კურდღელი, არა უშავს.
ყველაფერი მაინც რიგზეა — დედა არის.
დედა არსებობს
ყველაფერი რიგზეა მაშინ, როცა მის ზარებს
შენ არ პასუხობ,
რადგან გგონია, უკვე მოგბეზრდა. გადაიღალე.
შეიძლება გამოსწორება.
და მაშინაც, როცა ყველაზე გაზრდილი ხარ,
როცა მარტო წყვეტ, მარტო ცვლი და მარტო ალაგებ
თავდაყირა ცხოვრებაში შეყრილ ოთახებს.
მაშინაც სადღაც დედა დადის. დედა ჩამოჯდა.
თითქოს გქონდეს შეგროვილი ფულის იმედი,
თბილოდეს სახლში ზამთარში და,
არ გეშინოდეს სიბერეში მარტოობის,
მისი ყოფნაც ჰგავს ამ სიმშვიდეს.

ყველაფერი ირევა მერე. როცა ის მიდის.
როცა არ იცი, სად წაიღო
მისი სახელი.

ევაკუაციის გეგმა (საკუთარი თავისთვის)

არც ამაზე დიდი მინდა ვიყო. არც ამაზე პატარა.
მეშინია, რომელ კარშიც დღეს ვეტევი, ვაითუ,
იქ ვეღარ შევეტიო.
არც ისეთ კარში შესვლა მინდა,
სადაც შეუმჩნევლად შევალ და კუთხეში დავჯდები.
არც იქ, სადაც მრგვალი მაგიდასავით ჩამდგამენ.
მაგრამ როცა ჩემს თავს დიდი ამბები ხდება,
საჰაერო ბურთივით ვიბერები. ცაში უნდა ავიჭრა,
რომ ვისუნთქო.
როცა დიდი ამბები მემართება, ვიქცევი რწყილად,
ფრჩხილზე ვეტევი.
ამიტომ, ჩემი თავის ამბავი რომ მომეხსენება,
საკუთარი თავიდან უნდა გამოვძვრე.
ევაკუაციის გეგმა მარტივია —
ჯერ უნდა მკლავებიდან გავსრიალდე და
თითებს ჩამოვეკიდო — აქედან ჩახტომა ადვილია.
შემდეგ ჩავყვე ვენებს და
როგორმე გავაღწიო მუხლებიდან.
ევაკუაციის გეგმა მოითხოვს სიფრთხილეს:
სულის ყელიდან ამოსვლისას და
სუნის ცხვირიდან ამოგლეჯისას
და სუნთქვის ფილტვებიდან გაპარვისას და
გემოს ენიდან აფხეკისას.
ამ გეგმით, ნელ-ნელა გავდივართ
ხერხემლის უღელტეხილით
და ვეშვებით ბარში.
ამ გეგმით, ვიღებთ საკუთარ თავს და
მოვისვრით მუცლის დაღმართზე.
შემდეგ კი შეგვიძლია ავფეთქდეთ.

როცა ჩემს თავს დიდი ამბები ხდება,
მე — დიდი ხნის გაქცეული ვარ.

მე როცა დედაჩემი მენატრება

სიმართლე ჯობია.
მე როცა დედა მენატრება, გამოვაღებ ხოლმე ფანჯარას
და შუბლს ვუშვერ ჰაერს.
საიდანღაც მოდის ქარი და მაყრის სახეში მტვერს.
ხოლო მე, ვხუჭავ თვალს და მივდივარ დედასთან.
ის ვერ მხედავს, მე კი, ჩვენი ეზოს ძაღლივით მივდევ უკან,
მივაცილებ სამსახურამდე.
ვუყურებ, როგორც უახლოვდება გაზეთების ჯიხურს და
ბაზარს,
ხიდს, მაღაზიას, ხან უფროსის კაბინეტთან
დგას აწურული,
ხან აუყვება აღმართს ყანამდე.
ვუყურებ, შემთხვევით არ დაბერდეს.
დედაჩემმა არ იცის და არც უნდა იცოდეს,
თვალებს რომ ვხუჭავ, ვჩნდები მის გვერდით.
სამზარეულოს მაგიდასთან. ჩუმად. კუთხეში.
და შევყურებ მის ხელის მტევნებს. მის შესაღებ თმას.
მის მარტოობას.
როცა დედაჩემი იძინებს,
მე თვალებს ვახელ და ვბრუნდები.
მე როცა ამ ბოლო დროს დედა ხშირად მენატრება,
ვიღებ ტელეფონს და დავყურებ მის სახელს სიაში.
დედა, მენატრები. ეს ორი სიტყვა მინდა ვუთხრა და
გავუთიშო.
მერე კი ვიტიროთ ერთად, რადგან, როგორც იქნა,
ვუთხარი.
დიდი ღორობა კია ამის აღიარება,
მაგრამ ამის მაგივრად ვეუბნები,
დედა, რამდენი კოვზი შაქარი, დედა.
რამდენი მწიკვი მარილი.
და რამდენი წვეთი თაფლი.

შოთა

* * *

როცა იცი, რომ წინ აღარ უნდა იყურებოდე
და არც უკან მიხედვაში დევს რამე აზრი,
გვერდით კი უკვე არავინ გიდგას,
სწორედ მაშინ გაგახსენებს ეს ცხოვრება,
რომ არსებობს დიაგონალიც.

სათვალე

სამ მართალ სიტყვას ლიცლიცებდა ეს ოთახი:
welcome, open და აფთიაქს,
შემოდიოდნენ ბარბაცით და სიცილ-ხორხოცით,
ჩემს დანახვაზე ცბებოდნენ და გადიოდნენ,
მე კი ვიჯექი იატაკზე გაყურსული, მარტოდმარტო,
და ხანდახან ლიცლიცებდნენ
როგორც მე მაშინ მეჩვენებოდა —
ყალბი სიტყვებიც:
coffee, bar და internet, მაგრამ
მაინც მხოლოდ ჩემი იყო ეს ოთახი ამ საგიჟეთში,
და ვიჯექი და მივჩერებოდი
კედელს, რომელზეც ლიცლიცებდა
სამი ნამდვილად მართალი და
სამი თითქოსდა ყალბი სიტყვა,
და ლიცლიცებდნენ აგრეთვე ლურჯი მამაკაცი
და წითელი ქალი
არარსებული ტუალეტის აღსანიშნავად.
დღის აურზაურს განრიდებული თავს
კარგად ვგრძნობდი,
მაჯის ზემოთ Heaven მქონდა ლურჯად მირტყმული,
და ვიხსენებდი, ერთ გოგონას ამ საღამოს
სათვალე როგორ ავუწიე ორმოცდაათჯერ,
ჩავხედე თვალებში,
და მერე ისევ ჩამოვუწიე.
და ასტკივდა ამასობაში მას შუბლი და გამიმხილა —
ამტკივდაო,
მაგრამ მაინც არ გამქცევია,
ახლა კი ვზივარ ამ ჩემს ოთახში,
ლიცლიცებენ სიტყვები და
სათვალე კი უკვე შორსაა.

ჭინჭარი

რახანია ჭინჭარი ფეხზე არ მოხვედრია,
არ დასუსხვია კანი, მაგრამ
ახლა თითქოს ჭინჭრის შოლტს ურტყამს ვიღაცა და
ის კი ზის ბაღში, ბალახებში, ბავშვობაში და
უხურს სხეული, უწითლდება,
ეჩვენება, რომ მკლავზეც მისცხეს
ოცი წლის წინ მოწყვეტილი ჭინჭრის ტოტი,
მკერდზეც, ლოყაზეც,
და დაჰყურებს კანზე გაჩენილ
წერტილოვან გეომეტრიას,
თავი ჩარგო მუხლებში და ყველაფერი —
რაც უნდა მოხდეს და რაც მოხდა —
გამოიტირა.
მერე ისევ გაიღიმა,
და ისევ მოხვდა ტანზე ჭინჭარი,
და გაოცდა: მართლა მსუსხავენ?
გაბრაზდა და გაუხარდა...

იათაშვილი

და წავიდა,
რათა მარტო დარჩენილიყო,
და მოეძებნა
კულინარიულ წიგნში ჭინჭრის ფხალის რეცეპტი,
წაეკითხა,
შეესწავლა,
მომზადება დაზარებოდა,
და მაგიდასთან ჩასძინებოდა დამშეულს ტკბილად...

გასწორება

ნიკა ჯორჯანელს

როცა გადამთვრალი
ღამის 3 საათზე
პინგ-პონგს თამაშობ
დაბრეცილ მაგიდასთან,
მოშვებული ბადის წინ,
ჩაჭყლეტილი ბურთით
და გაქუცული რაკეტით,
სადღაც ნუცუბიძეზე,
გაურკვეველ სასტუმროში,
და ოთხით ერთს აგებ,
სწორედ მაშინ სწორდება ცხოვრება.

კოლუმბიელი ფერმერები შინდისში ამოვიდნენ

მათი სიმღერები იყო გულუბრყვილო,
ისეთი გულუბრყვილო,
რომ მე, ისედაც გულუბრყვილო,
ვხდებოდი სულ უფრო და უფრო გულუბრყვილო,
გულუბრყვილოდ ვგლეჯდი თონის პურს
და გულუბრყვილოდ ვაწობდი აჯიკაში,
გულუბრყვილოდ ვჭამდი და
გულუბრყვილოდ ვუსმენდი ერთმანეთში აზელილ
ქართულს, ბელარუსულს, ლიტვურს, ესპანურს,
რუსულს და ინგლისურს.
მერე დავწექი მიწაზე და
მიწაც მომეჩვენა გულუბრყვილო.
მოვსვი ღვინო, რომელშიც ეყარა ატმის ნათალები და
ეს ღვინოც მომეჩვენა გულუბრყვილო.
მაღლა ავიხედე და — თუ ღმერთი არსებობს,
ალბათ გულუბრყვილოა მეთქი — გავიფიქრე,
ღმერთმა ეშმაკი გამახსენა და
თუ ეშმაკი არსებობს,
ალბათ ისიც გულუბრყვილოა მეთქი — გავიფიქრე.

შინდისში ამოსული კოლუმბიელი ფერმერები კი
გულუბრყვილო სიმღერებს განაგრძობდნენ,
მამუკა ჯაფარიძე კი, ჩვენი მასპინძელი,
გულუბრყვილოდ წვავდა კუპატებს თონეში,
გულუბრყვილოდ გვისხამდა ბადაგს და
გულუბრყვილოდ გველაპარაკებოდა უკვდავებაზე.

ნინო სადღობელაშვილი

წმინდა ნაგავი

ყველა საქმე ხელიდან გამომგლიჯე,
ისეთი ცხარე სიყვარულით ჩამომართვი
როგორც ავადმყოფმა, რომელიც ხვდება,
მის წინ რომ დგას, იმასაც
მსგავსი ავადობა სჭირს...
კარშივე შემეგებე,
ზაფხულის ნაქარგებით მოჩითულ წინკარში,
შენც ზაფხული გეცვა და ეს ზაფხული
ისეთი გახუნებული იყო!..
მდინარის წყალი მომაწოდე,
რასაც წავეტანე, ყველაფერი გამაგდებინე
— არც სახლები მალაგებინე,
არც ეზოები მახვეტინე,
არც ჭურჭელი დამარეცხინე,
— გარეთ იყო მთელი ქვეყნის
წმინდა ნაგავი,
შენ ფეხის წვერით მოაქუჩე
და ძილშიც ჩამესმოდა,
რაღაც მწყობრი თანმიმდევრობით
ნაგავს როგორ ანადგურებდი...
მერეც გეყოფაო,
მერე, როცა გაიზრდები და
შენი წილიც ბევრი დაგიგროვდება,
მერეც გეყოფა, რომ დაგეხვევიან
შვილები და შვილიშვილები და
ფეხებს შენს კალთაში ჩაიწმენდავენო,
იმათიც და შენიც —
მარტომ უნდა ალაგო და
ეგაც გეყოფაო,
— თან ისეთი ტკბილი იყო ეს ზღაპარი,
კანქვეშ ჭიანჭველის ვულკანები მებურცებოდა...
ისე მეჩქარებოდა
ეს უნახავი და განუცდელი,
ეს მოყოლილი წმინდა ნაგავი!..
ზაფხულის თაღში იდექი და
ზაფხულის ცხელი ოხშივარი
ასდიოდა შენს თმებს,
ყელზე მჭკნარი ყვავილების
მძივი გეკეთა
და იმსიმძიმე შუქი გედგა თვალებში,
და იმსიმძიმე ჩრდილი გედგა თვალებში,
რამხელაც ერთად აღებულ ყველა ზაფხულს არ
ექნება,
უსასრულობის სასწორზე რომ შემოაგდო...
მე კი ცარიელი მკლავებით
ცისკენ ვბაძავდი ხეებს და
არ მახსოვდა მომავალი
ჩემი ნაგავი...
ავადმყოფები ერთმანეთს
მადლობას თუ ეუბნებიან,
ერთმანეთის ავადობა რომ შენიშნეს და
თვალსა ხუჭავენ?..
შენს საფლავთან მოვალ ამ ზაფხულს,
ჰაერის ბუშტებით პეპლებს
გამოვდენი და მოვალ,
ჭიამაიებს შეგიგროვებ, ციცინათელებს,
რომ ყველაფერს ფრთები ჰქონდეს,
თუნდაც ასე ფრჩხილისოდენა და
ყველაფერი შენკენ მოდიოდეს,
მოვალ შენთან მათი ცეროდენა ფრთებით და
მადლობას გეტყვი,
ჩემზე უფრო სიყვარულით ავადმყოფო,
ამ ავადობაში ჩამდნარო,
ყველა ზაფხულის მასპინძელო...
და მერე მეც დავხვდები კარში
ვინმეს და
ყველა საქმეს ჩამოვართმევ,
რახანია შუაცეცხლის ყვავილებით
ჩაუქრობლად იწვის
ჩემი გულის წმინდა ნაგავი...

მღვრიე გულის საგალობელი

— შენ ჩემო მარტოყოფნაო, ნაპირო დახავსებულო,
მზის ენით ძვლების ლოღნაო, ტკივილო ალმასებურო,
ხან ელდავ, ხანაც ოხვრაო, წყვდიადში გაასებულო,
სიზმარში თვალის მოკვრაო ქარისგან გატაცებულის...

— არ ისმინო, არ გაუღო
კარი მღვრიე გულის სათქმელს,
რაც გეაჯოს, გეამინოს
და გირჩევდეს გრძელ-გრძელ საქმეს,
კარი მაგრად მოუხურე,
ცეცხლის ენით ჩაურაზე
და ნაღველზე დასაგეშად
რუხი მგლები გაუბრაზე!..

— მოდიან ღრუბლის მხედრები,
ფეხქვეშ იგებენ არწივებს,
საწარღვნოდ ატრიალებენ ქარბორბალებს და ქარცივებს,
ამ ყიამეთში იფშვნება წუთისოფელის ქვაწვრილი,
იწყება სააქაოსთან საიქიოის ქორწილი...

— ცოტაც კიდევ გაუძელი,
ყურის ძაბრში გაუტარე,
მას უნდა რომ თავის ხელით
სულს ბორკილი გაუყაროს!..
ვარსკვლავებად ახმაურდი,
გაზაფხულის ჩინჩხლი ჰყარე,
შხამიანი მღვრიე გული
სათქმელისგან დაიფარე!..

— ჩემს ტკივილს არვის გავუყოფ,
სხვა მეტი რა მაბადია,
ამ გზაზე არვის მოვუშვებ, კაცისგან დაუცადია,
ავიგებ ბროლის სასახლეს ქვესკნელიდან და ცამდეა,
რომ შორიდან თქვან —
სიყვარულს შეხედეთ რა უწადია!..

— სუყველაფრის დამტეველო,
სუყველაფრის თავ-და-ბოლოვ,
პირქვე გულის მომბრუნველო
და მქცეველო გიშრის — ბროლად,
შენი შუქი ეფინება
ყოველივეს ეულს, ოლეს
და მოჰყვება შენს სიჩუმეს
მღვრიე გულის წმინდა თოვლი...

* * *

როცა სიყვარული არ არის ჩემში,
დღე იწყება იმაზე ადრე, ვიდრე ოდესმე
და კარადაშიც ზედმიწევნით წესრიგია და
ტანისამოსი ისე მორჩილად იხრჩობს თავს
საკიდებზე,
თითქოს უკვე დიდი ხანია ეს ფინალი გადაეწყვიტოს.
რადგან, როცა ჩემში არ არის სიყვარული,
ტანისამოსიც სულერთია.
„სულერთი“ კი დიდი სიმსუბუქეა წუთისოფელში.
როცა ჩემში სიყვარული არ არის,
ვემსგავსები მონადირე ძაღლს,
რომელიც ცდილობს, რამეზე დაიგლიჯოს ცხვირი
და ყველაზე
ხალხმრავალ, უხეო ადგილშიც თავისი წილი
მხეცი იპოვოს.
გავდივარ გარეთ და ყოველივე საამურად
ნაცრისფერია.
ვესალმები გამვლელებს, შეიძლება ავტობუსში
უმწეოებს ბილეთიც ავუღო,
გულდასმით ვითვლი წუთებს და ვანგარიშობ:
ამ ქუჩიდან იმ ქუჩამდე 20 წუთი,
ანუ დღის ფულის მეოთხედი,
ფულს კი თონის პურის სუნი აქვს და
სულაც არაა ბინძური ან საშიში,
ის ძვალივითაა და ყელში სანამ გაგეჩხირება,
უნდა გამოხრა.
როცა ჩემში სიყვარული არ არის,
მშვიდად ვთხრი ლოგინის სანგარს,
რომ ათასობით კილომეტრგავლილმა
ჩავფლა შიგ ჩემი დაღლილი ხორცი,
და სანგარი უნდა იყოს რაც შეიძლება ღრმა,
რაც შეიძლება ჯოჯოხეთის წარმოდგენებით,
რადგან როცა სიყვარული არ არის ჩემში,
მე არ ვიცი რასთან მქონდა ბოლო ომი,
რას შევეწირე.
როცა სიყვარული არ არის ჩემში,
ვხედავ როგორ იცვლებიან ჩემ გარშემო
ადამიანები,
ისინი ხდებიან აგრესიულები, მარტოსულები,
ზოგიერთი — ფსიქიკურადაც შეიძლება აიშალოს,
რადგან მე ვუშვებ მათკენ
უსიყვარულობის სხივებს და
ვინ იტყვის, რომ ეს მზე არ წვავს!
როცა ჩემში არ არის სიყვარული,
მას კარგავს გარშემო ყველა და
მე აღარც ლოგინის სანგარი
მშველის,
რადგან ყველა შეუძლებელ წარმოდგენას
ჯოჯოხეთზე
ჩემივე უსიყვარულობით ვჯობნი!
და მე ვხდები ბუზისხელა
მატლისხელა და ფრჩხილისხელა
დ ვიმალები ასანთის კოლოფში,
სანამ მოვა ვინმე,
წამომკრავს ხელს და
შედედებული ჯოჯოხეთის — გოგირდის თავით
სამყაროს ცეცხლზე
არ წამიკიდებს!..

„გორი, აგარა, ქარელი, სკრა“ ანუ „„ია აი““

დასასრული

ავად აღტაცების ის ვარიაცია! მწერალს თავისი დებულების დასამტკიცებლად სულაც არ სჭირდებოდა სამწევრიანი წინადადების ექვსივე ვარიანტი, და დასასრულის მსგავსად, შეიძლებოდა ხუთს დასჯერებოდა, მაგრამ მან ისეთი წინადადება შეარჩია, სადაც ექვსივე ვარიანტში შენარჩუნებულია წინადადების შინაარსი.

და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შემთხვევით გააკეთა მან ეს, ინტუიციურად თუ მრავალი ექსპერიმენტის შედეგად. ისიც ფაქტია, რომ ფართო მკითხველისათვის მისი შაშვი კედრზე გაცილებით ადრე გალობდა, ვიდრე ჩემი ერთი ჩრდილი გზაზე გაივლიდა ანდა მხარზე მზეს გაიდებდა მართლა თოხივით. არც იმას აქვს არავითარი მნიშვნელობა, რომ მე ოთარ ჩხეიძის ეს ეტიუდი ახლაღა წავიკითხე.

ასე რომ, თუმცა მე მანამდე ათეულობით სამსიტყვიანი წინადადება მიტრიალება წაღმა-უკუღმა, რაკი 1987 წლამდე არცერთი არ გამომიქვეყნებია, სამსიტყვიანი წინადადების ამგვარი დატრიალების პრიორიტეტი უდავოდ ოთარ ჩხეიძეს ეკუთვნის!

მაგრამ, აკი ზემოთაც ვთქვი, ვერა და ვერ დაგეთანხმები, ჩემო როსტომ, რომ „შესაკრებთა გადანაცვლების მექანიზმის მიგნება ოთარ ჩხეიძის სახელს, მის ექსპერიმენტატორულ ძიებებს უკავშირდება“.

„შესაკრებთა გადანაცვლების მექანიზმის“ მიგნება არა ოთარ ჩხეიძის ან პაატა ნაცვლიშვილის, არამედ იაკობ გოგებაშვილის სახელს უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში – ქართულ ენაში!

გოგებაშვილის „დედა ენის“ ის პირველი ოთხი სიტყვა გახლავს ამის მაგალითი, როსტომ ჩემო!

„აი ია.

ია აი.“

ეს გენიალური პალინდრომი, გინდა გეომეტრიული პოეზიის შესანიშნავი ნიმუში, ამავე დროს შესაკრებთა პოეტური გადანაცვლების ყველაზე მარტივი მაგალითია. სამსიტყვიან და ოთხსიტყვიან წინადადებებში შესაკრებები ოთარ ჩხეიძესაც გადაუნაცვლებია და პაატა ნაცვლიშვილსაც. ხუთსიტყვიანსა და ექვსსიტყვიანში – მხოლოდ პაატა ნაცვლიშვილს, მეტსიტყვიანში – ჯერჯერობით არავის. ასე რომ, ამ რიგში ოთარ ჩხეიძის ადგილი იაკობ გოგებაშვილსა და პაატა ნაცვლიშვილს შორისაა, უფრო გოგებაშვილისკენ.

დიდი ვერაფერი თავმდაბლობაა, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა: როცა საქმე „შესაკრებთა პოეტურ გადანაცვლებას“ ეხება, იაკობ გოგებაშვილის, ოთარ ჩხეიძისა და პაატა ნაცვლიშვილის ნიმუშები არსობრივად ერთი და იგივეა. მაგრამ მეორე ორს პირველის გენიალურობამდე ბევრი უკლია, ისევე, როგორც პირველ ორს – მესამის მათემატიკურ ეკვილიბრისტიკამდე.

ოთარ ჩხეიძის „ექსპერიმენტატორული ძიებების“ შედეგები, ისევე, როგორც პაატა ნაცვლიშვილისა, მხოლოდ კერძო შემთხვევები, კონკრეტული ნიმუშებია იაკობ გოგებაშვილის მიერ აღმოჩენილი იმ „მექანიზმისა“, რომელიც მე მათემატიკის ანალოგიით „შესაკრებთა გადანაცვლებად“ მოვნათლე და რომელსაც შენ „შესაკრებთა პოეტური გადანაცვლება“ უწოდე.

„ჩემო პაატა, დამეთანხმები, ამ თვალსაზრისით ნოველა „ავანსი“ წინამორბედია ლექსისა „შესაკრებთა გადანაცვლება“, – მწერ შენ.

ჩემო როსტომ, დამეთანხმები, ამავე თვალსაზრისით გოგებაშვილის „დედა ენა“ წინამორბედია ნოველისა „ავანსი“.

თუ ჩემი 720-სტრიქონიანი ლექსის (დანარჩენ სტრიქონებს თავი რომ დავანებოთ) წინამორბედად ოთარ ჩხეიძის იმავე პრინციპით დალაგებულ ექვს სტრიქონს (ვ)აცხადებ(თ), რატომ არ შეიძლება ოთარ ჩხეიძის ამ ექვსი სტრიქონის წინამორბედად გოგებაშვილის იმავე პრინციპით აგებული ორსტრიქონიანი შედევრი მივიჩნიოთ?

„და უშუალო შთამაგონებელიც რომ არ იყოს, ლამის სამი ათეული წლის წინათ შექმნილი ნოველა – როგორც შესაკრებთა გადანაცვლების მექანიკის მიმგნები, ქრონოლოგიურად დიდად უსწრებს „შესაკრებთა განადაცვლებას“, – წერ შენ.

ასეა, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის „აი ია“, როგორც „შესაკრებთა გადანაცვლების მექანიკის მიმგნები“ ქრონოლოგიურად კიდევ უფრო დიდად უსწრებს „ავანსს“.

ამ ყველაფრის შემდეგ ობიექტური მკითხველი, ალბათ, რამდენადმე სხვა კუთხით შეხედავს შენს (მო)თხოვნას სამართლიანობის აღდგენის მიზნით, წიგნში პუბლიკაციისას, „შესაკრებთა გადანაცვლებას“ ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნა წავუმძღვარო.

მკითხველს უდავოდ გაახალისებდა შენი ღია ბარათის ეს ადგილი:

...„თუ საგაზეთო პუბლიკაციისას უნებლიეთ გამომრჩებოდა, წიგნში სამართლიანობის აღდგენას წინ რაღა დაუდგებოდა!..

წინ რაღა დაუდგებოდა სამართლიანობის აღდგენას წიგნში.

სამართლიანობის აღდგენას წიგნში წინ რაღა დაუდგებოდა.

წინ რაღა დაუდგებოდა წიგნში სამართლიანობის აღდგენას.

წიგნში წინ რაღა დაუდგებოდა სამართლიანობის აღდგენას...“

ჩემეული „მექანიზმის“ შენეული გატრიზავების შემდეგ გახალისებულ მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ „შესაკრებთა გადანაცვლება“ რაღაც ბალღური თამაშია და რომ ვისაც არ დაეზარება, ყველას შეუძლია ასე გართობა. მაგრამ შენ (უკვე) იცი, რომ ამგვარი შთაბეჭდილება მოჩვენებითია. შენ მხოლოდ ხუთი ვარიანტი ჩამოთვალე ამ ექვსისტყვიანი წინადადების შესაკრებთა გადანაცვლების 720 ვარიანტიდან. კი, ამ ხუთივეში შენარჩუნებულია შენთვის საჭირო შინაარსი, მაგრამ დანარჩენ 715-ში? მე ხუთ სხვა ვარიანტს ჩამოვთვლი, რომელთაგან შენ ვერც ერთს ვერ აარჩევდი იმ შენი ხუთეულის თუნდაც გასაექვსებლად. თან ამოცანას ცოტათი გავირთულებ და ყველა მომდევნო სტრიქონს წინა სტრიქონის ბოლო სიტყვით დავიწყებ:

რაღა სამართლიანობის აღდგენას დაუდგებოდა წინ წიგნში.

წიგნში სამართლიანობის დაუდგებოდა რაღა წინ აღდგენას.

აღდგენას რაღა წიგნში სამართლიანობის დაუდგებოდა წინ.

წინ სამართლიანობის წიგნში რაღა აღდგენას დაუდგებოდა.

დაუდგებოდა წინ წიგნში აღდგენას რაღა სამართლიანობის.

დანარჩენი 710 ვარიანტი თავად შეგიძლია სცადო!

რაც შეეხება ღია ბარათის ბოლოში შენს მიერ დატრიალებულ ხუთსიტყვიან ფრაზას, თუმცა შენ მხოლოდ ოთხი ვარიანტი მოგყავს და არც მე გამისინჯავს დანარჩენი 116, ერთი შეხედვით, იგი სწორედ იმის ნიმუშია, როგორ არ იცვლება შინაარსი შესაკრებთა გადანაცვლებისას. ეს კი აუცილებლად სიხარულით უნდა ვთქვა და ხაზგასმით აღვნიშნო. აღვნიშნავ კიდეც რამდენიმე აბზაცის შემდეგ.

მხედველობაში მაქვს შენი ფრაზა:

„გზაბილიკებს ყოველთვის უნდა მივადევნებდეთ მზერას“.

ჩემო როსტომ, შენ კარგად მოგეხსენება ჩემი დამოკიდებულება შენდამი და ჩემი აზრი შენს შემოქმედებაზე. სხვისი არ ვიცი და, მე ვფიქრობ, რომ თითებზე ჩამოსათვლელ რამდენიმე სხვა კალმოსანთან ერთად შენ ის მწერალი ხარ, ვინც იმ თავისი კარგი ჟურნალითაც და უიმჟურნალოდაც რეალურად (წარ)მართავს დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ პროცესს, მაგრამ არც იმდენად, რომ მე მიკარნახოს, რომელი ჩემი ოპუსი რა მიძღვნით შევიტანო ჩემსავე წიგნში!

თუმცა სხვა შემთხვევაში, ალბათ, არც ეს იქნებოდა პრობლემა – რატომაც არა, სიამოვნებით მივუძღვნი(დი) „შესაკრებთა გადანაცვლებას“ ოთარ ჩხეიძის ხსოვნას, მაგრამ არა იმ ფონზე, რომელიც შენ შექმენი შენს ღია ბარათში ვახტანგ ჯავახაძისა და შოთა ნიშნიანიძის თუ მუხრან მაჭავარიანისა და ლადო სულაბერიძის ამბების გახსენებით, ან შენი ამ კატეგორიული, მრავალგზის გამეორებული რჩევა-წინადადებით.

შენ რომ გეთქვა – პაატა ჩემო, იქნებ შენს მომავალ წიგნში ამ ლექსის გამოქვეყნებისას რაიმე ფორმით აღგენიშნა მამაჩემის დამსახურებაო, ვინძლო მე სწორედ ის ფორმა ამერჩია, რომელსაც შენ ასე საგულდაგულოდ მიბეჯითებ.

მაგრამ ეს რომ ახლა ისე გავაკეთო, როგორც შენ მთავაზობ, ჩემგან არჩადენილი დანაშაულის აღიარება გამოვა, რასაც მე საკუთარ თავს კი არა, სხვასაც ვერ მოვუწონებ. ვერც იმაში დაგეთანხმები, რომ ეს „სამართლიანობის აღდგენა“ იქნება. ნეტა სადაც მართლა საჭიროა სამართლიანობის აღდგენა, იქ აღადგენდეს ვინმე!

1! = 1
2! = 2
3! = 6
4! = 24
5! = 120
6! = 720
7! = 5040
8! = 40320
9! = 362880
10! = 3628800
11! = 39916800
12! = 479001600
13! = 6227020800
14! = 87178291200
15! = 1307674368000
16! = 20922789888000
17! = 355687428096000
18! = 6402373705728000
19! = 121645100408832000
20! = 2432902008176640000
21! = 51090942171709440000
22! = 1124000727777607680000
23! = 25852016738884976640000
24! = 620448401733239439360000
25! = 15511210043330985984000000

თუ მაინცდამაინც მიძღვნაა, უფრო უპრიანი იქნებოდა, ჩემი „შესაკრებთა გადანაცვლება“ ოთარ ჭილაძის ხსოვნისთვის ან ჯანსუღ ჩარკვიანისთვის მიმეძღვნა – როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი ოპუსი სწორედ მათეულ ფრაზებზეა აგებული და მათი სიტყვების კალეიდოსკოპურ რიმეიქს წარმოადგენს.

ან თუ მაინცდამაინც სამართლიანობაა, იქნებ იაკობ გოგებაშვილი თუ მისი ხსოვნა უფრო იმსახურებდეს ამ ოპუსის მიძღვნას. მით უმეტეს, რომ სწორედ ახლა, როცა მე და შენ ერთმანეთს ვეხმიანებით, 175 წელი სრულდება მისი დაბადებიდან

ღმერთმა ყველა ღირსეულ კაცს შენნაირი ღირსეული შვილი მისცეს, როსტომ ჩემო, მაგრამ რაკი იაკობ გოგებაშვილს არათუ შენი დარი შვილი არ ჰყოლია, საერთოდაც უშვილძიროდ გადაეგო, განა ამის გამო ჩვენ მას რაიმე უნდა დავუკარგოთ?

თუმცა რადგან თავიდან არავითარ მიძღვნაზე არ მიფიქრია და მიძღვნის იდეა შენგან მოდის, გადავწყვიტე, „შესაკრებთა გადანაცვლება“ სწორედ შენ მოგიძღვნა ჩვენი ამ ძმური კითხვა-მიგების სამახსოვროდ და შენი უკიდეგანო შემოქმედებით ჩემი უკიდეგანო აღტაცების ნიშნად (აი, კიდევ ერთი ვარიაცია აღტაცებისა!). ესეც იმ სიხარულის ხაზგასმით აღნიშვნა, ზემოთ მოყვანილი შენეული ხუთსიტყვიან ფრაზის თუნდაც ნაწილობრივმა დატრიალებამ რომ გამოიწვია ჩემში!

მაგრამ არც მამაშენის ერთგვარი პრიორიტეტი მინდა დავტოვო ჩემგან აღნიშვნისა და აღიარების გარეშე, არც მას მინდა დავუკარგო თავისი: ფაქტია, რომ შესაკრებთა არაარითმეტიკული გადანაცვლების ერთი კონკრეტული შემთხვევა, კერძოდ – სამწევრიანი წინადადების შესაკრებთა გადანაცვლება პირველად სწორედ 1987 წელს გამოქვეყნებულ მის ნოველაში დაფიქსირებულა. და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა დანიშნულებით, რა მიზნით გააკეთა მან ეს. ჩემი პირველი და მთავარი პროფესიით მე ჟურნალისტი ვარ და ფაქტების პატივისცემა არავისგან მესწავლება.

სწორედ ამიტომ წიგნში დაბეჭდვისას ოთარ ჩხეიძის ხსოვნას მივუძღვნი ჩემს სხვა ლექსს, რომელიც სამწევრიანი წინადადების შესაკრებთა გადანაცვლების ქრონოლოგიურად მეორე გამოქვეყნებულ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს და, ამდენად, ოთარ ჩხეიძის სახელის ამ ლექსთან დაკავშირება უფრო ლოგიკური იქნება.

ვგულისხმობ ექვსსტრიქონიან ლექსს, რომელიც ასევე „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა 2013 წლის 15 მარტს.

საკვირველია, როგორ გამოგრჩა, ჩემო როსტომ, ეს ლექსი შენ, ჩემზე დაუძინებელ მკითხველს! ხოლო რომ გამოგრჩა, ეს უეჭველი ფაქტია, თორემ ამის წაკითხვისას უფრო უნდა გაგხსენებოდა ოთარ ჩხეიძის „ავანსი“, ვიდრე ახლა „შესაკრებთა გადანაცვლებისას“. ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია, რომ შენ ეს წაიკითხე და მაშინვე არ გაგახსენდა მამაშენისეული შაშვის გალობა კედრზე. მე ვფიქრობ, ჩემი ეს ოპუსი შენ სწორედ ისე გამომრჩა, როგორც მე გამომრჩა თავის დროზე ოთარ ჩხეიძის ის მშვენიერი ნოველა „ლიტერატურულ საქართველოში“!

ისე, ცოტა რომ გავხალისდეთ, არ დაგიმალავ და გეტყვი: ერთგვარი ნიშნისმოგებით გამიხარდა კიდეც, რომ არ წაგიკითხავს! აჰა, ბოლოსდაბოლოს როსტომსაც ხომ გამორჩა რაღაც-მეთქი!!!

და აი, ეს ლექსიც, რომელიც უკვე დღეიდან ოთარ ჩხეიძის ხსოვნას ეძღვნება:

არისთუარა ჯალათი მკვლელი?
მკვლელი არისთუარა ჯალათი?
ჯალათი მკვლელი არისთუარა?
არისთუარა მკვლელი ჯალათი?
ჯალათი არისთუარა მკვლელი?
მკვლელი ჯალათი არისთუარა?

არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ მე ეს ლექსი, ექვსჯერ სხვადასხვა კუთხით დასმული, მაგრამ ბოლოს მაინც პასუხგაუცემელი იმ თავისი ერთადერთი კითხვით, ძალიან, ძალიან-ძალიან მეძვირფასება.

ასე რომ, ჩემო როსტომ, შენი (მო)თხოვნა გადაჭარბებით შევასრულე: ცალკე მამაშენის ხსოვნას მივუძღვენი ლექსი და ცალკე – შენ.

თავად შენ კარგად იცი, მაგრამ სხვათა გასაგონად მინდა ვთქვა: არავინ იფიქროს, რომ ამას იმიტომ ვიქმ, თითქოს ამ ხერხით ან ლიტერატურული კარიერის მოწყობას ვცდილობ(დი) ან ამა თუ იმ კონკრეტული ოპუსის კონკრეტულ ჟურნალში გამოქვეყნება მინდ(ოდ)ა. არამც და არამც. მე არც ლიტერატურულ კარიერას ვესწრაფოდი ოდესმე და არც დაბეჭდვა მიჭირს სადმე, მით უმეტეს, რომ ის კონკრეტული ჟურნალი ამჟამად არ გამოდის.

წიგნი ჯერ არ შემიდგენია, მაგრამ რაწამს დაისტამბება, პირველს სწორედ შენ მოგართმევ.

ეს პასუხი კი, ჩემო როსტომ, ჭეშმარიტი კრიტიკის თავისებური აპოლოგიისა და კრიტიკული დაუმცხრალობის შეგულიანების გარდა, წინაპართა შემოქმედებისადმი, ზოგადად ლიტერატურისადმი ჩემთვის სანიმუშო შენეული გარდარეული სიყვარულის აღიარებად და პატივისცემადაც მიითვალე.

კვლავაც მიგულე შენს ძმად,
პაატა ნაცვლიშვილი

პ.ს. შენი ღია წერილი რომ წავიკითხე, ვიფიქრე დავურეკავ, შევხვდები და ყველაფერს დაწვრილებით ავუხსნი-მეთქი. ასეც ვუთხარი „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორს და ვცადე კიდეც შენთან დარეკვა. მაგრამ შენთან ტელეფონით დაკავშირება, იცი, ძნელია და ამიტომ მეც ღია ბარათის ფორმა ავირჩიე. მით უმეტეს, რომ ეს ფორმა შენგნით არის შემოთავაზებული. თანაც ვიფიქრე, იქნებ ეს ყველაფერი სხვისთვისაც საინტერესო იყოს-მეთქი.

პ.პ.ს. გისურვებ დროებით შეჩერებული შენი ჟურნალის დროულად აღდგენებას. უიმისოდ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება ძალიან გაღარიბდ(ებ)ა.

პ.პ.პ.ს. დავსვი წერტილი და ის შენი გამოხმაურებიანი გაზეთი გვერდზე გადავდე. თვალიც როგორღაც გვერდზე გადადებულ გაზეთს გაჰყვა და აქამდე რომ ყურადღება არ მიმიქცევია ის სიტყვები მოხვდა შიგ გუგაში: პირველ გვერდზე ლია სტურუას ლექსია დაბეჭდილი „ია აი“! ეს სწორედ ისაა, რაც ზუსტად შეესაბამება ჩემს პასუხს-მეთქი გავიფიქრე და რაკი „გორიაგარაქარელისკრა“ ბოლომდე ვერ გავიმეტე, თავდაპირველი სათაური გვერდზე ჩავაჩოჩე და „ანუთი“ დავაშორე ამ ახალს. ლია სტურუას გოგებაშვილისეული „ია აი“ წინწკლებში ჩაუსვამს. არ ვიცი, ვინმეს მოსვლია თუ არა თავში ამგვარი პუნქტუაციური ექსპერიმენტი, მაგრამ ახალი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მე სათაურის ამ ნაწილს ორმაგ წინწკლებში ჩავსვამ, ხოლო სკრას, აგარას, ქარელსა და გორს, ოთხივეს ერთად, ცალ წყვილ წინწკლებს ვაკმარებ.

პ.პ.პ.პ.ს. რაც გინდა თქვი, ჩემო როსტომ, და, ეს პოსტსკრიპტუმები, საზოგადოდ, ძალიან უხდება ეპისტოლურ ფორმას!

გულის ფიცარზე დაწერილი

ეს ამბავი ძალიან ბევრჯერ ჰქონდა ნაამბობი მამაჩემს, მის ნაცნობ-მეგობრებს, თვითმხილველებს და ჩვენც — მის შვილებს. ამ ამბის არაერთი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, ვერსია ხშირად მომისმენია უცნობი ადამიანებისგანაც. უკვე თითქმის მოარულ ამბად იქცა და ვიდრე საერთოდ დაუკარგავს ორიგინალის სახე, წერტილი უნდა დავუსვა და მოგახსენოთ ის, რაც მართლა საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით მოვისმინე.

ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე ვიყავი, მამაჩემმა შავი ზღვის პირას, გულრიფშში, ერთი უკრაინელი მოხუცი ქალისგან პატარა, კირით შეღებილი ქოხი და 800 კვადრატული მეტრი მიწა იყიდა. ორი წლისთავზე დედაჩემმა და ბაბუაჩემმა ის ქოხი დაანგრიეს და მის ადგილას ორმეტრიანი, ოჩოფეხებზე შემდგარი ფინური ხის სახლი „წამოჭიმეს“.

მამაჩემმა სახლი თეთრად შეღება და ბეტონის სარტყელზე, ფასადის მხრიდან, წითლად „ნოდარ დუმბა“ დააწერა. ეს ამბავი, ეტყობა, არ გამოპარვია ვისაც საჭირო იყო და მალე აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი ეწვია მამას ჯანმრთელობის და ახალის სახლის მოსაკითხად. იხილეს რა ფასადზე წითელი წარწერა, მორიდებულად იკითხეს: რაო, ბატონო ნოდარ, აფხაზურ გვარზე გადახვედითო? ბატონმა ნოდარმაც არ დააყოვნა და იქვე მიუგო: არა, „ძე“-ზე საღებავი გამითავდაო. ხელმძღვანელობამ და დამსწრეებმა გულიანად იცინეს. მერე ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო და მთელმა ქვეყანამაც გულიანად გაიცინა.

ეს მოხდა გასული საუკუნის სამოციან წლებში. მას შემდეგ არაერთხელ უთხოვიათ ჩემთვის, ერთი მოგვიყევი, რა დააწერა მამაშენმა აფხაზეთში თავის აგარაკსო.

კი, ნამდვილად ასე იყო: დიდი წითელი ასოებით დააწერა „ნოდარ დუმბა“ და თქვა, „ძე“-ზე „კრასკა“ გამითავდაო. ახლა, როცა აფხაზეთთან დაძაბული ურთიერთობაც სანატრელი გაგვიხდა, ანუ აღარავითარი ურთიერთობა აღარ გვაქვს, ძალაუნებურად მეფიქრება, მართლა რატომ დააწერა მამამ გაგანია სოცრეჟიმის, მეტიც, ზასტოის დროს თავის თეთრ სახლს წითელი ასოებით „დუმბა“ (ტიპური აფხაზური ჟღერადობის გვარი)? ეს მართლა ხუმრობა იყო თუ ისეთი ხუმრობა, რომელშიც რაღაც ნაწილი (მთელი თუ არა) სიმართლეა?

ნოდარ დუმბაძის მკითხველმა კარგად უწყის, რომ მის ნაწარმოებებში სიხარული და სევდა, ხუმრობა და ცრემლი ურთიერთმონაცვლე, მარადთანაარსებული ცნებებია და იქ, სადაც მუცლისტკივილამდე იცინი, გულისგასკდომამდეც ტირი ხოლმე. ნუთუ სწორედ ეს ხერხია ფარულად გათამაშებული იმ ცნობილ წარწერაში? „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“ — ხოლო „ნოდარ დუმბა“ (ძე-ს გარეშე) კი საკუთარ ნავსაყუდელზე ამოტვიფრული უბრალო სიტყვები გარდაუვალი მოვლენის ჯერ მხოლოდ მკრთალი კონტური ან წინასწარმეტყველება ხომ არ არის, რომელიც თავად წინასწარმეტყველს ტვინს უღრღნის და ბავშვივით აშინებს?

ანზორ დუმბაძე მიყვებოდა: ერთხელ ნოდარმა მთხოვა, აფხაზური ნანა მასწავლეო. მე გულდაწყვეტით მივახალე, რად გინდა, ნოდარ, აფხაზური ნანა, რატომ ეფერები ასე აფხაზებს, არ დაგიფასებენ, არ არიან მაგის ღირსი-მეთქი. მაინც მასწავლებინა და ისე ტკბილად ვიმღერეთ ორ ხმაში, ცრემლად დავიღვარე. ამ წამისთვის ახლა სიცოცხლეს დავთმობდიო. აი, ამას მეუბნებოდა ძია ანზორი. ისიც აღარაა, ამ ქვეყნიდან წავიდა, როგორც ლტოლვილი, საკუთარი ბუდიდან გადმოგდებული და „იძულებით გადასახლებული პირი“ საკუთარ სამშობლოში. იმ ქვეყანაში აფხაზური ნანას მონატრება გაიყოლია.

წაგიკითხავთ, ალბათ, „გული“ — მამაჩემის ესსე აფხაზეთზე. იქ იმ ნანაზეც წერია, სოხუმელ დეიდებზეც, დეიდაშვილებზეც, აფხაზ მეზობლებზე, სოხუმის ცაზე, ზღვაზე, ყველაფერზე, რაც გულისფიცარზე იწერება, ზედ უკვდავების ბეჭედი აჯდება და მერე შანთითაც არ ამოიშლება. ეს ის წარწერაა, რაც თან უნდა გაგყვეს უკეთეს სამყაროში... რასაც ვერაფრით ამოძირკვავ... ბუნებაში არაფერი იკარგება!

მანანა დუმბაძე

„ცოცხალი წიგნების დღიურების“ სანაცვლოდ

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი წიგნები“ — მონაწილე მეც გახლავართ და პროექტის დაწყებიდან დღემდე უკვე ოთხჯერ ვიმოგზაურე „ცოცხალ წიგნებთან“ ერთად ქვემო ქართლში, სამეგრელოში, აჭარასა და რაჭაში. აქედან, სამეგრელოში — ნამდვილ მონაწილედ, დანარჩენ რეგიონებში კი — „მოხალისე წიგნად“. როგორც ყველას, მეც დამევალა ამ პროექტში ჩემი წვლილის ამსახველი დღიურის წარმოება. მერწმუნეთ, გულდასმითა და დიდის მონდომებით ვაკეთებდი ჩანაწერებს, მერე მათ „ფეისბუქზე“ ვაქვეყნებდი ფოტოებთან ერთად, მაგრამ, როგორც კი ამ ჩანაწერებს მხატვრული სახის მისაცემად ჩავუჯდებოდი, მაშინათვე კალამი და გონება სულ სხვაგან გამირბოდა. და იცით, საით? ისევ იმ მოუნელებელი სამშობლოსკენ, ჩემი აფხაზეთისკენ, გულრიფშისაკენ! თანაც ბედად, ყოველ შეხვედრაზე, საკუთარი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, ვიღაც დაბარებულივით მოდიოდა თვალცრემლიანი და მეუბნებოდა — იცით, მეც გულრიფშიდან ვარო. გამოდის, რომ სწორედ „ცოცხალი წიგნების“ იდეით დამუხტულმა, მართალია, სულ სხვას, მაგრამ ჩემთვის უმთავრესსა და უმნიშვნელოვანეს სიმს გამოვკარი ხელი ჩემ შთაგონებაში.



ბა. ეს ის წარწერაა, რაც თან უნდა გაგყვეს უკეთეს სამყაროში... რასაც ვერაფრით ამოძირკვავ... ბუნებაში არაფერი იკარგება!

წავალ და აფხაზურ ნანას ვისწავლი! სად? მამაჩემის გულისფიცარზე წერია, ესე იგი, ჩემ გულზე. გახსენება უნდა მხოლოდ, მეტი არაფერი!

P.S. უკვე მერამდენე დელეგაცია მიდის საქართველოდან აფხაზეთში „რაღაცაზე მაინც“ მოსალაპარაკებლად. მე არცერთში მოვიაზრები. ეტყობა, ასეა საჭირო!

ლენინი გულრიფში

აგვისტოს პაპანაქება სიცხეში, დილაადრიანად, სოხუმიდან მამაჩემის დეიდაშვილი კოკა ღვინჯილია დაგვაცხრა, გრიშა ბიძია სასაწრაფოდ ნოდარს იბარებსო.

— რა ხდება, ხომ მშვიდობაა? — იკითხა მამაჩემმა.

— გუშინ კინაღამ მოკვდა გრიშა ბიძია, მთელი ღამე თავზე ვადექით, გვთხოვა, გულრიფშიდან ნოდარი ჩამომიყვანეთო.

— რატომო?

— ამბობდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა დავუტოვოო, — თქვა კოკამ.

— მაინც რაო?

— არ ამბობს, ძალიან მნიშვნელოვანიო.

— ვა... გრიშა ბიძიამ, კაცო? — წუხდა მამაჩემი.

გრიშა ბიძიას მეც მოვესწარი. სიტყვა არასდროს გამიგია მისგან. ბავშვის აღქმით, ერთი უჟმური, კოპებშეკრული კაცი იყო და სულ არ გავდა თავის მხიარულ ცოლს, მამაჩემის „წიოწია ტამარას“ (დეიდა თამარას), თავისი იუმორითა და სოხუმური „სვეცკი“ ისტორიებით. დედასავით მხიარული იყო მათი ქალიშვილი ნელიც, გრიშა ბიძია კი სულ მდუმარედ დაიარებოდა მათ შორის ან სავარძელში იჯდა და „კომუნისტს“ კითხულობდა. პენსიამდე, მგონი, სოხუმის პორტის მთავარი ფინანსისტი იყო, მგზნებარე კომუნისტი და მარქსისტი. ნათესავი კაცებიდან რეპრესიებს მარტო ეგ გადაურჩა და ამიტომ ობლად დარჩენილი ცოლისდიშვილების მთელი არმია მისი სარჩენ-საპატრონო გახდა. ათი წლის განმავლობაში, ვიდრე ბავშვები არ წამოიზარდნენ და ცოლების ნაწილი გადასახლებიდან არ დაბრუნდა, დეიდა თამარა და გრიშა ბიძია შეძლებისდაგვარად ეზიდებოდნენ ამ ჭაპანს ... მოკლედ, კეთილი კაცი ყოფილა გრიშა ბიძია, სულ ტყუილად არ მომწონდა ბავშობაში.

მამამ სასწრაფოდ მანქანა დაქოქა და კოკასთან ერთად სოხუმში წავიდა. სახლში გვიან ღამით დაბრუნდნენ. მანქანიდან თეთრ ტოლოში გახვეული რაღაც მძიმე ნივთი გადმოათრიეს და გაუხსნელად აიტანეს სახლში. ჩვენ უკან მივყევით. მამამ ის რაღაც გახვეული თავის კაბინეტში შეიტანა და შუა ოთახში დადგა. მერე თეთრი ტილო შემოხსნა ზუსტად ისე, ქანდაკებებს რომ ხსნიან ხოლმე საზეიმოდ. ჩვენს წინ პროლეტარიატის დიდი ბელადის — ვლადიმერ ლენინის — ბრინჯაოს ქანდაკება იდგა. გაოცებულები შევცქეროდით ბიუსტს, მერე მამას, მერე კოკას, მერე ისევ ბიუსტს.

— რა არის ეს? — იკითხა ბოლოს დედაჩემმა.

— დიდი ბელადი! — იყო პასუხი.

— მაგას ვხედავ, საიდან მოვიდა?

— გრიშა ბიძიას ანდერძიდან, — სხაპასხუპით უპასუხა მამამ.

— ნეტავ რა ნიშნით? — იკითხა დედამ.

— დეპუტატობამ უშველა, თორემ ისე ვინ აღირსებდა, — ასევე დაუფიქრებლად უპასუხა კოკამ, — იმედია, სანდო ხელში ვტოვებო, თან დააყოლა.

— ახლა როგორაა? — ჩაეკითხა დედა.

— რა უჭირს, როგორც იქნა დაუგდეს წნევა, ლენინიც დააბინავა და რაღა მოკლავს ახლა, — უპასუხა კოკამ.

— აქ ხომ არ იდგება, რა ვუყოთ ახლა ამას, — აფორიაქდა დედაჩემი, — სად წავიღო?

— წითელი კუთხე გახსენით და წერეთლებთან რომ სუსლოვის შვილიშვილი ისვენებს, ის მოიყვანეთ ყოველდღე პატაკის ჩასაბარებლად, — დაუკრეფავში გაუტია კოკამ.

— არა, მართლა სად წავიღო? — სასოწარკვეთით იკითხა მამაჩემმაც.

— გზაში ვერ გადააგდე? — შეუტია დედაჩემმა.

— სად გადამეგდო, ქალო, ლენინია ბოლოს და ბოლოს.

— ტროცკისტის შვილი შენა ხარ და მე, დამსახურებული კომუნისტების შთამომავალს მეკითხები, ლენინს რა ვუყოო? — არ უთმობდა დედაჩემი.

— ნავით გავიყვანოთ ზღვაში და პატივით ჩავძიროთ, — წაიჩურჩულა კოკამ.

— გენიოსი ხარ! — შევყვირეთ ერთხმად.

— გვიან ღამე გავიტან ნავით და ზღვაში ჩავძირავ, — გადაწყვიტა მამამ.

უმთვარეო ღამეს, უკუნეთ სიბნელეში მამამ და კოკამ გარაჟიდან ნავი გამოიყვანეს, შიგ ლენინი ჩაასვენეს და ზღვაში გავიდნენ. სახლში ბელადის ბიუსტის გარეშე დაბრუნდნენ. კოკამ დაიფიცა, რომ ამ შავბნელი აქტის შესახებ სიტყვა არსად დასცდებოდა, განსაკუთრებით, გრიშა ბიძიასთან. ასეც მოიქცა გრიშა ბიძიასთან მიმართებით, თუმცა „ჭორმა“ მაინც გაჟონა პორტში და ძველი სოხუმლები ერთხანს დილის ყავასთან ერთად გულიანად ხალისობდნენ შავ ზღვაში დაძირულ ლენინზე. რას წარმოიდგენდნენ, თუ ამ ამბავს კიდევ უფრო სასაცილო გაგრძელება ექნებოდა. გულრიფშის ის ზაფხული რაღაც ძალიან სიმბოლურ-რევოლუციური გამოდგა. ზღვას დაწყნარება არ ეღირსა, შტორმს შტორმი მოსდევდა. ბოტები და ლაბადები ვეღარ გავიხადეთ, ბუხარი დღე და ღამე გიზგიზებდა. ჩვენი სახლი ტურბაზად იქცა. სასოწარკვეთილი ახლობელი და შორებელი დამსვენებლები წვიმას თავს ჩვენთან აფარებდნენ, ბუხართან თბებოდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. მამაჩემს თითქმის გადაუარა დიდი ბელადისადმი ჩადენილი ცოდვით გამოწვეული სინდისის ქენჯნამ და საღამოობით სტუმრებს ათასსა და ერთ ზღაპარს მშვიდად უამბობდა. მოკლედ, სახლში ჩვეულებრივი, გულრიფშული იდილია სუფევდა. რა ვიცოდი, ამ იდილიის ფინალი თავისი დინამიკითა და სიმძაფრით ფანტასტიკის ჟანრსაც თუ გადააჭარბებდა. შუაღამეს მთელი ოჯახი ეზოს ჭიშკარზე ბრახუნმა გაგვაღვიძა. კოკისპირულად წვიმდა. ყველა ფანჯრიდან თავები გავყავით. მამაჩემმა, რომელი ხარო, დაიძახა. პასუხად ისევ ბრახუნი გაისმა.

— ეტყობა, ისევ ლოდი მოათრია და ჭიშკარზე ახათქუნებს, — თქვა მამაჩემმა.

— ვინ? — ვკითხე უაზროდ.

— ზღვამ, წავალ ვნახავ, — მამამ თავზე ლაბადა გადაიფარა და გარეთ გავიდა. ჩვენ ფანჯრიდან ვუყურებდით. ჭიშკართან ხმაური შეწყდა. მამაჩემი ბილიკზე რაღაცას მოახრიგინებდა.

— ეს რა არის? — უცებ შეჰყვირა დედაჩემმა, — ისევ ის?

— ისევ ის და ისევ ის, — წაიმღერა მამაჩემმა და შუა ეზოში სახლის წინ ლენინის ბიუსტი დადგა. — დაბრუნდა, დიდი ბელადი დაბრუნდა, ის არ წასულა, ის მარად ჩვენთანაა!

— აქ ხომ არ უპირებ დადგმას? — ვკითხე და სიცილი წამსკდა.

— მორჩით ტლიკინს და სინათლეები ჩააქრეთ, — გვიბრძანა მამამ.

იმ ღამეს ლენინმა ჩვენს ეზოში გაათენა. დილას მამამ კაბინეტში აიტანა და რომელი სუდარითაც სოხუმიდან ჩამოაბრძანა, იმავე სუდარაში გაახვია. მეზობლებს ლენინის არც წაბრძანება და არც დაბრუნება დაუნახავთ. თუმცა შუაღამეს ჩვენ ჭიშკარზე ბრახუნი ყველამ გაიგო. მამაჩემმა ეს ამბავი ზღვიდან ერთ დროს მოგორებულ ლოდს დააბრალა. დაწყნარდა თუ არა ზღვა, მამამ სოხუმიდან კოკა გამოიძახა. კოკას გაკვირვებაზე აღარ შევჩერდები, თავად წარმოიდგინეთ... მათ სუდარაში გახვეული ლენინი ისევ ნავით გაიტანეს ზღვაში და კიდევ უფრო შორს ჩაძირეს. გრძელი ამბავი რომ მოკლედ მოვჭრა, პირველსავე შტორმიან ღამეს ლენინი ისევ შტურმით მოადგა ჩვენი „ზამთრის სასახლის“ ჭიშკარს. ისევ გავიდა მამაჩემი კოკისპირულ წვიმაში გარეთ და ისევ შემოათრია ლენინი ეზოში.

ამჯერად ლენინის დანახვაზე ხმა არ ამოგვიღია. ისევ ჩავაქრეთ სინათლეები და ვითომ არაფერიო, დავიძინეთ. პირადად მე, გამოგიტყდებით, კიდეც შემრცხვა, ასე უპატივცემულოდ, „ვანდალურადაც“ კი, რომ მოვექეცით მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს. მამაჩემმა ბიუსტი კაბინეტში დააბრუნა და წიგნების კარადასა და კედელს შორის მიუჩინა

დასასრული მე-13 გვერდზე

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სამი სცენა „ფაუსტიდან“

ბნელი ტალანი

ფაუსტი, მეფისტოფელი

მეფისტოფელი
მაგ სიბნელეში საით მიმათრევ,
გარეთ კვლავ გიმძიმს თავის გაყოფა?
ხალხის სიჭრელე, მზე და სინათლე?
შვება-სიცილი, ზმობა-ლაღობა?

ფაუსტი
კარგი, გეყოფა, შეცვალე კილო,
გაცვთა ეგ შენი ძველი ჯღანები!
ბანზე ამიგდო სათქმელი, ცდილობ,
მხოლოდ მაგისთვის მექაქანები.
არადა, თავი, კარგად იცი, რა ჭირშიც გავყავ,
სადაც არ წავალ, მეფის კაცთა მარტყია ალყა.
ღელავს ხელმწიფე, მაჩქარებს და არა იცის რა,
ხილვა სწადია ელენესი და პარისისა.
ნებავს, სრულქმნილი ქალისა და ვაჟის სახება,
ლანდად კი არა, ცხადად ნახოს, თვალშესახებად.
უნდა მიმოდგე, ვუთხარი და ვერ გავტეხ სიტყვას.

მეფისტოფელი
ამჩატებულხარ, სახლიკაცო, ზედმეტი გითქვამს.

ფაუსტი
ის როგორ იყო, ხელოვნებით საჯადოქროთი
თავს რომ იქებდი, დაოთხილი მიქრი-მოქროდი?
სად მიგვიყვანდა, ვერ ხვდებოდი, ის ჯომარდობა?
გავამდიდრეთ და, ეგეც ეგრე, ითხოვს გართობას.

მეფისტოფელი
ადვილი საქმე გიპოვია — დასტვენ და მოვა!
გინდაც უკუნში საფეხურებს მისჭრიდე კლდოვანს!
უგზო მხარეა, ნურც ძალიან გადიდგულდები.
ელენეს მანდით გამოხმობა ის არ გეგონოს,
კაცმა ხელდახელ ქაღალდების დასტა შეკონოს,
ვითომ ოქროა, აფარფატოს ფურცლის გულდენი.
მოჩვენებათა ნახვა გნებავს? ჯადოსან ქალთა?
ჩიყვიან გნომთა? მიმსახურე, ჯარობას ვმართავ!
ეშმას ტურფები მოგესურვა? დას-დასად არი!
გმირი ქალების არ გახლავან თუმცა სადარი.

ფაუსტი
ისევ ის ჰანგი! ნაყალბევი გმინვა და ოხვრა!
რასაც არ მოგთხოვ, სამძიმოა და სატაატო!
უნდა ყველაფერს უჩვეულო ფასი დაადო.
თითქოს წამშივე არ შეგეძლოს ორივეს მოგვრა.

მეფისტოფელი
ეგრეც ნუ იტყვი, წარმართებთან მე ხელი არ მაქვს,
თავისი ცალკე ჯოჯოხეთი უპყრია წარმართს.
და მაინც არის ერთი ხერხი... უცხო რამ ჯადო...

ფაუსტი
მერედა, რაღას მახვეწნინებ? თუ არის, ვცადოთ!

მეფისტოფელი
საიდუმლოა დიდზე დიდი... მეც ვეკრძალები.
მარტოდ სუფევენ მაღალ ტახტზე ის ღმერთქალები,
სიარაფრეში, დროს და სივრცეს რომ არ ედები.
მათი სახელი დედებია.

ფაუსტი
რა თქვი? დედები?
დედები?

მეფისტოფელი
შეკრთი?

ფაუსტი
რატომ ჟრჟოლა არ მეკიდება!
გაისმის ძალზე უცნაურად...

მეფისტოფელი
არის კიდევაც.
თქვენ, მოკვდავებმა, არსებობაც მათი არ იცით,
ჩვენც ვერიდებით, არ ვახსენებთ დიდი ხალისით.
რაკი მიზეზი მაგ საქმისა შენ თვითონა ხარ,
შენვე წახვალ და მათ სამყოფელს მარტო მონახავ.

ფაუსტი
გზა სად ვიპოვო?

მეფისტოფელი
არ არსებობს გზა არაგვარი,
უგზოზე ივლი, არა მხარეს არ წანაგვარი.
მოუხილველი ადგილია. მზად ხარ წახვიდე?
არსად კარი თუ ცხრაკლიტული გასაღებელი,
სიმარტოვეა ერთადერთი მეგზურ-მხლებელი,
ვერაფერს ნახავ ხელმოსაჭიდს თუ შესახიდველს.

ფაუსტი
იმ დიაცივით წინაუკმობ, ქაჯის ქალივით!
კვლავ ცხვირში მეცა კუდიანის სამზარეულო!
ის ჩემი ჭირიც გამახსენა, ჟამი ჩავლილი,
სიცარიელეს რომ ვსწავლობდი და ვასწავლიდი!
ო, სიბრძნის კარო! ზმანებებო შხამგარეულო!
მეგონა, მართალს ვღაღადებდი, მაგრამ ჩემს ღაღადს
ხმით, უფრო მძლავრით, შიგნიდანვე ახშობდა რაღაც.
მერე ის ხმები, ის ჭიდილი მალვე დავტოვე,
ყრუ ალაგს ჩავჯექ, შევეფარე ჩემს სიმარტოვეს,
და, როცა მივხვდი, არც ეგ იყო, რაც მე მინდოდა,
ეშმაკისათვის გადავწყვიტე თავის მინდობა.

მეფისტოფელი
ზღვაშიც რომ მოხვდე, არა ჩანდეს ირგვლივ ნაპირი,
მხოლოდ უსაზღვრო სივრცე იყოს, სხვა არაფერი,
მაინც ათასი სანახავით სავსეა მზერა,
ზღვა ადი-ჩადის, მიირწევა ტალღა ტალღაზე,
დათამაშობენ დელფინები, მზე დაგჩახჩახებს,
იქ კი, იმ წმინდა არარაში, ვერ ნახავ ვერას,
თვით საკუთარი ნაბიჯისაც არ გესმის ჩქამი,
მცირე სიმყარეს ვერ მოიძევ, დაეყრდნო წამით.

ფაუსტი
მისტაგოგური ჩმახებია, რასაც მიყვები,
მხოლოდ ერთგული ნეოფიტის გასაბრიყვები.
თან განზე დგომას ამჯობინებ! მე მგზავნი მარტოს!
ალბათ იმისთვის, ჩემი ცოდნა ჩემითვე ვზარდო.
იგავის კატად გსურს მაქციო — ვიცი, რაც გინდა,
შემწვარი წაბლი გამოვზიდო ცხელი ნაცრიდან.
მაინც მივდივარ, უკუნეთშიც ჭიატებს სხივი,
შენს არარაში ყოვლის პოვნის იმედი ჭვივის.

მეფისტოფელი
უნდა ალალი ქება გიძღვნა, სანამ წახვედი:
სულ ზეპირ იცი ეშმაკი და მისი ზრახვები!
ეს გასაღებიც თან წაიღე.

ფაუსტი
რა პატარაა!

მეფისტოფელი
შენი საქმისთვის, დამერწმუნე, ცოტაც არაა.

ფაუსტი
როგორ უეცრად გაიზარდა, — ბრწყინავს, ანთია!

მეფისტოფელი
ჰგავს, უკვე მიხვდი: სულ სხვაგვარი ანდამატია.
ეს გიმეგზურებს, უკან მიჰყევ დაიმედებით,
ფსკერზე ჩაგიყვანს, დაგხვდებიან სადაც დედები.

ფაუსტი
დედები! ისევ ჟრჟოლა მომდო და შემარხია!
ამ ერთ სიტყვაში რამოდენა ძალა მარხია!

მეფისტოფელი
მაინც კაცი ხარ კაცთაგანი, გზარავს უჩვევი!
ყალყზე უდგახარ! მხოლოდ ნაჩვევს არ ეურჩები.
კაცი ამდენი სასწაულის იყო მნახველი
და უცებ ერთმა მცირე სიტყვამ დაგცეს ნაღველი!

ფაუსტი
რის მაქნისი ვარ, თუ გავხევდი, გრძნობები გაცვთა!
ძრწოლის უნარი უკეთესი წილია კაცთა.
საღვთო ძრწოლისგან შეუძვრელმა, სად რა ვეძიო!
უკიდეგანოს, ზღვარდაუდებს, რითღა ვეწიო!

მეფისტოფელი
მანდ, მაგ მხარეში, სულერთია „ადი“ და „ჩადი“:
გარს არა ნივთი, საგნიერი არა რამ ხატი,
არ განირჩევა „წინ“ და „უკან“, „ზევით“ და „ქვევით“.
ჩრდილები თრთიან, გარდასული და უარსებო,
მზერას ახშობენ, ღრუბლებივით დიან გარშემო,
უნდა გარეკო, გასაღების გაფანტო ქნევით.

ფაუსტი, *შემართებით*
აჰა, ხელთ ვიპყარ და ჩემია მთელი სამყარო!
არ მეგულება არა პინა, ვერ გადავხარო!

მეფისტოფელი
ბნელში სამფეხა ზედადგარი თუ აელვარდეს,
მაგით მიხვდები, დასული ხარ ფსკერთა ფსკერამდე.
მის შუქზე დედებს დაინახავ, დგანან და სხედან,
ან მიმოდიან, — სწორედ ისე, აქ როგორც ხდება.
სახეთა სახვა — გარდასახვა — შრომა წრიული
მათი საქმე და შესაქმეა მარადიული!
და, რადგან მხოლოდ არსს უცქერენ, არსებებს არა,
ვერ შეგამჩნევენ, მაგრამ მაინც დიდია საფრთხე,
ჯიქურ მიიჭერ, გასაღები შეახე სამფეხს.

ფაუსტი, *მბრძანებლური მოძრაობით გასაღებს შემართავს.*

მეფისტოფელი
ჰო, აი ასე! და ერთგული მსახურის დარად
თან გამოგყვება, დასრულდება მით განსაცდელი,
სანამ დანაკარგს შეამჩნევენ, კვლავ აქ გაჩნდები.
შელოცვის გარდა არ დაგრჩება სხვა საფიქრალი,
დადექ, ბნელთაგან გამოიხმე გმირიც, გმირქალიც!
მაგიის ძალით შენივთდება საკმევლის კვამლი,
ამოიზრდება ღვთაებრივი მდედრი და მამრი.

ფაუსტი
ახლა კი რა ვქნა?

მეფისტოფელი
გაემგზავრე მშვიდი გუნებით,
ჩახვალ-ამოხვალ ფეხის თითო დაბაკუნებით.

(ფაუსტი მიწას ფეხს დაკრავს და ჩაეშვება.)

იხმარს გასაღებს? რა იქნება, როგორ იქნება?
ამობრუნდება? სამუდამოდ იქ დაინთქმება?

გადაჩახჩახებული დარბაზი

კაიზერი და დიდებულები.
მთელ სამეფო კარს დიდი ფორიაქი შესდგომია.

კამერჰერი, *მეფისტოფელს*
შფოთავს ხელმწიფე, —
სულთა სცენა კვლავ გმართებთ ჩვენი.
ნულარ გავწელავთ, თუ აკეთებთ, დროულად ქმენით.

შინაგანმგებელი
ჯერი არ არის, ვალოდინოთ ხელმწიფე დიდხანს.
რა ხდება, რატომ არ იწყებთო, მალ-მალე გვკითხავს.

მეფისტოფელი
მაგისთვის ჩემი თანამოძმე იღვწის კეთილად,
მშვიდი ადგილი მოუნახავს, შიგ შეკეტილა.
იცის ეგ საქმე, გზა და ხერხი ათასმაგი აქვს,
ზედ შეაკვდება და თავისას მაინც გაიტანს.
მაღალს მოითხოვს ხელოვნებას, ბრძენთა მაგიას,
მშვენიერების გამოხმობა არარაიდან.

შინაგანმგებელი
ჩვენ საქმე გვინდა, ხელოვნება ჩვენ არ გვეხება!
ბევრსაც არ გასტანს, იმედია, ეგ შეფერხება.

ქერა ქალი
ბატონო ჩემო, ერთი წამით მომხედეთ, გვედრით!
კანი მაქვს, ნაზი, დაწმენდილი, თოვლივით თეთრი.
მაგრამ როგორც კი გაზაფხულის დგება დარები,
მზე დამხედავს და უმალ ჭორფლით დავიფარები.
მხრებზე, სახეზე შავ-წითელი მასხას ფორეჯი.
იქნებ წამალი არსებობდეს მოსაშორები?

მეფისტოფელი
მაშ, მაისიდან ეგ სუფთა და ქათქათა კანი
ისეთი ხდება, გინდაც შენი პანტერის ტანი?
უნდა ბაყაყის ქვირითი და გომბეშოს ენა
სავსემთვარობას მოადუღოთ მობლანტო წვენად.
ტანზე წაისვით, უებარი გახლავთ წამალი,
თქვენი ჭორფლისგან არ დარჩება არც ნატამალი.

შავგვრემანი ქალი
მეც, მეც მომხედეთ, სანამ ხალხი შემოგესიათ!
ამ წინას ფეხი მომეყინა, სიარულს მიშლის,

ცეკვა ხომ, მორჩა, აღარც მახსოვს, მაქვს ვაი-ვიში,
რევერანსებსაც ვერ ვაკეთებ, როგორც წესია.

მეფისტოფელი
ნება მიბოძეთ, მტკივან ფეხზე ფეხით დაგაწვეთ.

შავგვრემანი
იცით, რას ნიშნავს, ნებას დაგყვეთ ქალი მაგაზე?

მეფისტოფელი
ჰე-ჰე-ჰე, ჩემგან დაბიჯება მეტს ნიშნავს კიდევ!
„მსგავსი — მსგავსითვე“! კურნებისას კანონად მიდევს.
ფეხს ფეხი კურნავს, ყოველ ასოს — ასო სამისო.
ახლოს მოდექით! გაემზადეთ! უნდა გამიძლოთ!

შავგვრემანი, *შეკივლებს*
ვაიმე, მტკივა! ფეხია თუ ფლოქვია ცხენის?

მეფისტოფელი
სატკივარს თქვენსას ეგ სჭირდება, კურნება ცხელი!
ივლით, იცეკვებთ, იხტუნავებთ საღი ფეხებით,
გნებავთ, სუფრის ქვეშ საყვარელსაც მიეხეხებით.

სხვა სეფექალი, *ხალხს გამოარღვევს*
მიმიშვით, ხალხო! ჩამექცევა ბალღამი გულში!
ვინც სასოებით დაეძებდა ჩემს მზერას გუშინ,
არც იყურება, ნახეთ, ნახეთ, რა ლაქლაქშია!
სხვა ქალს გაუბა საუბარი, ზურგი მაქცია!

მეფისტოფელი
ძნელი ამბავი დაგმართიათ, მძიმეზე მძიმე!
ვფიქრობ, გიშველით: ეს ნახშირი მიბრუნებს იმედს.
გამომართვით და შეუმჩნევლად წასცხეთ სამოსზე.
თავმოდრეკილი გეახლებათ ამ საღამოსვე!
ხოლო ნახშირი გადაყლაპეთ დაუყოვნებლივ,
ოღონდ მშრალადვე, წყლის და ღვინის დაუყოლებლივ.

სეფექალი
ხომ არ მომწამლავს?

მეფისტოფელი, *წყრომით*
ჩემს ღირსებას პატივი ეცით!
არ გეკადრებათ, შეურაცხმყოთ ასეთი ეჭვით!
არა, მაგ ნახშირს სულ სხვაგვარი ჯადო სტანია,
ერეტიკოსის კოცონიდან მონატანია.

პაჟი
შეყვარებული ვარ და, — არაო,
ჯერ რა დროსია, ხარ პატარაო!
მაქილიკებენ, მაყრიან სიცილს.

მეფისტოფელი, *თავისთვის*
რომელს ვუსმინო, აღარც კი ვიცი!

(პაჟს.)

ჩემი რჩევაა, ყმაწვილქალებს თავი ანებე,
მოწიფულები მეტი ეშხით გასიამებენ.

(ახლა სხვები მოიწევენ.)

აღარ ცხრებიან, გამაცეცეს, დამასხეს რეტი!
სიმართლეს ვეტყვი, აღარ არის საშველი მეტი!
თუმცა ჯერ არ ღირს, ჯერ იქაურ ამბავს დავუცდი.
სად ხართ, დედებო, დამიბრუნეთ დროზე ფაუსტი!

(მიმოიხედავს.)

აჰა, იწყება, დაანელეს უკვე სანთლები,
და ჩვენც ყველანი დარბაზისკენ მივემართებით.
დაიძრა ხალხი ნება-ნება, ზიმზიმით ნელით,
სტუმრებს მიელის სარაინდო დარბაზი ვრცელი.
ფართო კედლებზე — ხალიჩები შეუდარები,
კუთხის ნიშებში — ჯაჭვ-აბჯრები, ხმლები, ფარები.
გარშემო სულთა მიღმიერთა ვგრძნობ სიახლოვეს,
ჯადო-თილისმა არც გჭირდება, აქვე სახლობენ.

სარაინდო დარბაზი

მკრთალი სინათლე.
ხელმწიფე და მისი დიდებულები უკვე მობრძანებულან.

ჰეროლდი
წინასწარ გამცნოთ სანახავთა წყობა და რიგი,
გახლავთ ძველი და საპატიო ჩემი ხელობა,
მაგრამ აქ, სულთა მოლოდინში, უქმია იგი,
ვინ შემითანხმებს მაგათ მოსვლა-მოუსვლელობას!
ახალ სანახავს ელის ხალხი მოუთმინარედ,
მეფეც დაბრძანდა გასაჯრელი კედლის წინარე.
არა უშლის რა, ხალიჩებზე, თანმიყოლებით,
თვალი გაართოს გარდასული დიდი ბრძოლებით.
წინ, სავარძლებში — ამალა და მეფის კაცები,
უკან და უკან — ხალხი ნაკლებ პატივსაცემი.
ერთიერთმანეთს მიყუჟვიან შეყვარებულნი,
ჩამომდგარ ბინდში კუთხე-კუნჭულს შეფარებულნი.
აქა ვართ ყველა, უკვე სულთა ხმობის დროც არი.
წინ საქმე გვიცდის — ასე გვამცნეს — გასაოცარი.

(საყვირთა ცემა.)

ასტროლოგი
ხელმწიფემ დრამის დასაწყებად გასცა ბრძანება.
აბა, კედლებო, გაიხსენით დაუხანებლად!
ხალ-ფარდაგები, თითქოს ხანძარს დაუგრაგნია,
იკეცებიან და ქრებიან, — ზეობს მაგია.
ორად გახსნილი უკან-უკან იხევს კედელი,
ბინდი შეირხა და სიღრმიდან ამოჩნდა სცენა,
თანდათან შუქმა, იდუმალმა, დაიწყო ჩენა,
და, აჰა, უკვე სცენაზე ვარ, ყოვლის მჭვრეტელი.

მეფისტოფელი, *სუფლიორის ნიჟარიდან გამოიჭყიტება*

საჩემო ადგილს მოვაგენი, ვზი გაყურსული.
ეშმაკის საქმეც სხვა რა არის, — ყურში ჩურჩული.

(ასტროლოგს.)

იმას, ვინც მაღლით ვარსკვლავიერ ხმათა მწვდომია,
ჩემი ბუტბუტის გაგონებაც რა გახდომია!

ასტროლოგი
თითქოს ჯადოთი, უეცარი რაღაც სხვა ძალით,
თვალთა წინაშე აღიმართა ძველი ტაძარი.
ატლასის დარად, ცა რომ ეპყრა ოდესღაც ქედით,
ბომონის თავანს უთვალავი შესდგმია სვეტი.
უცქერ და გიკვირს, იმდენია, მთელ გორაკს ასწევს.
ორიც კმაროდა, შედგმულიყო შენობა მათზე.

არქიტექტორი
ანტიკა გახლავთ, სილამაზე მაგას არ ჰქვია,
ძალზე მძიმეა სამაგისოდ, ერთობ ტლანქია.
მიყვარს ისრული ნაგებობა ზეასხლეტილი,
ამაღლებული, დახვეწილი, ხილვად კეთილი.
ცისკენ მიმიხმობს წაწვეტილი მისი ზეთავი,
ეს კი მძიმეა, გაბორჯღლილი, შეუხედავი.

ასტროლოგი
ჰა, ვარსკვლავთაგან ნაუწყები საათი დგება,
მაგიურ სიტყვას დამორჩილდეს ყოველი ნება,
რომ უთამამეს ფანტაზიას არ ჰქონდეს ზღვარი!
ერთად გაიღოს გულისა და გონების კარი!
ხილვა ვიხილოთ უცებ სუნთქვის გასაჩერები,
შეუძლებელი, ამიტომაც დასაჯერები!

ფაუსტი, *შემოდის სცენის მეორე მხრიდან*

ასტროლოგი
კაცი ქურუმად შემოსილი, გვირგვინდადგმული,
მოდის, ბოლომდე აღასრულოს საქმე აღთქმული.
უკან სამფეხა ზედადგარი მოსდევს ბრიალით,
ზედ ნელსურნელი დაგზნებულა ფართო ფიალით!
ლოცვას აპირებს! საკმეველი შეეხო ყნოსვას!
კურთხეულ იყოს ხელმეორედ აქ შენი მოსვლა!

ფაუსტი, *ამაღლებულად*
იქმნას, დედებო, რაც ვიზრახე, სახელით თქვენით!
უსაზღვროება გასაზღვრიათ ზენით თუ ქვენით.
მარტოდ მყოფელნი არასოდეს მარტონი არ ხართ,
გარდასულ ჟამთა აჩრდილები გარტყიათ ალყად
და ადგილს უჩენთ ოდინდელი მათი სახებით
იქ, სადაც ღამის თაღებია, დღის ჩარდახები.
ზოგი ცხოვრების მდინარებას ხელახლა ერთვის,
ზოგსაც მაგია საგანგებოდ აცოცხლებს ჩვენთვის
და ჟამით ჟამად ხილვას ვხედავთ სასწაულებრივს:
კვლავ იმოსავენ ძველ სხეულებს მათი სულები.

ასტროლოგი
ნახეთ, მის ხელში გასაღები ამოვარვარდა,
ჭურჭელს შეახო და იმწამსვე კვამლი ავარდა.
დარბაზს ედება, თვალსაწიერს ნელ-ნელა ფარავს,
ხან მსუბუქდება, ხან მძიმდება ღრუბლების დარად.
მისი ყოველი მიმოქცევა მუსიკა ხდება.
იღვრება სულთა ხელოვნება ზეგარდმო ხმებად,
ყველა ფრიზი თუ კოლონადა ჰანგია მჟღერი,
ასე მგონია, ერთიანი ტაძარი მღერის.
კვამლი ძირს გაწვა, სანახავი ჩნდება ახალი,
მუსიკის ტაქტზე ვაჟი მოდის თვალთუნახავი.
დროა, გავჩუმდე, აქ თავდება ჩემი ხელობა.
პარისი გახლავთ, არც სჭირდება დასახელება.

(შემოდის პარისი.)

სეფექალი
სრული მშვენება! სილამაზე ყმაწვილკაცური!

მეორე
სინორჩის ფეთქვა! რძე და ღვინო ერთად ნაწური!

მესამე
სავსე და ოდნავ გაბუტული ტკბილი ტუჩები!

მეოთხე
შეგეხებოდნენ, რა სიამით გაუყუჩდები!

მეხუთე
მოუქნელია, არ დამიწყოთ ახლა ცილობა!

მეექვსე
კი, ერთადერთი ეგ აკლია, დახვეწილობა.

რაინდი
კეთილშობილი მანერების არა სცხია რა,
მწყემსად გაზრდილი გეგონება, პრინცად კი არა.

სხვა რაინდი
ნახევრად შიშველს, ადვილია, გქონდეს გრაცია,
მაშინ გვეჩვენოს, ჯაჭვ-აბჯარი როცა აცვია.

სეფექალი
ნახეთ, შეხედეთ, როგორ დაჯდა! რარიგ მოხდენით!

რაინდი
ნებას მიგიშვან, ჰგავს, მუხლებზეც აახოხდებით...

სხვა სეფექალი
რა მომხიბლავად ამოიწყო ხელები თავქვეშ!

კამერჰერი
გაუზრდელია! წაძინებას აპირებს აქვე.

სეფექალი
უნდა კაცებმა ყველაფერში ეძებოთ ავი.

კამერჰერი
მეფის წინაშე როგორ ბედავს, აიგდოს თავი!

სეფექალი
სახიობაა, მარტო დარჩა, ასე ჰგონია.

კამერჰერი
მაინც ეგ საქმე ვერაფერი მოსაწონია.

სეფექალი
ნეტარი ღიმი დასთამაშებს, ედება რული.

კამერჰერი
კიდევაც ფშვინავს, სინამდვილე გვეგონოს სრული.

→

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სამი სცენა „ფაუსტიდან“

ახალგაზრდა ქალი, *აღტაცებით*
საკმევლის გარდა კიდევ მომწვდა სხვა რამ სურნელი,
საოცრად ნაზი, დაწმენდილი, გულსასურველი.

ხნიერი
კი, მეც ვიგრძენი! გეგონება სუნთქვა დილისა!
დანამდვილებით მისგან მოდის, მაგ ყმაწვილისგან.

კიდევ უფრო ხნიერი
ზრდამ იცის ასე, ამბროზიას აკმევს სხეული.
და ეგ საამო სურნელია, გარს დარხეული.

(შემოდის ელენე.)

მეფისტოფელი
ამას აქებდნენ? მომიტევეთ, ვერ ვეცთუნები.
კი, ლამაზია, მაგრამ არა ჩემი გუნების.

ასტროლოგი
ორიოდ სიტყვას კიდევ გეტყვით განსამარტებლად:
სახიობაში ჩემი წვლილი ამით მთავრდება.
მშვენიერება გამობრწყინდა ნაარაკები.
ო, ცეცხლოვანი ენა მომცა მისი საქები!
რეტი დაგესხმის! წაგერთმევა ენა და გრძნობა!
ნეტავი იმას, ვისაც მისი რგებია ტრფობა!

ფაუსტი
ჩემმა მგზავრობამ ძრწოლით მომცველ უგზო მხარეში
ეს მონაგარი მომიპოვა უნეტარესი.
ცხოვრება, დღემდე ასე ფუჭი და უფასური,
პირველად გახდა წარუვალი, მყარი, სასური.
შენ ხარ ჯადოსნურ იმ სარკეში ნანახი ლანდი,
ჩემს დღეში მსგავსი არაფერი მინახავს არსად!
თუმცა შორიდან, მაგიური ნისლიდან, ჩანდი,
მივხვდი, მე მარტოს მომევლინე ზეგარდმო არსად.
მომკლან, ვერ დაგთმობ, უშენობა არ შემიძლია,
ვნებაც, სიშმაგეც, მგზნებარებაც შენთვის მიძღვნია!
თავი მიძღვნია! სამუდამო სიყვარულს გეტყვი!

მეფისტოფელი
შესდექ! როლიდან გამოდიხარ! შეჩერდი-მეთქი!

ხნიერი სეფექალი
სრული ტანი და უსიამოდ მომცრო თავი აქვს.

ახალგაზრდა სეფექალი
მსხვილი ტერფებიც ვერაფერი სანახავია.

დიპლომატი
პრინცესებს ვიცნობ, სწორედ იმათ რიცხვში წერია,
ეგეც თავიდან ფეხებამდე, მშვენიერია.

კარისკაცი
რა ეშმაკურად მოღიმარი მიდის მძინართან!

სეფექალი
როგორ გახუნდა ვაჟის გვერდით, გაუჩინარდა!

პოეტი
პირიქით, ქალი ასხივოსნებს, მაღლიდან დანათს.

სეფექალი
დახატულს იტყვი! ევდიმიონს და მთვარეს ჰგვანან!

პოეტი
შედგა, შეყოვნდა! ყმაწვილისკენ, ჩანს, გული უთქვამს!
გაღიმებული დაიხარა, სვამს ვაჟის სუნთქვას,
კიდევაც კოცნის! ვუყურებ და შურით არა ვარ!

გადია
არც კი რცხვენია! ხალხის თვალწინ! დაუფარავად!

ფაუსტი
უგვანი ლტოლვა ბავშვისადმი!

მეფისტოფელი
ნუ გაშმაგდები!
ადროვე ლანდებს, მოთმინება გაგყვეს მაგდენი!

კარისკაცი
იღვიძებს ვაჟი, ფეხაკრეფით შორდება ქალი.

სეფექალი
ასეც ვიცოდი: უკან-უკან მიურბის თვალი.

კარისკაცი
კვირვობს ყმაწვილი, სასწაულის გახდა მხილველი!

სეფექალი
ქალისთვის კიდევ — არაფერი გასაკვირველი!

კარისკაცი
ისევ მობრუნდა მშვიდი სახით, სათნო იერით.

სეფექალი
საქმეს შეუდგა! გაკვეთილის მიცემას ჩქარობს!
ბრიყვია მაგ დროს მამაკაცი, ნორჩიც, ხნიერიც,
ამასაც ალბათ ეს ჰგონია, — პირველი ვარო.

რაინდი
ნაკლი არა აქვს! ყველა ნაკვთი ჩამოხვეწილი!

სეფექალი
ზედ ახატია: წილი გახლდათ ბევრი მეწილის.

პაჟი
ნეტავი, მე მქნა მაგის გვერდით იმ ვაჟის ნაცვლად!

რაინდი
შეძლებს კი ვინმე, მის ბადეში რომ არ გაებას?

სეფექალი
იმდენ ხელშია გამოვლილი, ვარაყი გაცვდა.

სხვა სეფექალი
კაცებს იცვლიდა ათი წლიდან თქვენი ღვთაება.

რაინდი
ვისაც ვინ სურდეს, უკეთესმა უწიოს ჯერმა!
მე მაგ მშვენიერ ნამუსრევსაც სავსებით ვჯერვარ.

სწავლული
რასაც ვუყურებ, კი, ის არის ცხადად და ნათლად,
არადა, ეჭვი არ მშორდება, ის არის მართლა?
ასე მარტივად ვერ ვენდობი ნანახს საკუთარს,
მხოლოდ ნაწერი მიმაჩნია ნამდვილ საბუთად.
ტროაში ყველა ბერიკაცი, წიგნიდან ვიცით,
რაგინდ მხცოვანიც, მოხიბლული ყოფილა მისით.
არც ნაჭორი ჩანს ეს ამბავი, არც განაბუქი,
აკი მეც მომწონს, აღარა ვარ თუმცა ჭაბუკი.

ასტროლოგი
ბავშვი ეძახე! დევგმირია ძალით და ღონით!
ხელი დახვია, მოტაცებას უპირებს, მგონი.

ფაუსტი
შლეგო, თავხედო, როგორ ბედავ! ჩემია ქალი!

მეფისტოფელი
გონს უხმე! სულთა თამაშია! ნუ ჩაშლი ძალით!

ასტროლოგი
ახლავე ვიცი, სათაურად რა გამოდგება:
ერქვას „ელენეს მოტაცება“ ამ წარმოდგენას.

ფაუსტი
რის მოტაცება! არც იფიქროთ! მე ვინ ვარ მაშინ?
ან რისთვის მინდა ჯადოსნური ეს გასაღები?
მისი შეწევნით სიმარტოვის ვიარე ზღვაში,
თავი გავწირე! გავიგენი ვერგასაგნები!
აქ მიდგას ფეხი! ყველაფერი აქ ნამდვილია!
სულეთს შევბმივარ, ყველა ზღვარი გადამივლია.
კვლავაც შევებმი! ვეზიარე ქვეყანას ორმაგს!
მშვენიერებამ, დღევანდლამდე უცხომ და შორმა,
მიხმო, მიმიღო, განგებისგან მე მომცემია,
აქაც და იქაც დავიუფლე, ორგზის ჩემია!
დედებო, ჩემკენ მოაქციეთ! გიხმობთ მშველელად!
ვინც ნახა იგი და მიიპყრო, ვერ შეელევა!

ასტროლოგი
შეჩერდი, ფაუსტ! ქალს მიეჭრა, ქრება ხატება...
ხელში ჩაადნა... ვაჟისაკენ მიემართება...
უცებ იელვა! გასაღებმა ცეცხლი გაყარა!
დავიღუპებით! წამი დარჩა! წამიც აღარა!

(აფეთქება. ფაუსტი ძირს აგდია. სულები ქრებიან.)

მეფისტოფელი
ჰა, ეს გინდოდა? — ყველაფერი არივ-დარია!
ეშმაკისთვისაც ბრიყვის დევნა მხოლოდ შარია.

თარგმნა **დავით წერედიანმა**

მწერალთა სახლი

ორი პოეტის ერთი წიგნი

გივი ალხაზიშვილისა და ლინ კოფინის ახალი წიგნი — „ქორწინების გარეშე, განლევა“ — რომლის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინათ გაიმართა მწერალთა სახლში, ორენოვანია და ქართველი და ამერიკელი პოეტების ლექსებს აერთიანებს. ქალბატონმა ლინმა ბატონი გივის ლექსები, როგორც თავად თქვა, „გააინგლისურა“. თარგმანისათვის პწკარედები კი გიორგი თავართქილაძემ და ედიშერ ყიფიანმა მოამზადეს.

უჩვეულო კრებულს ისტორიაც უჩვეულო აქვს. რამდენიმე წლის წინათ გიორგი თავართქილაძეს ბატონი გივის ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი მოსწონებია და ავტორისთვის უთქვამს, ეს ლექსი უცხოელებმაც უნდა წაიკითხონო. დაკავშირებია ლინ კოფინს და გადაუგზავნია ლექსის პწკარედი. ასე დაიწყო ქართველი და ინგლისელი ორი პოეტის შემოქმედებითი თანამშრომლობა. თუმცა ბატონი გივი ამბობს, მე ინგლისური ენა არ ვიცი და, შესაბამისად, კრებულის შექმნაში მონაწილეობა თითქმის არ მიმიღიაო. სამაგიეროდ, აქტიურობდა გიორგი თავართქილაძე — მან შვიდი ლექსის პწკარედი მიაწოდა ამერიკელ მთარგმნელს. მომდევნო ეტაპზე, შემოქმედებით პროცესში ედიშერ ყიფიანი ჩაერთო და მომდევნო შვიდი ლექსის პწკარედი მან შესთავაზა სათარგმნელად ქალბატონ ლინს.

ბატონმა გივიმ ედიშერ ყიფიანს შორიდან კიდევ ერთხელ შეუთვალა მადლობა. როგორც გაირკვა, ისინი არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. განსაკუთრებული მადლობა მიიღო პოეტისგან პროექტის სულისჩამდგმელმა გიორგი თავართქილაძემაც, რომელიც ასევე ვერ დაესწრო პრეზენტაციას. ბოლოს და ბოლოს, ამ ოთხი ადამიანის შრომა წარმატებით დასრულდა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სიეტლში გამოიცა ორენოვანი კრებული —„ქორწინების გარეშე, განლევა“.

საღამოს კატო ჯავახიშვილი უძღვებოდა. მან დამსწრე საზოგადოებას ახალი წიგნის გამოსვლა მიულოცა და შემდეგ დარბაზს კიდევ ერთხელ წარუდგინა ლინ კოფინი — ამერიკელი მწერალი და პოეტი. შეერთებულ შტატებში მისი პოეზიისა და პროზის თვრამეტი ტომია გამოცემული, ლინ კოფინის მოკლე პიესები დაიდგა ბროდვეიზე, ბოსტონში, სიეტლსა და მალაიზიაში. პიესები დათო ბარბაქაძემ და ნატო ალხაზიშვილმა თარგმნეს. ქართველი მკითხველი ქალბატონ ლინს, როგორც საქართველოს მეგობარსა და ქართული ლიტერატურის მცოდნეს, დიდი ხანია იცნობს. წლების წინათ მისი ლექსები გია ჯოხაძემ თარგმნა და მას შემდეგ ამერიკელი პოეტი ჩვენთან მიმდინარე ლიტერატურული პროცესების გულშემატკივარი და აქტიური მონაწილეა. გივი ალხაზიშვილის ლექსების გარდა, მან თარგმნა დათო ბარბაქაძის, ზაზა აბზიანიძისა და გიორგი კეკელიძის ლექსები. 2013 წელს კი გამოვიდა ქართული პოეზიის ორენოვანი კრებული „Georgian Poetry, Rustaveli to Galaktioni“ („ქართული პოეზია, რუსთაველიდან გალაკტიონამდე“). ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრებულ — „ქორწინების გარეშე, განლევას“ — პრეზენტაციამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლინ კოფინმა წარადგინა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

ბატონი გივი და ქალბატონი ლინი ერთმანეთის ლექსებს კითხულობდნენ. დარბაზში ბევრს გაუჩნდა სურვილი, საჯაროდ გამოხმაურებოდა ახალ კრებულს და პირადი შთაბეჭდილება გაეზიარებინა დამსწრეთათვის. ბატონ ტარიელ ჭანტურიას სთხოვეს ორიოდე სიტყვის თქმა. მან ამ წიგნს საქართველო-ამერიკის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საუკეთესო მაგალითი უწოდა და ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური კავშირების მეტად გამყარება ისურვა...

მოამზადა **თამარ ჟურულმა**

„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“ წელს უკვე მეორედ, ამჯერად ყვარელში გამართა ლიტერატურული კონკურსი — „ჩვენი თავგადასავალი“, რომლის მუდმივი პარტნიორები არიან „ლიტერატურული გაზეთი“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, ხოლო წელს მათ რიცხვს შეუერთდნენ „კავკასიური სახლი“ და ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“.

234 მონაწილიდან კონკურსის სამუშაო ჯგუფმა 24 ფინალისტი შეარჩია. ჟიურის წევრებმა (მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი, მთარგმნელი და პოეტი გიორგი ლობჟანიძე, მწერალი ირაკლი ჯავახაძე) ფინალისტებს დავალება ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში, მისცეს. კონკურსის მონაწილეებს ერთ დღეში უნდა დაეწერათ მოთხრობები, სადაც გამოიყენებდნენ ილია ჭავჭავაძის ფრაზას მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“ — „შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა“. დაჯილდოვების ცერემონიალზე ჟიურის წევრებმა და პარტნიორებმა თავ-თავიანთი რჩეულები დაასახელეს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გადაწყვეტილებით, უილიამ შექსპირის საიუბილეო გამოცემა გადაეცათ ქეთი მათითაიშვილს, თამთა გვენცაძესა და თემურ ზოიძეს. ელექტრონული წიგნების სახლ „საბასგან“ 24-ივე მონაწილეს ათი ელექტრონული წიგნი ერგო უფასოდ. ანა კორძაია-სამადაშვილმა ორი დებიუტანტი გამოავლინა — გოდერძი გორგილაძე და მარიამ მხეცაძე. გიორგი ლობჟანიძის რჩეული თემურ ზოიძე აღმოჩნდა, ხოლო ირაკლი ჯავახაძის გადაწყვეტილებით, „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდვის პატივი თამთა გვენცაძესა და ქეთი მათითაიშვილს ერგოთ. თამთას დებიუტი, ამავე კონკურსის ფარგლებში, შარშან შედგა, ხოლო ქეთისთვის გაზეთის ფურცლებზე გამოჩენა პირველია.

ყვარელში დაწერილი მოთხრობები წლის ბოლოს კრებულად შეიკვრება, რომელსაც მხატვრულად კონკურსის მონაწილეები — ანი ფოჩხუა და ივანე ბურჯანაძე — გააფორმებენ, პრეზენტაციას კი „კავკასიური სახლი“ უმასპინძლებს.

თამთა გვენცაძე

მოთხრობა, წიგნი, დასასრული...

ბიჭს, რომელსაც მოთხრობა ერქვა, დაწერა უნდოდა — არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ დაწერა. მისი ამბავი არაფრით ჰგავდა სხვებისას. ალბათ, იმიტომ, რომ არცერთი ადამიანი ჰგავს მეორეს, თუმცა ერთსაც და მეორესაც ადამიანის სახელი ჰქვია.

ბიჭს მამა ჰყავდა, სახელად წიგნი. მკაცრი იყო-მეთქი რომ გითხრათ, მოვიტყუები, მაგრამ დისციპლინა ნამდვილად უყვარდა. მუდამ მოითხოვდა, მიზანდასახული და განათლებული ყოფილიყო შვილი. მათი არსებობა ძალიან ჰგავდა ცხოვრებას. თითქმის ბედნიერებიც იყვნენ. ორივეს ხელს აძლევდა თანდაყოლილი ფანტაზიის განვითარებული უნარი და ნებისმიერ სიტუაციაში ახერხებდნენ, თავი ეგრძნოთ ისე, როგორც საკუთარ ყდაში. მამა შვილზე ბევრად გამოცდილი გახლდათ, როგორც ხდება ხოლმე. თუმცა, სწორედ შვილი იყო მამის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. მათ ოჯახს განსაკუთრებულად გამორჩეულს ხდიდა ის უცნაურობა, რომ მხოლოდ ორწევრიანი იყო. დედის არც სახელი იცოდა შვილმა და არც ასავალ-დასავალი. აი, მამა კი ოდესღაც ფლობდა ამ ინფორმაციას, მაგრამ დღეს ვერაფრით იხსენებდა — თითქოს მნიშვნელოვანი ფურცელი ამოეგლიჯათ მისი ცხოვრებიდან.

მამა-შვილის ყოველდღიური რუტინის ნაწილი იყო ნადირობა. გავიდოდნენ ტყეში და სიტყვებზე ნადირობდნენ. სატყუარებად კი სასვენ ნიშნებს იყენებდნენ. მათი ყველაზე დიდი ნანადირევი სიტყვა სახელად ღმერთი იყო, რომელიც კითხვის ნიშნის საშუალებით შეიტყუეს ხაფანგში.

ერთი გატაცებაც ჰქონდათ — სანთლების შეგროვება უყვარდათ. ხშირად, როგორც კი ჩამობნელდებოდა, სინათლეს აქრობდნენ და მხოლოდ სანთლის შუქზე აგრძელებდნენ ცხოვრებას. ერთიცა და მეორეც მარტოსულები იყვნენ — არ ჰყავდათ მეგობრები და არც ცდილობდნენ მათ შეძენას. მხოლოდ მამა თუ გამოელაპარაკებოდა ვინმე სხვას შვილის გარდა, ისიც ამ სხვის ინიციატივის შემთხვევაში. ვერც ნათესავების სიმრავლით დაიკვეხნიდნენ, რადგან სამის მეტი არ გააჩნდათ. სასაცილო ტრადიციის დამსახურებით კი სამივე მათგანს მკითხველი ერქვა.

მოთხრობას ყოველთვის აინტერესებდა, ვინ იყო დედამისი. ცდილობდა კიდეც, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მისი სახელი გაეგო. სად აღარ დადიოდა დედის მოსაძებნად, ყველა ქუჩა ჰქონდა შემოვლილი, მაგრამ გამოლაპარაკებასა და კითხვის დასმას ვერავის უბედავდა. ძალიან მორცხვი იყო მოთხრობა.

წიგნი მთელი არსებით ცდილობდა თავისი ცოლის ვინაობის გახსენებას, მაგრამ ვერაფრით მოეხერხებინა. ამნეზია მაქვსო, ფიქრობდა. აბა, რანაირად შეიძლებოდა, უბრალოდ გამქრალიყო ის, ვისაც წიგნის შვილი დედას ეძახდა. არც ის ახსოვდა, რამდენ ხანს იყვნენ ერთად, არც — ერთმანეთი როგორ გაიცნეს და ან მერე როგორ დაშორდნენ. წიგნისა და მოთხრობის ცხოვრებას თითქოს მთელი ერთი თავი, ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ეპიზოდი აკლდა.

ხშირად მოთხრობა სეირნობით ირთობდა თავს. ბუნება ძალიან უყვარდა და ტყეში სეირნობას საყვარელი ნამცხვრის — „სათაურის“ — დიდ ულუფაზეც კი არ გაცვლიდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს ხის დიდი ტოტისგან მშვილდი გამოთალა. ის იყო შავი კალმისთვის ისარი უნდა ესროლა, რომ ბუჩქებიდან ვიღაც მსუქანა, მისი ასაკის ბიჭი გამოვარდა:

— რას აკეთებ? გგონია, შეიძლება?

შვილი გაოცდა, ძალიან შეშინდა უცხო ბიჭის დანახვაზე და მაშინვე გაახსენდა მამის მიერ არაერთხელ ნათქვამი სიტყვები — „შვილო, ტყეში მარტო ნუ წახვალ.“ ამასობაში მსუქანა ბიჭი მოთხრობას მიუახლოვდა, ჩამოწეული მშვილდი გამოართვა და მშვიდად აუხსნა, რომ კალმებზე ნადირობა აკრძალული იყო. მას დიალოგი ერქვა, არაერთი და-ძმა ჰყავდა და უყვარდა გოგო, სახელად მონოლოგი. ეს ყველაფერი მოთხრობამ იმიტომ გაიგო, რომ ამ დღის მერე ბიჭები დამეგობრდნენ.

მოთხრობა არცთუ იშვიათად მიდიოდა დიალოგთან სახლში სტუმრად. ძალიან მყუდროდ გრძნობდა თავს ისეთ გარემოში, სადაც ოჯახის ყველა წევრი ადგილზე იყო.

ერთ არაფრით განსხვავებულ საღამოს, როცა წიგნი და მოთხრობა სანთლის შუქზე ვახშმობდნენ, ზარის ხმა გაისმა. შვილმა კარი გააღო და საშუალო ასაკის ძალიან ლამაზი ქალი დაინახა, რომელსაც უსაზღვროდ კმაყოფილი სახე ჰქონდა. ქალი თამამად შევიდა სახლში და ხის მაგიდას მიუჯდა. **მამას ცივმა ოფლმა დაასხა**, როცა შეამჩნია, რომ მის გვერდით კარგად ნაცნობ ადამიანს დაეკავებინა ადგილი. ამდენი ხნის შემდეგ იგრძნო ის ძველი სუნი, რომელიც ერთ დროს ასე ძალიან უყვარდა, დღეს კი ყველაზე მეტად სჭირდებოდა. წიგნს ყველაფერი გაახსენდა და კმაყოფილებით ამოისუნთქა.

მოთხრობაც უმალ მიხვდა, რა მოხდა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა და მონატრებულ დედას სანუკვარი კითხვა დაუსვა:

— რა გქვია?

— დასასრული.

დებიუტი

ქეთი მათითაიშვილი

ყვავილოვანი კომბოსტო

ჩემს სახლს მოთუშული ყვავილოვანი კომბოსტოს სუნი აქვს.

ოთხნი ვცხოვრობთ: მე, დედ-მამა და ჩემი უმცროსი ძმა. დედაჩემი ლამაზია, მამაჩემი — უშნო. ჩემს ძმას არა უშავს. მე? მე ჩვიდმეტი წლის ვარ და მეთორმეტე კლასში ვსწავლობ. მამაჩემის მახინჯი ცხვირი მაქვს და დედაჩემის ლამაზი თვალის ჭრილი. ცისფერი თვალის ფერი არც ერთ შვილს არ გამოგვყვა დედისგან... სამწუხაროდ.

სახლში იშვიათად მიწევს ყოფნა. აქეთ სკოლაო, იქეთ — სამსახურიო. ამიტომ, როცა ბინაში შევდივარ, ყველაფერი მიძინებულია — ის ტელევიზორიც კი, მამაჩემი ჩვენს თავს რომ ანაცვალებს.

სანამ სამსახურს დავიწყებდი, სახლში მისვლა არ მიყვარდა; სულ ჩხუბობდნენ. ხან დედ-მამა, ხანაც — ძმა და რომელიმე მშობელი. მეც და ისინიც არ ვაკლებდით კამათს. თითქოს, დღეები გვქონდა გადანაწილებული: თუ ორშაბათს მშობლები იყვნენ მშვიდად, მე და ჩემი ძმა არ ჩავაგდებდით საღამოს უჩხუბოდ; თუ ჩვენ მოვახერხებდით სიმშვიდის შენარჩუნებას, მამაჩემს გამოუჩნდებოდა დედაჩემისთვის უცნობი ვალები და ასე გრძელდებოდა ყოველ დღე. ალბათ, ახლაც გრძელდება, უბრალოდ, მე აღარ ვარ შინ.

სახლი კიდევ იმიტომ არ მიყვარდა, რომ ცხრა საათზე, მამაჩემის საყვარელ საპატრიარქოს არხზე, საღამოს ლოცვა იწყებოდა, ჰოდა, ჩვენი სახლიც ლოცვით იჟღინთებოდა. მონოტონური ტემბრის მქონე კაცი გულმოდგინედ კითხულობდა ფსალმუნებს და მამაჩემიც, ხატების წინ, თავდახრილი გულში მის სიტყვებს იმეორებდა. ან იქნებ, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, ვინ იცის. ვერ ვიტანდი ცხრა საათს. ადრე გალობაზე დავდიოდი, მაგრამ ლოცვა, შვების მოგვრის ნაცვლად, სულს მიფორიაქებდა; ვერ ვმშვიდდებოდი, პირიქით, საფეთქლები ოფლით მეცვარებოდა და მეგონა, რომ ფეხის გულები მემსხვრეოდა. ასე ხდებოდა ღრმა ბავშვობაშიც, მაგრამ მამაჩემის ჩახრილი თავით შეშინებული, ვერაფრით ვბედავდი, რომ მეთქვა, ეკლესიაში გალობის დროს ტირილი მინდა-მეთქი. ამის ნაცვლად, პირს მომრგვალებულად ვაღებდი (ასე ჩვენი რეგენტი მთხოვდა — ისე კი არ გალობ, ჭყაპანებო) და მოპრიალებულ იატაკზე მიშტერებული, ღვთის სადიდებლად ვბღაოდი.

ერთადერთხელ, როცა ღმერთთან სიახლოვემ მასიამოვნა ისე, როგორც სასულიერო გიმნაზიაში მასწავლიდნენ, ქარელის მონასტერში იყო. შვებისგან ვიტირე კიდეც. ეკლესიის ცივ ფილაქანზე მუხლებზე ვიდექი და ხმამაღალი მოთქმით უფალს პატიებას ვთხოვდი. მაშინ მივხვდი, რომ ღმერთი ქალაქში არ არსებობს. აქ რელიგია, თითქოს, ხალხის მართვის ბინძური მექანიზმია; არადა, წესით, ნაგავში ჩაგდების ნაცვლად, ჭუჭყიდან უნდა ამოვყავდეთ... მონასტერში იმასაც მივხვდი, რომ მამაჩემს არასოდეს ულოცია გულით. მაშინ შეკრული წარბებითა და მოხრილი წელით არ იქნებოდა, არ შემაშინებდა.

სახლში, ყველაზე მეტად, არეულობა მიქმნიდა დისკომფორტს. დაალაგებ — პატარა ძმა არევს. ისევ დაალაგებ — ახლა მამას ავიწყდება პერანგების შენახვა. ჰოდა, ბოლოს, ერთ ადგილას მოუსვითმეთქი; აღარ დავალაგებ, თქვენი მონა ხომ არ გგონივართ, თქვენ არიოთ და მე — დავალაგო. მიდით და თქვენს ნივთებს თქვენვე მიხედეთ-მეთქი, გავიფიქრე და აურზაური ფეხებზე დავიკიდე. მაინც, მარტო ეს ხომ არ იყო ჩემი სიმყუდროვის დამრღვევი.

არც მეზობლები მყვარებია დიდად, შემოვიდოდნენ დილაადრიანად და ყავის წრუპვით, ვითომ შეუმჩნევლად გაატარებდნენ მათ მრავლისმნახველ თვალკონტროლში იმას, რომ დედაჩემს სახლის დალაგებაში არ ვეხმარები. ან იმას, რომ მამაჩემს გახეული „ნასკი“ აცვია. არც ის გამორჩენიათ, სადილისას, ერთი თეფშის ნაცვლად, ორ თეფშს რომ მივირთმევ. ალბათ, ამან გამასუქა ასე. რა თქმა უნდა, ჩვენი ჩხუბიც ესმოდათ და არც ჩემი ძმის ტკივილით სავსე ღნავილი დაავიწყდებათ „უბნის ბირჟაზე“ განსახილველად.

ფიზიკას ვწერდი, ეგ ხმა პირველად რომ გავიგე. ოთახიდან გამოვვარდი და უცებ, თითქოს სხეულიდან გამოვძვერიო, ოთახში მყოფ სამ ადამიანს კუთხიდან დავუწყე ყურება. **შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა**, თვალები მხეცივით უელავდა; შიში, გაურკვევლობა და კიდევ ათასი, ჩემთვის გაურკვეველი გრძნობა ემღვრეოდა მუქ ყავისფერ გუგებში და ჩემი ძმის ლოყიდან ასხლეტილი ხელი უკანკალებდა. მახსოვს, პირი გამიშრა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სისხლი ზიზღით გამებერა და ძარღვები დამიხეთქა. აღარც მამაჩემს ვიცნობდი და ვეღარც ძმას აღვიქვამდი ჩემს სისხლად და ხორცად. გულისრევის შეგრძნებამ კუჭი ამიწვა. შევბრუნდი და ოთახში ჩავიკეტე. არც პატარა ბიჭი დამიმშვიდებია და არც ის კაცი, რომ ქოშინებდა. შეიძლება, ეს ამბავი არც კი მომხდარა და უბრალოდ დამესიზმრა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამით არაფერი შეცვლილა. მამაჩემი ისევ დილის შვიდ საათზე დგებოდა სალოცავად, ჩემი ძმაც კვლავ ჭყაპანებდა, თუ რაიმე ისე არ იქნებოდა, როგორც მას უნდოდა.

მარტო მე კი არ მაქვს პრობლემები მშობლებთან! დედაჩემიც და ბებიაჩემიც სულ ჩხუბობენ; ხან — ქმარს უფრო მკაცრად უნდა მოექცეო, ხან — შვილები ვერ გაზარდე კარგადო. დედაჩემი კიდევ ზის და ტირის. რა მისი ბრალია, თუ უვარგისი ქმარი შეხვდა.

ბაბუაჩემი არ გვსტუმრობს. ერთხელაც კი არ ყოფილა ჩვენთან. სიმაღლის ეშინია, ჩვენი სახლი კი მეცხრე სართულზეა. მეც მეშინია სიმაღლის, უფრო სწორად, ვარდნის, მაგრამ ჩემს გამო ვინ შეცვლის ბინას? თან არც მითქვამს — იცით, ჩვენს აივანზე გასვლისას ფეხები მიკანკალებს-მეთქი. ჩემზე, ძირითადად, არაფერი იციან და რაღა მაინცდამაინც ფობიებით დავიწყო გაცნობა.

მოკლედ, ძალიან გამიმართლა, მუშაობა რომ დავიწყე, თორემ ამ საგიჟეთში რა გამაჩერებდა. ახლა არც ლოცვა მიფრთხობს ძილს, არც ჩხუბი მესმის, არც ჭყაპანი და არც ბებიაჩემისა და მეზობლების შეგონებები. ბაბუასთან მე თვითონ მივდივარ სტუმრად.

და ჰო, ვერ ვიტან მოთუშულ ყვავილოვან კომბოსტოს.

მანანა მენაბდე

გასეირნება

შემოდგომის გზით მიდიოდნენ ზღვისკენ. ფეხები ფოთლებში ეფლობოდათ, ხშირი ტყის უკან ზღვა ხმაურობდა. სანაპიროსა და მლაშე წყლის სუნი ხეების ძლიერ მკლავებში ატანდა. კაცს აქამდე არასდროს შეუნიშნავს ხეების სიხარული. წელიწადის ამ დროს მუდამ მოწყენილად გამოიყურებოდა ფიჭვნარი — ახლა კი აშკარად უხაროდა გოგო!

მოსახვევთან, ერთი უსახური და უკაცრიელი ბორცვის მიღმა, მოულოდნელად ზღვის ნაპირი გამოჩნდა. სუნთქვა შეეკრა კაცს. თოლიები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ დაცარიელებულ სანაპიროზე. ყველაზე თავაღებულები წივილით იჭრებოდნენ ცაში, რამდენიმე ლამაზი ვირაჟის შემდეგ ისარივით ეშვებოდნენ ზღვისკენ და ცოტა ხანს მშვიდდებოდნენ. ზღვა რომ არა, ირგვლივ უდაბნო გეგონებოდათ.

ერთმანეთთან შეუთანხმებლად წაიძრეს ფეხსაცმელები.

კაცმა ტილოს თეთრი შარვალი აიკაპიწა. შიშველ ტერფებს გრილი ქვიშა ეამა. გოგო ნაპირთან ჩაცუცქდა, თმა ჩამოშალა. კაცს განძრევის ეშინოდა. წარმოიდგინა, როგორ ხვევდა გოგოს ხელს თხელ, ლამაზ მხრებზე, თავისკენ იზიდავდა — ჭკვიან თვალებს, სახეს, ტუჩის კიდეს, გრძელ კისერს და ლამაზ ყურებს უკოცნიდა...

გოგო ცოტა ხანს ასე იყო — გატრუნული. შემდეგ თავისი ფაიფურის თითებით ქვიშაზე უცნაური იეროგლიფების წერას მიჰყო ხელი.

კაცს პასუხი არ ჰქონდა, რატომ გაურბოდა გოგოსთან ყველაფერ იმას, რაზეც სხვა ქალთან არ იტყოდა უარს. უარს იტყოდა კი არა და, ერთ კვირაში მოხდებოდა ყველაფერი. მოხდებოდა და სულ რაღაც ორიოდე თვეში მორჩებოდა კიდეც. უყურებდა, როგორ გამოჰყავდა გოგოს ქვიშაზე უცხო იეროგლიფები. მშვილდივით იყო მოჭიმული. შემდეგ უცხო ასო-ნიშნები, გოგო და ზღვა ერთმანეთში აირია...

„რა მშვენიერი იქნებოდა, განსაკუთრებული კოცნების სალონი რომ გახსნილიყო“, — გაეფიქრა, — „ნაირ-ნაირი კოცნები გაიყიდებოდა: „უმანკო კოცნა“, „გულახდილი კოცნა“, „ვნებიანი კოცნა“, „მშვიდი კოცნა“, „გამჭვირვალე კოცნა“ „კოცნა იასამნის სურნელით“, „ლაჟვარდისფერი კოცნა“, „გულამოვარდნილი კოცნა“, გულგასახეთქი, პოეტური და პროზაული, ან კიდევ „მუსიკალური კოცნა“... ასეთ კაფეს, ალბათ, უამრავი კლიენტი ეყოლებოდა. არ იქნებოდა ურიგო კოცნების საკომისიოც, სადაც უცხოური და რეტრო კოცნებით ივაჭრებდნენ „კრეატიული კოცნების 24-საათიანი სალონი“ ნამდვილად დაამშვენებდა ქალაქის ნებისმიერ უბანს, სადაც ჭიქა ყავასთან ნამცხვრის მაგივრად „ოტელოს კოცნას“ ან „დეზდემონას კოცნას“ შეუკვეთავდი. რომეოს ან ჯულიეტას კოცნა ძვირი იქნებოდა. რა აჯობებდა „შაქრიან და უშაქრო კოცნას“, „კოცნას მოცვით“ ან „კოცნას ჟოლოთი!“ „მონა ლიზას კოცნა“ ყველა ნამცხვარს აჯობებდა ასეთ კაფეში. მუდმივი კლიენტებისთვის დამატებითი კოცნა უფასო იქნებოდა, ხოლო ვისაც ვალი ექნებოდა, „ნახმარ კოცნას“ დასჯერდებოდა! აი, ყველაზე ძვირი კი „ბუნებრივი კოცნა“ იქნებოდა! ყოველგვარი დამატებების გარეშე“.

გოგოსთვის მხოლოდ ეს კოცნა გაიმეტა კაცმა.

გოგო არაფერს ეჭვობდა „კოცნების სალონზე“ და აუღელვებლად აგრძელებდა ქვიშაზე ასოების გამოყვანას... „საინტერესოა“, — გაიფიქრა კაცმა, — „ნეტავ, ვის ეკუთვნის ეს გზავნილი?“ თითქოს შეკითხვა გაიგოო, გოგომ თავაუწევლად ჩაილაპარაკა: „ამ ნიშნებს ის ამოიკითხავს, ვინც უკვე მზადაა...“ თქვა თუ არა, წამოფრინდა, ხელები გაშალა და დატრიალდა. სწრაფად და სწრაფად ტრიალებდა გოგო. „რისთვის უნდა იყო მზად?!“ — დაბნეულმა ჰკითხა კაცმა.

გოგომ კისერი ცისკენ გადააგდო და უფრო სწრაფად იწყო ტრიალი. „რისთვის უნდა იყო მზად?! რისთვის?!“ — გარს უვლიდა კაცი და შეუჩერებლივ იმეორებდა. გოგო პასუხად კისკისებდა. მერე, თითქოს ყურში რაღაც ჩასჩურჩულესო, ადგილს მოსწყდა.

ხელებგაშლილი მირბოდა გოგო სანაპიროს გასწვრივ. თითქოს მოითათბირესო, ისე აედევნენ თოლიები. გეგონებოდა, ფრთებზე შეისვამდნენ და მზისკენ გაიტაცებდნენ. გოგო უცებ შედგა. კაცმა კვლავ სცადა: „რისთვის უნდა იყო მზად, რისთვიიიის...“ გოგომ პასუხად თეთრი მარმარილოს ხელები დაუქნია და ნაპირს სირბილით აუყვა.

მოუნდა, დაწეოდა და მოხვეოდა, სინამდვილეში კი სანაპიროზე ნასვრეტიანი ქვის ძებნას შეუდგა, ბედნიერება მოაქვსო, რომ ამბობენ, აი, იმ ქვის. კაცმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, „ბედნიერება“ ეპოვა!

დრო ისე გავიდა, კაცს არც კი გაუგია. მზერა იგრძნო. გოგო ზურგს უკან ედგა და ზევიდან დასცქეროდა. „ადამიანები ასეთი სისწრაფით არ მოძრაობენ...“ — გაიფიქრა.

— რატომ ეძებენ, ნეტავ, ბედნიერებას ქვებში და რაღაც თილისმებში? — იკითხა გოგომ და რბილად გაიღიმა. კაცმა პასუხის გაცემა სცადა, მაგრამ გოგომ არ აცადა თავის მართლება:

— დაანებებდი მოწევას თავს, მე რომ მეთხოვა? — მის ფეხებთან ჩაჯდა.

— ალბათ, კი! — კაცი ქვის ძებნას შეეშვა და თვითონაც გოგოს გვერდით ჩაიმუხლა, — შენ, დაანებებდი?

— მაშინ მეც დავანებებდი!

— რატომ „მაშინ?!“

— მიზეზს რა მნიშვნელობა აქვს... არ მოვწევდი და მორჩა! — გოგომ თოლიებს გახედა, — იცი, წეროები ზუსტად შვიდზე იღვიძებენ.

— მართლა?! არ ვიცოდი... ასე ერთსა და იმავე დროს როგორ ახერხებენ?!

— დროზე წვებიან!

კაცს სიცილი აუვარდა. გოგოც აყვა. გული რომ იჯერეს, გოგომ თვალებში ჩახედა:

— აი, სულ პირველად სადმე ქუჩაში ან ბაღში რომ დაგენახე, რას იზამდი?

— მოვიდოდი და გაგეცნობოდი. შენ რას იზამდი?

— გეტყოდი: დაბრძანდით, ახალგაზრდავ, ფეხზე დგომას აზრი არ აქვს!

— მართლა ასე მეტყოდი?

— საქმე მართლა ფეხებში ხომ არაა.

— ფეხები რა შუაშია... მე რომ ახალგაზრდა კაცი არა ვარ?!

— სული ხომ არ ბერდება!

— გასაგებია.

— არაფერიც არაა გასაგები. მითხარი, ფიქრობ სიკვდილზე?

— როგორც ყველა...

— არ მაინტერესებს ყველა, შენ ფიქრობ?

— კი, ვფიქრობ.

— გეშინია?

— სხვადასხვანაირად. ხან — კი, ხან — არა.

— ბოლო დროს მოწყენილი ხარ.

— როცა ჩემხელა გახდები, შენც მოიწყენ.

— სიბერე არაფერ შუაშია. ყველანი ბავშვები ვართ.

კაცი გოგოს ჟღურტულს უსმენდა. „ასეთ მშვენიერსა და ახალგაზრდას რა აღარ უტრიალებს თავში“... გოგო კი ჟღურტულს აგრძელებდა, არ ეშვებოდა:

— სიბერე არ არსებობს! მე თუ მკითხავ, ყველაფერს ჩვენ ვიგონებთ. იცი, მოხუცთა თავშესაფარში რამდენი ხელჩაქნეული ვნახე?..

„მოხუცთა თავშესაფარში რაღა უნდოდა?!“ — გაიფიქრა კაცმა.

გოგომ თითქოს გაიგოო.

— 97 წლის მეგობარი მყავდა იქ. ჰოდა, ჩემი მეგობრის გარდა ყველა ხელჩაქნეული და მომლოდინე იყო.

— ვისი ან რისი მომლოდინე?

— დასასრულს ელოდნენ. ყოველ დღე ისხდნენ, იდგნენ თუ იწვნენ და დასასრულს ელოდნენ. ვერცერთი ვერ ხვდებოდა, რომ თითოეული მათგანი დიდი ხნის ცოცხლად მკვდარი იყო...

— შენი მეგობარი რა, არ ელოდა?

— არა!

— როგორ ახერხებდა?

— ყოველ დღეს იმედიანად ხვდებოდა. ყოველი დღე უხაროდა! მზე და ყვავილები უყვარდა. თავისი პატარა, ლამაზი ბაღი ჰქონდა და ყვავილებს უმღეროდა.

გოგომ გამჭვირვალე ხმით სიმღერა წამოიწყო. კაცი ყურს უგდებდა სიმღერას და ზღვა და ნაპირი უხაროდა, უხაროდა თოლიები, გრილი ქვიშა და ცხელი მზე... ხოოო, აი, ასე იყო. უხაროდა. აქამდე კი არ იცოდა, უხაროდა რამე თუ არა...

— ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გამოდის, რომ პირველსავე შემხვედრს გვერდით მოისვამ.

— 97 წლის მეგობარი ჰყავდა, ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეამებოდა. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეამებოდა. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეამებოდა.

— ყველაფერზე.

— ესე იგი, არაფერზე. ასე გამოდის. ჯობს, მე გეტყვი, რაზე ვისაუბრებთ.

— რაზე?

— რაზე და ამწეებზე.

— რომელ ამწეებზე?!

— სამშენებლო ამწეებზე, — გოგო მაგიდის გვერდით ამწეს ხატვას შეუდგა.

— რა გსურს, ჩემგან, ამწეებზე რომ გაიგო?

— აი, ჩვეულებრივი ამწე... ხომ დგას?!

— დგას. მერე?

— ჰოდა, ამწე რომ დგას, დედამიწა ხომ ბრუნავს და ეგ როგორ ხდება?!

— რა როგორ ხდება?!

— შენ კი არ უნდა მკითხო, რა როგორ ხდებაო, ეს მე გეკითხები, ამწე რომ დგას და ამ დროს დედამიწა რომ ბრუნავს, ეგ როგორ ხდება-მეთქი და შენ უნდა მიპასუხო!

— მაშაყირებ?

— რა მეტყობა, რომ გაშაყირებ?

— აჰაააა... რა თქმა უნდა, ამწე დგას, ისევე, როგორც ჩვენ ვდგავართ ან ვსხედვართ, ან დავდივართ, ისევე როგორც ავტობუსი, მანქანა და მატარებელი მოძრაობს, როგორც თვითმფრინავები და ჩიტები დაფრინავენ... ჰოდა, დედამიწა კი ბრუნავს...

— რატომ ხდება, როცა დედამიწა ბრუნავს, ჩვენ ან ვდგავართ, ან ვსხედვართ, ავტობუსი ან მანქანა ან მატარებელი მოძრაობს, ისევე, როგორც თვითმფრინავები და ჩიტები დაფრინავენ, ამწე კი დგას და ამ დროს დედამიწა ბრუნავს?! ამწე ხომ ამ დროს ქვევით უნდა იყურებოდეს და ჩვენც ხომ ქვემოთ უნდა ვიყურებოდეთ?

— სად ქვემოთ?!

— აი, დედამიწა ხომ ბრუნავს, — გოგომ ქვიშაზე დედამიწა დახატა და ეცადა, თავისი ფაიფურის თითებით კაცისთვის ეჩვენებინა, როგორ ბრუნავს დედამიწა ღერძის გარშემო, — მაშინ ხომ ამწე ქვევით უნდა აღმოჩნდეს, არა? — და დედამიწას ქვევით ამწე თავდაყირა მიახატა, — ჰოდა, ჩვენც თავდაყირა ვიქნებით თუ ამწე თავდაყირა იქნება. ასე არ არის?

— ალბათ, ასეა, მაგრამ შენ ან სკოლაში იყავი ოროსანი, ან ახლა მაშაყირებ.

— სკოლა და შაყირი რა შუაშია. მე შემიძლია, გავბრაზდე, ავდგე და რესტორნიდან წავიდე.

— არა, არა... მოიცა, მოიცა... გთხოვ, არ წახვიდე!

— მაშინ ამიხსენი!

— სიმართლეს გეტყვი, ეგ ყველაფერი ჩემთვისაც ცოტა არ იყოს რთული წარმოსადგენია, მაგრამ შევეცდები. აი, დედამიწა ისეთი სისწრაფით ბრუნავს, ისეთი, რომ ჩვენი თვალი ვერ ამჩნევს იმას, როდისაა ამწე ზევით და როდის ქვევით. ამწეც და ჩვენც, და საერთოდ ყველაფერი ერთად, დედამიწიანად ვბრუნავთ. მიუხედავად ამისა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ვითომ ადგილზე ვდგავართ.

— როცა მივფრინავთ და მატარებელშიც რომ ვართ?

— აბა, რა!

— გამოდის, ვერ ვასწრებთ ქვევით ჩავარდნას?

— როგორც ეტყობა, ვერ ვასწრებთ... დედამიწა ჩვენზე უფრო სწრაფია.

— ესე იგი, დედამიწა არ ისვენებს, ხო?

— რომ დაისვენოს, დავიღუპებით.

— გამოდის, რომ დასვენება არ ვარგა.

— შენ ხომ დედამიწა არა ხარ, შენ სხვა ფუნქცია გაკისრია..

— რა?

— სხვა, ვიდრე დედამიწას.

— გამოდის, რომ დედამიწა სულ მუშაობს, არა?

— ასე გამოდის!

— ჩვენ რას ვაკეთებთ, რომ არ დავიღუპოთ?

— სამწუხაროდ, მე ვერაფერს შევცვლი...

— ყველა ასე ამბობს და იმიტომაცაა, ყველაფერი თავდაყირა რომაა ამწესავით. გამოდის, ისევ მე ვარ დამნაშავე.

— ყველანი ვაშავებთ.

— აი? ამაზე მე გიპასუხებდი...

— რას?

— გოგონი, ყავას ხომ არ მიირთმევთ ნაყინით?

გოგო დადუმდა. გაყუჩდა კაციც.

ჰორიზონტზე, თითქოს არსაიდან, თეთრმა გემმა ამოყვინთა. ქაღალდისას ჰგავდა...

— რესტორნის შემდეგ რა გეგმები გვაქვს? — დაარღვია კაცმა სიჩუმე.

— ვიშლებით და სახლებში მივდივართ.

— შენ რა, არ მიმაცილებ სახლამდე?

— კაცი შენა ხარ და...

— იაგუარი ტყუილად გყავს?

— ნასვამი ვარ, მაგრამ ჯანდაბას, რისკი მიყვარს და სახლამდე მიგიყვან! თუ პოლიციამ გაგვაჩერა, ჯარიმას შენ გადაიხდი.

— გადავიხდი, აბა, რას ვიზამ! მერე?

— მერე — არაფერი. სახლში მიგასრიალებ იაგუარით! პატარა ამბავია, ქალი რომ კაცს სახლში იაგუარით მიიყვანს?

— ეგ ყველაფერი კარგი, მერე?

— მერე... — გოგო შეყოვნდა, — გამომშვიდობებისას, თილისმად, ქვას გაჩუქებ ნახვრეტით, — თქვა და კაცს ქვა გაუწოდა.

კაცმა ქვა გამოართვა. ნახვრეტიდან თეთრ გემს გახედა.

— ჩაიფიქრე რამე, — უთხრა გოგოს, ცოტა ხანს შეიცადა და ქვა ზღვაში მოისროლა. თოლიები წივილით წამოიშალნენ წყლის ხმაურზე...

ქაღალდის თეთრი გემი თანდათან ნამდვილს ემსგავსებოდა და ნელ-ნელა ნაპირისაკენ მოიწევდა. შემდეგ, მოულოდნელად, ზღვის მუქ მწვანეზე ფერადად აბრჭყვიალდა...

— მშვენიერი ვახშამი იყო!

— მე ნაყინს შევუკვეთავდი კიდევ, — თქვა გოგომ და ქვიშის მაგიდას ნაყინი მიახატა.

მანანა დუმბაძე

„ცოცხალი წიგნების დღიურების“ სანაცვლოდ

დასასრული

ადგილი. იმის მერე იქიდან აღარ დაუძრავს. და იდგა ასე კომუნიზმისა და ჩვენი ნათელი მომავლისკენ ხელგაშვერილი ვლადიმერ ილიჩი. ბოლოს იგი ჩვენი საზაფხულო რეზიდენციის ერთგვარ ღირსშესანიშნაობადაც კი იქცა. მიმსვლელ-მომსვლელი, ყველა თითო მოსწრებული ფრაზით ავად თუ კარგად ამკობდა ხოლმე მის უკვდავ სახელს. მაშინ ნამდვილად არ წარმომედგინა, რა კვალი უნდა დაეტოვებინა ბელადის გულრიფშულ ეპოპეას ნოდარ დუმბაძის ცხოვრებაზე, სამაგიეროდ, ზუსტად ვიცოდი, რომ მისი შეუპოვრობით კომუნისტმა გრიშა სიხარულიძემ სამუდამო და მშვიდი განსასვენებელი დაიმკვიდრა საიქიოში.

და მიუხედავად ამისა, ფინალამდე ჯერ კიდევ შორს იყო. გავიდა წლები და ერთ ზამთარს გულრიფშიდან შეგვატყობინეს, თქვენი აგარაკი პირწმინდად გაიქურდაო. დიახ, პირწმინდად — ლენინიანად. მაგაზე უკეთესი არაფერი შესვლიათ ოჯახშიო — წყევლიდა ქურდებს დედაჩემი. მეზობელი ავთო გვაზავა კი წუხდა, ის ბიუსტი ან უკვე გადაადნეს ან პირდაპირ თურქეთში უკრეს თავიო.

რა მარქსიზმი, რის დემოკრატია!

თომას ვულფმა (სახელოვანი ამერიკელი მწერლის სეხნიამ და თავადაც მწერალმა, ოღონდ შვედმა) მითხრა, ინდოეთის რომელიღაც რესპუბლიკაში მარქსიზმი ყველაზე პოპულარული მოძღვრებაა და მარქსის, ლენინისა და ენგელსის ძეგლებს, როგორც ბუდას ისე სცემენ თაყვანსო. ეგ რა არის მეთქი, ვუთხარი და ახალგაზრდა თურქი პოეტის გონზა ოსმანის ამბავი მოვუყევი. გონზამ, რომელიც დღიდან გაცნობისა, ჰიპებს შორის ყველაზე ჰიპი, ანარქისტებს შორის ყველაზე ანარქისტი, ემანსიპირებულ ქალებს შორის ყველაზე ემანსიპირებული, გეი-უფლებების დამცველთა შორის ყველაზე თავგადაკლული და გლობალისტებს შორის ყველაზე გლობალისტი მეგონა, სამი ზღვის აუზის ქვეყნების მწერალთა და მთარგმნელთა ასოციაციის კონგრესის მაღალი კათედრიდან ხმამაღლა გამოგვიცხადა — კარგა ხანია, მარქსიზმისა და კომუნიზმის მიმდევარი ვარო. ამის გამო თურმე დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა ჰქონია კონსერვატორ დედასთან, ხოლო ფილოსოფიის პედაგოგ მამასთან — ნაკლები.

ვიდრე ზემოთქმულს მაღალი სალიტერატურო კათედრიდან მოგვახსენებდა, გონზასთან უკვე კარგა ხნის მეგობრობა მქონდა დამყარებული. ძალიან მიყვარდა მასთან ნებისმიერ თემაზე საუბარი, მისგან ყოველთვის უსაზღვრო თავისუფლება და ხალისი მოდიოდა, უშრეტი დადებითი ენერგია. საერთო თითქოს არაფერი გვქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ გონზა თავისი ბოჰემური სილაღით და მე ჩემი პოსტსაბჭოური კომპლექსებით ძალიან ჩქარა და იოლად დავმეგობრდით. საათობით ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, მოგზაურობებზე, ბუნებაზე, უბრალო ქალურ საკითხებზე, წარმოიდგინეთ, პოლიტიკაზეც კი და მე, პოლიტიკურად ბეცს, აზრადაც არ მომსვლია, რომ ჩემი მშვენიერი ახალგაზრდა კოლეგა, რომლის ნააზრევსა და მსოფლმხედველობას ძირითადად ვიზიარებდი ხოლმე, მაინცდამაინც მარქსისტი აღმოჩნდებოდა.

ამ ხმამაღალი განცხადების შემდეგ, კომუნისტი და მარქსისტი ვარო, გონზა ოსმანის მთელი მოხსენება ისე მოვისმინე, როგორც რომელიღაცა ორგანიზაციის წესდება, რომელიც, როგორც წესი, ნაკლებად შეესატყვისება ხოლმე რეალობას და ასევე მეტნაკლებად სრულდება. ვისმენდი და მეცინებოდა. რაზე? აი, თურმე რაზე: ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რამ განაპირობა გონზა ოსმანისადმი ჩემი ამგვარი მიზიდულობა. იგი, როგორც ჩვენში ამბობენ ხოლმე, „იდეინი“ კომუნისტია. ისეთი კი არა, ჩვენი თაობის საბჭოთა სუროგატი კომუნისტები რომ იყვნენ, არამედ ისეთი, კომუნიზმის გარიჟრაჟის დროს ძმობა-ერთობა-თავისუფლებისათვის რომ ღვრიდნენ სისხლსა და ოფლს მთელ მსოფლიოში. მისი კრედო, ფრაზეოლოგია და მსოფლმხედველობა ძალიან გავს გურულს, ესე იგი, ჩემ მშობლიურს, ხოლო გურული ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, კერძოდ, დროის კონცეფციაზე ზურიკელასა და ილარიონის მსჯელობას თუ დავესესხებით, დაახლოებით ასეთ დასკვნამდე მივალთ: 30 წლის წინ ხომ ვიყავი მე სოციალიზმის პირმშო და საბჭოური „კომუნიზმის“ ნაყოფი? ვიყავი! 30 წლის წინ ხომ იყო გონზა განვითარებული კაპიტალიზმისა და ლპობადი ბურჟუაზიის ნაყოფი? იყო! ხომ ვარ ახლა მე განვითარებადი კაპიტალიზმის საწნახელში გაჭყლეტილი „იზაბელა“ და ქართული დემოკრატიის დაუღვინებელი მაჭარი? კი! ჰოდა, რა განსხვავებაა, აბა, ჩემსა და გონზას შორის? არაფერი! რა მნიშვნელობა აქვს, მე და გონზას შორის ვინ კომუნისტია და ვინ ჯერაც ჩამოუყალიბებელი დემოკრატი? არაფერი! ჰოდა შეგვეწიოს, აბა, ორივეს სამი სახარება. უი, არა, გონზა ხომ, როგორც ნამდვილი კომუნისტი და მარქსისტი, ყველაფერთან ერთად ათეისტიცაა და რაც სახარებაზე ვთქვი, ამ შემთხვევაში, არ გამოდგება.

მარქსზე გამახსენდა: სამოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა მამაჩემი მწერალთა კავშირის მდივანი გახლდათ და საქართველოში ეროვნული მოძრაობა მძვინვარებდა, ქართველ ახალგაზრდა მწერალთა ერთი ჯგუფი ძალიან აგრესიულად ეკვეთა მწერალთა კავშირის მაშინდელ გამგეობას ეგრეთ წოდებული „მწერალთა კოლმეურნეობის“ დაშლის მოთხოვნით. თავმჯდომარემ მეამბოხეები მამაჩემისკენ გადმოამისამართა, ახალგაზრდობის საკითხები ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნისო. გაბრაზებულებმა და წვერმოშვებულებმა გეზი ახლა მამაჩემის კაბინეტზე აიღეს. ყვიროდნენ, მოთხოვნებს აყენებდნენ და მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდნენ. მამაჩემმა უსმინა, უსმინა, მერე ახედ-დახედა და... გამოდით, ბაღნებო, ბუჩქებიდან და ისე მელაპარაკეთ, თქვენი წვერების არ მეშინია, მარქსის წვერებზე ვარ გაზრდილიო — უთხრა. წვეროსნები დაიბნენ, მერე რამდენიმეს თურმე სიცილი წასკდა, მათ სხვებიც აჰყოლიან და განიმუხტა ასე დაძაბული სიტუაცია. ბოლოს ისე შეთამამებულან ერთმანეთს, მამაჩემს ურჩევია, ძმებო, ეს მწერლების სახლია, ამას მოვლა და შენახვა ჭირდება, რევოლუცია, ნგრევა და დაშლა თუ გინდათ, გვერდით კომკავშირის ცეკაა და იქ შეცვივდითო.

გონზა რომ ერთი და განუმეორებელი იყოს, კიდევ გაუძლებდა კაცი — რა მოხდა, გადაირია ერთი თურქი პოეტი ქალი და გაუვლის-მეთქი, ვიფიქრებდი, მაგრამ სადა ხარ, მისმა საჯარო განცხადებამ, კომუნისტი და მარქსისტი ვარო, კონგრესის მონაწილეთა თითქმის უმრავლესობა აღაფრთოვანა — ერთხმად დასცხეს, „ძირს უთანასწორობა და კაპიტალისტებიო!“ ზედ „ბანდერა როსაც“ დააყოლეს. მეც მათთან ერთად ვმღეროდი იმ განსხვავებით, რომ იმათ სიტყვებიც ზეპირად იცოდნენ, მე — არა. მელოდიას ავყევი და მარტო ბანდერა როსას გავკიოდი ხმის ჩახლეჩამდე.

ეს რა გაუგებრობაში აღმოვჩნდი, კაცო! იმისთვის დავანგრიეთ ეს 75 წლიანი ქვითკირით ნაგები სოციალიზმი, რომ მერე ერთი გზააბნეული კომუნისტისთვის დითირამბები მემღერა და დანარჩენ „მოქცეულებთან“ ერთად „ბანდერა როსა“ დამეგუგუნებინა? ან ის ინდოეთის რომელიღაცა რესპუბლიკა რამ გადარია, მარქსიზმი რელიგიად და მარქსი ბუდად რომ უღიარებიათ? ცალი თვალით მაინც შემაჭყიტა, როგორ ცხოვრობენ, რას ჭამენ, რას სვამენ, რას გვანან... არა, აშკარად „კომუნისტური ნოსტალგია“ შემეყარა (ასე შეაფასებდნენ ჩემ მოცემულ მდგომარეობას პროგრესულად მოაზროვნე ახალი ქართველები), თორემ, მართლა რა გონზა და მისი კომუნისტობა ან რა თომასი და მისი ინდოელი მარქსისტები ამიტყდა. დროზე უნდა ვიმკურნალო, თორემ ვატყობ, ეს განვითარებადი დემოკრატიაც სანატრელი გამიხდება.

* * *

აჩხავლებული შვილი შინ რომ მოგივა
და ჩაგიყაჭავს, ტოლბიჭებმა როგორ მიბერტყეს —
შენის მხრიდანაც ერთი ქისტი არას ავნებდა!

ᲓᲝᲜ-ᲙᲘᲮᲝᲢ, ᲫᲛᲐᲝ

მტერ-მოყვარემ თანაბრად
მღლიტა, გამაჩანაგა;
ჩანგმაც სული განაბა,
მოსეირე ქირქილებს.
აღარსაით მიხარის,
ვაკრაჭუნებ ქვის კბილებს...
ვის ვეომო, მითხარი —
ქარს თუ ქარის წისქვილებს?

ᲤᲐᲠᲓᲐᲒᲘ

შინ ფარდაგი გვაქვს ძველებური,
რომელზეც ერწოელ ფეიქრებს
თავიანთი სახელებიც ჩაუქსოვიათ.
მათ ეძღვნება ეს ლექსი.

გარდასულ ჟამთა ყვავილნო,
ქალნო — მატროვ და დარიავ,
თქვენი ნაბეჭვი ფარდაგი
ფშავის მზეა და მთვარეა!
ალაგ — ბულბულთა ყეფაა,
ალაგ — ხოხბების ქარია!..
სულ თქვენთვის მიბრალებია,
რაც ობლად გამიხარია.
ჟინვალს არაგვი აჟღივლებს,
თერგი ჩაღმუის დარიალს...
რომც იქცეოდეს ქვეყანა,
ამ ჭერქვეშ მაინც დარია!

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲒᲐᲓᲐᲙᲠᲣᲚᲘ

ბოლომდე გაჯდა ჯავრი ჯანში, წახდა იღბალი;
ვეჯაჯგურები წარსულის კარს, ლამის ვიბღავლო!
ვით გაგვაბრიყვებს სიყვარული, რას არ გადაგვყრის...
სახრეზე მეტად გეშინოდეთ სიტყვის გადაკვრის.

* * *

როცა ამდენი მხვრინავია,
თან ცივ ბინაში,
მოდი და იპოეზიე!

* * *

ვერ დავეხსნები, ბევრს რომც ვეცადო,
ივრის ნაწოლზე დარჭობილ პალოს...
იქ უნდა ვეგდო და იქ ვიწვოდე,
საცა ძეძვი და ძახველა ხარობს!..
ნუ გამაოგნე, ჩემო ოცნებავ,
ნუ ამომივსე ოქროთი ხარო! —
მეცვას ისევ ეს ჯღანი და ჯვალო,
რომ ბეჩაობით მოვრჩე ცხოვრებას!

* * *

იოსებ გარაშვილს

უძილო ღამის ჭირიმე —
ცხრა ცის კარს გამიყვანაო;
მთვარე გაძენძილ ღრუბლებში
მთვრალივით დაბარგანაობს!
ერთი, იორიც განახათ —
რა აფთარს დაემგვანაო!..
აგრემც თქვენ გამილაღდებით,
ჩემო ცხვარო და ყანაო!

* * *

სულმა სივრცე გადაჩრდილა,
ცხრა მთა გადაიარა;
აღარც თემი გამაჩნია,
აღარც თმენის ფიალა...
ეს რა ჯადო ავიკიდე,
რა ბოღმა და იარა! —
სხვა რომ გიყვარს, იმას ვჩივი,
ჩემს სიყვარულს — კი არა!

* * *

ორი ყურუმსაღი — ყური და ენა,
კაცთა უპირო ასონი, ფრიად...
არავინ უწყის, მათი წყალობით
რამდენი მზერა შეერწყა წყვდიადს!

* * *

ცას ავცქერი — უფლის ტილოს,
ლექსის დახატვასა ვცდილობ;
მეძალები, როგორც ღვინო;
ვაგლახ, სიმშვიდევ და ძილო!
შენ უნდა ნათელი ჰფინო,
მე ურვა და ცრემლი ვზილო,
ჩემო უდაბნოვ და გრილოვ,
ჩემო აკრძალულო ხილო!

* * *

აპრილმა ხაწირს დააწო თვალი,
იქვე, ბოგირქვეშ, საჭურე ჩქამობს...
და მეც მედება წადილის ალი
ეგზომ უზადო ამინდის გამო!
ცა თავს იწონებს შვიდფერა რკალით
და გულის კარი ჭრიალებს ამოდ;
აგე, ალვაზე ამძვრალა ქარი
და შენს სარკმელში შეჭვრეტას ლამობს...
ბრალია, ახლა არ გყავდეს ქალი!

ᲡᲐᲓᲦᲐᲐ ᲬᲘᲙᲕᲚᲘᲐᲐᲜᲗᲙᲐᲠᲘ

წიკვლიაანთკარს როს ვეწვიე პირველად, გჯერათ —
კაცობრიობის გარიჟრაჟი ფშვინავდა ჯერაც!
პირუტყვი, ტყის პირს მიშვებული, ართობდა მზერას,
მაღლიდან თვალს არ აშორებდა კრუხ-წიწილს — ძერა.
მწირ მიწურში კი — დიდი ტახტი ათი ლოგინით;
დიახ, ათი მზე, ათი შვება და მოლოდინი!..
აქ არ ვყოფილვარ ბარე ოთხჯერ ათი წელია,
სადღაა წიკვლიაანთკარი — აღარ წერია!

* * *

ამ ნახევარს ყოფისას,
ისე გადავალაჯე —
არც ხელმწიფე ვყოფილვარ,
არც ხელმწიფის დარაჯი!
მთელი ჩემი ქონება
ცრემლით აიწონება;
მამულს ჭკუა-გონება
ვაგლახ, ვერ მოვაწონე!

თუ რამ მზოგავს — მაღალი
სვეტიცხოვლის მშვენება...
არ ყოფილა ჭაღარა
დიდი საშინელება! —
ჯერაც ვნება და სევდა
გულის ჯამით მიჭირავს...
სიყვარულში ისევ და
ისევ გრუზა ბიჭი ვარ!

ᲐᲘᲠᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ფინთად რასმე მეფარჩხება
ჯავრი — ჟამის კახპა;
ფრჩხილისტოლა ნეტარებაც
სანატრელი გახდა!
ურწმუნობამ დაივანა
გამოღმა და გაღმა;
გამიცუდა პაემანი
სევდიანმა ბაღმა...
გაფიქრებაც აღარ მინდა
იმ წლისა და ამ წლის;
ნაცრემლარზე გაბიბინდა
ფათალო და ანწლი.
სად ხარ, ისიც აღარ ვიცი,
იქნებ გათოვ-გაწვიმს...
ჰა, ეს გული, მაგრა იწვის,
თუ შეცივნდე — დაწვი!

* * *

გამომძალა ჟამმა ურცხვად —
რაც მებადა — ყოველი!
და მოგონებებსღა ვფურცლავ,
ვით ბიბლიურ ნოველებს.
შენი ლექსი ვიღას უნდა,
ან სოველი თვალები,
ან წვიმები იაგუნდის
და სადაფის ქარები?!.
არ მენახე ნეტავ სულაც —
დაჭკნა ჭრელი ფარდაგი;
მკვდარიც კი ვარ, მაგრამ სული
სხეულიდან არ გადის!

ᲧᲝᲤᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ

აღნაგობით — ჰელიოსი,
ბონაპარტი — პროფილით,
წამის-ყოფით — გენიოსიც
რა თქმა უნდა, ვყოფილვარ!
წამით ბუკი, წამით ჭიგო,
წამით კიდევ თოფი ვარ!
ჰოდა, რატომ უნდა ვიყო
ყოფით უკმაყოფილო?

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ „ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲛᲝᲧᲛᲘᲡᲐ

შოთა გამცემლიძეს

ცა იწვის; ირგვლივ შემაზრზენი სიჩუმე დაძრწის!
ამ სიჩუმიდან ნადირივით გამოძვრა ტანკი;
ამ სიჩუმეში მახვილივით იელვა კაცმა
და დაუნდობლად შეეტაკნენ „ვეფხვი“ და მოყმე...
რკინა და ხორცი შეადუღა ხელის ყუმბარამ! —
ეს ყველაფერი მოხდა წამში, ან უფრო უცებ.
იქნებ არც მოხდა არაფერი, ეჩვენა იქნებ
თვალს მითიური სანახაობა?!
ცა დაცხრა; ცივი, შემაზრზენი სიჩუმეც დაცხრა
და უკვდავებამ გასცა ამბავი!

მწერალი

ლუკა ბაქანიძე

ლუკა ბაქანიძის „მესამე ნაპირი“ ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც ბოლო დროს წამიკითხავს. იშვიათად, რომ ავტორმა პირველსავე დიდ რომანს ასე წარმატებით გაართვას თავი, ზუსტად გადმოსცეს სათქმელი, შესანიშნავად ააგოს, არაერთი აქტუალური თემა, პერსონაჟის ცხოვრება მოაქციოს ტექსტში და მთლიანობა ოდნავაც არ დაირღვეს, დაუვიწყარი სახეები შექმნას, ეგრეთწოდებული არალიტერატურული ენა ისე გამოიყენოს, რომ ზედმეტობას, ვულგარულობასა თუ უგემოვნობას გადაურჩეს, ზოგადი სათქმელი კონკრეტულ ამბებში მოაქციოს, მთელი თხრობის მანძილზე შეინარჩუნოს რიტმი, დინამიზმი, ყოველ თავში კულმინაციამდე განავითაროს სიუჟეტი. აღარაფერს ვამბობ შინაარსზე — დიდი გაუცხოებისა და დიდი სიყვარულის, დიდი დაცემისა და უმანკოების საოცრად საინტერესო ამბავზე. როგორ იქმნებოდა „მესამე ნაპირი“ — ამ და სხვა თემებზე ლუკა ბაქანიძე გვესაუბრება.

— ლიტერატურის არაერთი მცოდნე და პროფესიონალი მკითხველი ამბობს, რომ „მესამე ნაპირს“ ნამდვილად აქვს ის ღირსებები, რაც ხშირ შემთხვევაში აკლია მსოფლიო თანამედროვე რომანს — ენერგია, მკითხველზე ზემოქმედების უნარი, სიუჟეტი. შენზე ცოტა რამ ვიცით. როგორ მიხვედი „მესამე ნაპირამდე“?

— არა მგონია, ჩემი ცხოვრების პერიპეტიებმა დააინტერესოს მკითხველი. ლიტერატურას რაც შეეხება, თუ სწორად მახსოვს, შვიდიოდე წლის წინ კარგმა კაცმა, მალხაზ ხარბედიამ, დამიბეჭდა ლექსები „არილში“ და მას მერე ლიტპერიოდიკაში დროდადრო ვაქვეყნებ პოეზიას, ნოველას, თარგმანს თუ წერილს. სახლში ჩემს შემოქმედებას არ ვაჭაჭანებ, რადგან სიმართლე გითხრა, ჭირის დღესავით მძულს ჩემი ლიტერატურული საქმიანობა და საერთოდაც, გარკვეული მატერიალური ინტერესი რომ არ გამაჩნდეს, ახლა ერთ-ორ კაცს თუ ეცოდინებოდა ლუკა ბაქანიძის ფიზიონომია, როგორც მწერლის, რადგან მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი კოშმარი, რაც მწერალს შეიძლება დაემართოს — საჯაროობაა. და ეს ჩემი რწმენა, საბედნიეროდ, ჩემს ხასიათსაც აბსოლუტურად ემთხვევა. ანუ, როგორც ერთი ჩემი პერსონაჟი იტყოდა: „ტრაკის თამაში არ მიყვარს“. ჩემს პირველ მიღწევად კი შეიძლება ჩაითვალოს ლექსების კრებული „ღმერთი ჩემი, მოხეტიალე,“ რომელიც ჩემთვის ძვირფასმა ადამიანმა, ნაირა გელაშვილმა და „კავკასიურმა სახლმა“ გამოსცა — და ამ კრებულის ფინალისტობა „საბაზე“ 2011 წელს. „მესამე ნაპირის“ ხილვაც გამიხარდა „საბას“ ფინალში, გულწრფელად ვიტყვი, ძირითადად, საპრიზო თანხის რაოდენობის გამო.

„ღირსებებს“ რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ ეს უბრალოდ კარგი პროზაა, შეიძლება ზედმიწევნით ნატურალური და დროისა და ვითარების ადექვატური. ამ რომანით შევეცადე, ერთხელ და სამუდამოდ დამეფიქსირებინა ის, რასაც აქამდე მხოლოდ ბუნდოვნად და არასრულყოფილად, კონტურის სახით ვხედავდი, კერძოდ — თანამედროვე ქართული ლიტერატურა. საერთოდ, დღევანდელ პოსტმოდერნისტულ რეჟიმში, თავისი ალუზიურობით, კლასიკური ტექსტების გარემიქსებით თუ სიუჟეტის არარსებობით, ძალიან იოლია მიმალო უნიჭობა, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებოდი და ახლაც ვაწყდები თანამედროვე პროზაში — შემოქმედებით ცვედანობას, რაღაცნაირ კომპოზიციურ მოუმთავრებლობას, თავის ვერ მობმას, შეუკვრელობას ვგულისხმობ, რაც პოსტსაბჭოთა ქართულ ხელოვნებას ახასიათებს. ზოგადად ვამბობ, თორემ ერთი-ორი გამონაკლისი ყველგან მეგულება. საერთოდ, ჩემს თავს, დიდი ხანი, პოეტად უფრო მოვიაზრებდი და ახლაც მოვიაზრებ, და ვაპირებდი ლექსების, ან ოდესმე — ჯანდაბას და — ნოველების სახით ჩამომესხა მასალა, როგორც „ღმერთი ჩემი, მოხეტიალეს“ შემთხვევაში.

— „იშვიათად შეხვდებით ახალგაზრდა ავტორთან ისეთ მყარ ფორმას, როგორიც ამ წიგნშია“ — ასე შეფასდა შენი პოეტური კრებული. რამდენიმე ლექსი წავიკითხე, სრულებით სხვა ტიპის ნაწერია —მყარად ნაგები, სერიოზული.

— სხვათა შორის, სწორი შენიშვნაა და ლექსებიც მეტისმეტად პროზაული, მიწიერი მაქვს: ღრუბლებში ფრენა არ მეხერხება მაინცდამაინც. რასაც ვხედავ და ვიცი, იმას ვწერ. ვცადე წარმოსახვის მოშველიებაც, მაგრამ სასტიკად ყალბი გამომდის, არა ჩემეული, და შევეშვი ბოლოს. სადაც მიწას ავცდი, ახლა რომ ვუყურებ, ჩემი იმგვარი პოეზიაც მესუსტება. აგერ „მესამე ნაპირიც“ ხომ თხემით ტერფამდე მიწაა, ამ სიტყვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით; სწორედ მიწა აკლდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას და აჰა, შევმატე კიდეც.

— ერთი ადგილია „მესამე ნაპირში“, სადაც ჯიოლენდი ყვება, როგორ ახასიათებს ჩემისმწერალი თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ბოლოს ამბობს: „...ამ ტელევიზორის არჩივ ნაროდს კიდევ — კითხულობ, კითხულობ და ერთი შეხედვით ხომ ხუთიანზეაო თითქოს თუ თითქმის ყველაფერი, სხლავენო მასტები სიტყვებს და ფრაზაკომპოზიციებს, მაგრამ თუ მოიცალე და ყურადღებით ჩაუჯექი, არააო მთვარე ბოლომდე სავსე, ნეხვატკა რჩებაო: არ სუნთქავს ნაწერი, მუსიკა არ მოაქვს,



„ ფრენა არ მეხერხება “

არადა ესაო მწერლობის მთელი მაგია — სული და მუსიკა. მაგას კი სხვა თოფისწამალი სჭირდებაო.... თუმცა, მოძრაობს მაგ სანახებში სამი-ოთხი ადამიანი და მარტო თოფისწამალი კი არა, მთელი არტილერია ულაგიათ თავისი ზარბაზნებიანადო, მაგრამ სხვა დანარჩენების გადამკიდე, ამ მოჯადოებული ქვეყნის ხელში, უჭირთო, ფოკუსს ვეღარ აჯენენო ნაღდში: ხან ალთას უბერავენ, ხან ბალთას და ხანაც ორივეს ერთადაო, არადა, მარტო ეგ ხალხია თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ვდარდობო ამბავზე, ჩემდათავად და ათასი წელიო“...

— ქართულ ლიტერატურაზე გამოვთქვი უკვე რომანში ჩემი აზრი, მაგრამ ახლა ცოტა აკადემიურად ვიტყვი: პირველ რიგში, ტექსტში — თუ ისე მივუდექი, როგორც კრიტიკოსი თუ რედაქტორი, არადა არცერთად არ ვფიქსირდები საბედნიეროდ, სად მაქვს მაგის ნერვები — ყურადღებას ვაქცევ განვითარებადობას, ანუ თავად ავტორის შემოქმედებით პოტენციალს, რაც შეიძლება, სულ რამდენიმე დეტალში გამოჩნდეს.ამიტომ, მოდი, „ძველგაზრდა“ ავტორებზე აღარაფერს ვიტყვი, რამეთუ ქართულ ლიტერატურაში უკვე ნათელია მათი პლატფორმა თუ ადგილი, გამოკვეთილია მათი სტილი თუ ძალა, შემოქმედებითი შესაძლებლობა და მადლობა მათ ყველაფრისთვის. თან, მე რომ ახლა, მაგალითად, მივადგე და სიტყვაზე, ჯავახიშვილი ან გამსახურდია ვაკრიტიკო, და დავამატო, რომ კლდიაშვილი უფრო დიდ მწერლად მიმაჩნია, ვიდრე ორივე ერთად აღებული, ამისათვის ამ ეტაპზე გამბედაობა არ მეყოფა, ამიტომ აგერ, ჩემებზე ვიტყვი და ჩემ გარშემო რასაც ვხედავ: გვყავს, საბედნიეროდ, კარგი ავტორები, მაგრამ მათი ნაწარმოებების კითხვისას, ხშირად დამრჩენია განცდა, რომ მოცემული ტექსტის ავტორი სადღაც სხვა სივრცეში, მეორმოცე თუ მესამე საუკუნის უგანდაში ზის და ისე წერს, ანუ მხედველობაში მაქვს დროის და გარემოს, სოციალური ფონის აბსოლუტურად არაადეკვატური ტექსტები, გნებავთ თემატურად და გნებავთ სტილისტურად. და ეს მაშინ, როდესაც 21-ე საუკუნის საქართველო ნაღდი პოეტისთვის თუ ჯოჯოხეთია, პროზაიკოსისთვის სამოთხეა, აღთქმული ქვეყანა, სადაც განძრევაც არ გჭირდება კაცს, თავისით მოდის ზღვა მასალა... და აქეთაც კიდევ, კორექტორები, ვითომ ქართული მართლწერის დამცველები, პირიქით — დათვურ სამსახურს რომ უწევენ თანამედროვე ტექსტს, რომელსაც ჯერ კიდევ სპეციფიკური ტექსტი ჰქვია რატომღაც, და წარმოდგენაც არ აქვთ, უთვალავი მძიმეებით გადახერგილ წინადადებაში თუ დიალოგში როგორ იშლება მთელი ფრაზეოლოგია, ფერხდება ტექსტის მთელი ორგანული მედინობა და ბოლოს ხელში გვრჩება ხიბლგამოცლილი და მშრალი ბუტბუტი, თითქოს სახელმძღვანელოს კითხულობდე ბლუებისთვის. წამიკითხავს ასეთი წამხდარი ნაწარმოებები, კარგი ახალგაზრდა მწერლების დაწერილი, და, როგორც იტყვიან – სევდაც შემომწოლია.

— და კარგ ახალგაზრდა მწერლებად ვინ გეგულება?

— და კარგ მწერლებად მეგულებიან: ანა კორძაია-სამადაშვილი, ძალიან საინტერესო მწერალი და ადამიანი, ასევე ბესო ხვედელიძე, ნომერ პირველი ნოველისტი მათ შორის, ვინც მე ვიცი. კიდევ აკა მორჩილაძე, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად მიმაჩნია რეგიონში, ოღონდ მარტო იმიტომ, რომ „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ დაწერა. ნაირა გელაშვილი, ევროპული რანგის მწერალი, რომელიც ცოტა უფრო კომპაქტურად რომ წერდეს, მსოფლიო მასშტაბზეც გავიდოდა თავისუფლად. ლაშა ბუღაძე თავისი „ვან გოგის ყურით“, თუ არ მეშლება სათაური, შესანიშნავი ნაწარმოებია და ახლაც მშვენივრად ანათებს ეს კაცი დროდადრო, მეტადრე დრამატურგიაში. ზაზა ბურჭულაძე, რომელიც, როგორც ავტორი მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ მისი კითხვისას არ მტოვებს შეგრძნება, რომ სინამდვილეში ბევრად უფრო ძლიერი მწერალია და მკითხველს ეკაიფება რატომღაც. კიდევ: თამთა მელაშვილი, ზვიად რატიანი, გიორგი ლობჟანიძე, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ბოლო ათწლეულის ქართული ლიტერატურის ისტორიაში — თარგმნა ყურანი, თან მშვენივრად თარგმნა.ასევე უფრო ახალგაზრდა, ჩემი თაობის მწერლები: ლადო კილასონია, სუფთა და ნათელი ტექსტების ავტორი და ასეთივე ადამიანი, ის რაღაცით ინანიშვილს მაგონებს. უჩა ზაქაშვილი, რომლის რომანები არ მომწონს, მაგრამ ნოველები კარგი აქვს. დებიუტანტი ავტორი იუნონა გურული თავისი მოკლე და მკაცრი პროზით. აგერ კიდევ ძლიერი და რაც მთავარია, კარგად განვითარებადი პოეტები: კატო ჯავახიშვილი, ნინო სადღობელაშვილი, ლელა სამნიაშვილი, პაატა შამუგია, დიანა ანფიმიადი და ერთი-ორიც გამომრჩა უეჭველი, მერე გამახსენდება და ვინანებ, ვიცი, ან აქეთ მანანებენ.ასევე ჩემთვის და ქვეყნისთვისაც უმნიშვნელოვანესი ადამიანი და პოეტი — მარტო და მხოლოდ პოეტი ყოველგვარი ზედსართავის და განსაზღვრების გარეშე, კაცი, რომელიც მეამაყება — ბესიკ ხარანაული. ასევე ლია ლიქოკელი, რომელსაც მკითხველი და ლიტერატურული საზოგადოება იცნობს როგორც პოეტს, მაგრამ მე წამიკითხავს მისი პროზაული ნაწარმოებები, თვალს ვადევნებ მის პოსტებს სოციალურ ქსელებში და ჩემი აზრით, მომავალ ძალიან ძლიერ მწერალთან უფრო გვაქვს საქმე. და საერთოდ, რომ არ მოვიტყუო, არა მგონია 21-ე საუკუნის მსოფლიოში, და მეტადრე საქართველოში, პოეტი გასცდეს საშუალოობას, ძალიან ძნელია. ნაღდი ლექსების წერას სხვა სულიერი პლატფორმა სჭირდება, სხვა მანძილი, სხვა ცხოვრება, და ამის ნებისყოფა არა მგონია, ვინმეს ეყოს, განსაკუთრებით ახალგაზრდას: საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი და ვეღარ გავუძელი, ისევ პროზას მივემარჯვე გადასარჩენად... თუმცა, ამ ქვეყანაში ერთი გამონაკლისი მეგულება ღვთით. ზემოთაც მოვიხსენიე უკვე.



— მსოფლიო ლიტერატურაშიც გყავს რჩეულები?

— მსოფლიო ლიტერატურას რაც შეეხება, მყავს ბევრი საყვარელი მწერალი და პოეტი, მაგრამ ახლა მხოლოდ რამდენიმე ავტორს ვიტყვი, რომელთა ნაწარმოებებს ჩემთვის ბიბლიაზე არანაკლები — მეტი თუ არა — რელიგიური დატვირთვა აქვს; იმედია, ამ სიტყვებს ცუდად არ გამიგებს მავანი — ჭეშმარიტად შედევრად მიმაჩნია ბიბლია, ოღონდ მხატვრული თვალსაზრისით; ისევე, როგორც ყურანი; ისევე, როგორც ბჰაგავატგიტა... მოკლედ, რას ვამბობდი: ლიტერატურა, რომელსაც ჩემთვის რელიგიური დატვირთვა — ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით — აქვს-მეთქი, ვგულისხმობ მარკ ტვენს თავისი „ჰეკლბერი ფინით“, ასტრიდ ლინდგრენს თავისი „სალტკროკელებით“, სერვანტესს — „დონ კიხოტით“, ასევე რაინერ მარია რილკეს თავისი ორფეოსის სონეტებით და დუინური ელეგიებით, ახმატოვას, ვაჟა-ფშაველას თავისი „გველისმჭამელით“... და წლევანდელი ჩემი აღმოჩენა იყო ცნობილი ნორვეგიელი ავტორი იენს ბიორნებუ თავისი ტრილოგიით. გავრეკე, ისე მეამა, მიუხედავად მისი კომუნისტური გადახრებისა. მის „სიჩუმეს“ სიამოვნებით მოვაწერდი ორივე ხელს.

— შენი ჯიოლენდი ლიმონის, „ვოტკის“, კოცონისა და ტუჩის გარმონის გარეშე წარმოუდგენელია. შენთვის თუ არის ეს ატრიბუტები ინსპირაციის წყარო?

— ლიმონი, „ვოტკა“, კოცონი, ტუჩის გარმონი... ეს უკვე ჩემი მეორე ცხოვრების ატრიბუტებია, ასფალტის მიღმა ცხოვრების, რომელსაც უკვე ადრეულ თინეიჯერობაშივე, ჯერ კიდევ „მესამე ნაპირამდე“ შევეჩვიე და შემიყვარდა. საერთოდ, რაც თავი მახსოვს, სულ სახლიდან სახლში, უბნიდან უბანში, სკოლიდან სკოლაში, ლოკაციიდან ლოკაციაში გადავდიოდი და ახლაც ასე ვარ, მაგრამ მიჩვევის მომენტი ყოველთვის იყო ზერო. ნული. ასე ვთქვათ — მეკიდა. და ერთადერთი ადგილი და გარემო, სადაც აბსოლუტური კომფორტის და შინაურობის განცდა მაქვს, სადაც, როგორც თევზი წყალში ისე ვგრძნობ თავს, არის ტყე, წყლისპირები, ბუნება, კოცონი და კარავი. მოკლედ— ადამიანი და სამყარო, პირისპირ და ყოველგვარი ტვინის გამოსალაყებელი მინარევების გარეშე, რასაც თანამედროვე მსოფლიო ასე უხვად, ასე ისტერიულად გვთავაზობს. სწორედ წყლისპირებიდან, კოცონისპირებიდან იწყება მთელი ჩემი მწირი შემოქმედება, ეს გარემოა ჩემი მთავარი მუხტი. რაც შეეხება — ვიცი, რომ ბავშვურად და სასაცილოდ მოჩანს ეს ყველაფერი, მაგრამ —ლიმონის, „ვოტკის“, კოცონის და ტუჩის გარმონის კომბინაციას აქვს რაღაც საკრალური დატვირთვა; ერთგვარი ასტრალური კომუნიკატორია ჩემთვის ძალიან ძვირფას დროის მონაკვეთთან და იმედია, მკითხველი შემინდობს ამ უკიდეგანო ინფანტილურობას.

ესაუბრა თამარ ჟურული

ვასო გულეური

ცხენუსი

ცხენი გაწყრა — რით მჯობია
ნეტავ, ვირი ყურპანტურა?
ეგ ყროყინა, შესაჭმელად
აგრემც დარჩეს მგელს და ტურას.

ხომ ღირსია, ბუზანკალთა
მთელი გუნდი მივუსიო?
ყველა იმას გაიძახის —
დამემართა ვირუსიო!

რაღა ვირი!.. უკეთესი
არაფერი შეგემატოთ!
რა იქნება, ყველას ერთად
ცხენუსი რომ დაგემართოთ!

მელას კრედიტი

მელამ „საქათმის ბანკიდან“
გამოიტანა კრედიტი.
სოროს აშენებს ტყის პირას,
გული სიხარულს ვერ იტევს.

ორსართულიან სოროში
ევრორემონტიც ექნება
და ბოლო მარკის მანქანის
თანხაც შემორჩეს, ეგება.

მაგრამ, სურვილებს შეეჭრა
ფრთები ორიოდ თვეშიო —
მელა ბჭობდა და მამალი
ყიოდა საქათმეშიო,

„საქათმის ბანკში“ მელიას
უთხრეს — დავარდა კურსიო,
ქათმის კვერცხებში პროცენტად
გვინდა კვერცხები კუსიო.

მელა რის მელა იქნება,
კრედიტის გამო ეჯავრა —
მამალიცა და ქათმებიც
სულ სათითაოდ შეჭამა.

პატარა ენოტის სიმღერა

საბავშვო ბაღში ენოტი
თავის დედიკოს ელოდა.
მაგრამ არ მოუწყენია,
მთელი დღე ასე მღეროდა:

— ჩემი დედიკო ენოტი
არის თბილი და ფაფუკი,
ჩემი დედიკო ენოტი
ტკბილია, როგორც ბამბუკი.
ჩემი დედიკო ენოტი
არის კეთილი ფერია.
ჩემი დედიკო ენოტი
ყველაზე საყვარელია!

საღამოს, როცა მოვიდა
ბაღში დედიკო ენოტი,
ჰკითხა პატარა ენოტმა,
— გაიგე, როგორ ვმღეროდი?

მინისტრთა ბუნაგი

ლომი ამბობს — დროა, რომ
დამხმარენი ვიპოვო
და მინისტრთა ბუნაგი
ჩამოვაყალიბოო!

საგარეო საქმეებს
ჩაიბარებს მელაო.
ტყის საზღვრების გადაღმა
ბევრჯერ გვასახელაო!

შემოსავლებს ვინ გაზრდის
სხვა, თუ არა მგელიო,
ბიუჯეტში თანხები
რომ არ გამოგველიოს?

ბუჩქთა მეურნეობას
ტურა გაუძღვებაო.
გამორჩენა ექნება,
ისე ვერა ძღებაო!

თუმცა, ცოტა დონდლოა,
შესწევს მარიფათიო.
ტყის შინაგან საქმეებს
მიმიხედავს დათვიო!

განათლების საკითხებს
მიხედვა არ სჭირდება.
განათლებულ ცხოველთა
მართვა გაგვიჭირდება.

არც ჯანდაცვას — ავადმყოფს
რაღამ უნდა არგოსო?
ავადმყოფი ბუჩქებში
უნდა შეიჭამოსო!..

სამინისტრო პორტფელი
მტაცებლებზე დარიგდა
და მინისტრთა ბუნაგი
ასე ჩამოყალიბდა...

არ გეგონოთ ზღაპარი,
რასაც ახლა გიყვებით —
ამ ბუნაგში ვერ მოხვდნენ
კურდღლები და ციყვები!

პინგვინეთი

არ იციან, როგორ მოხვდნენ,
რა გზით ანდა ვისი ნებით —
ცხელ, ქვიშიან უდაბნოში
დაბინავდნენ პინგვინები.

მიიხედეს, მოიხედეს —
არსად თოვლი, არსად ყინვა.
თევზიც არსად იშოვება,
არც სადმეა გასაყიდად.

ირგვლივ — ქვიშის ბარხანები,
არსად მოჩანს აისბერგი.
რაღაც უნდა მოიფიქრონ,
ეს უდაბნო რადგან ერგოთ.

მხოლოდ ერთი ოაზისი,
რამდენიმე მწვანე პალმა.
ვერაფერი სანუგეშო
ვერსად ნახა მათმა თვალმა.





გადაწყვიტეს — განა თავად,
გარემო რომ გამოცვალონ.
ქვიშა თოვლით ჩაანაცვლონ —
დაისახეს ამოცანად.

— ჯობს, რომ ფრთები გავანძრიოთ
და სადარდელს თავს ნუ მივცემთ.
თოვლს ვიშოვით — ბოლო-ბოლო,
„ამაზონზე“ გამოვიწერთ.

წყალში თევზი მოვაშენოთ,
სანაქებო, კარგი ჯიში...
ყინული ვის გაუდნია
უდაბნოს და სიცხის შიშით.

ამ პალმაზე ერთი დიდი
თერმომეტრი ჩამოვკიდოთ.
ყინვაც გვინდა — ეს უდაბნო
უნდა გავაანტარქტიდოთ!..

სირაქლემა ქვიშაში ყოფს
თავს და გულში იგინება:
— მართლა არ გაანტარქტიდონ
ეს უდაბნო პინგვინებმა!

ვინ შეჭამა ვენახი?..

მოდი, ვნახოთ ვენახი...
ვინ შეგჭამა, ვენახო?
თხამ შეგჭამა? — რას ამბობ,
თხამ პირიც კი ვერ მახლო!

ანდა, როგორ შემჭამდა.
თხა სად არის თვითონვე?
რაც მგლები არ არიან,
ველარც თხა ვერ ვიპოვე.

— მგლები სადღა არიან,
დედამ ველარ დაზარდა?
ნუთუ, თოფმა ყველასთვის
დაიქუხა საზარლად?

— თოფი? აბა, რას ამბობ,
გახსენებაც ძნელია.
არ მსმენია თოფის ხმა,
მერამდენე წელია!

— თოფს არ დაუქუხია?
ვერ გავიგე, რა მოხდა!..
ყველა თოფი, რაც იყო,
ნუთუ ჟანგმა გამოხრა?!

— ჟანგი როგორ შეჭამდა,
რომ ვთქვა, გაგიკვირდება —
რაც არ არის, სხვა რამეს
როგორ მოეკიდება?

— არც ჟანგია? არ მეტყვი,
ბოლო-ბოლო, რა ხდება?
ახლა ვიცი, რომ გკითხო,
მიწაც აღარ დამხვდება.

ჰო, ასეა — არც მიწა
არის კარგა ხანია.
არც თაგვია, არც კატა...
ეს ლექსიც ახალია:

მოდი, ვნახოთ ვენახი...
მოდი, ვნახოთ თხა...
მხოლოდ ლექსი შემოგვრჩა,
არაფერი სხვა!

ბუზი

გაიღვიძა დილით ბუზმა
და მაშინვე ისაუზმა.

რა მიირთვა?
ერთი ვაშლი,
ორი კვერცხი — შავი ქათმის,
სამი ცალი იყო ძეხვი
(მდოგვით, მაგრამ მაგას არ თვლის).
ოთხი ჭიქა ყავაც შესვა,
დააყოლა ხუთი კექსი,
ბოლოს — თეთრი შოკოლადი,
რამდენი და — ზუსტად ექვსი.

საუზმე რომ დაასრულა,
თუმცა იყო ისევ დილა,
დრო ტყუილად არ დაკარგა
და მაშინვე ისადილა.

რა მიირთვა?
ყველაფერი,
რაც ბაზარში უყიდია!
როგორ ჭამა?
გამოცნობა
ახლა თქვენთვის მომინდვია!

მელაკუდას სორო

მელაკუდა კლიენტს ეძებს
— აბა, ვის გსურთ ბინაო?
სორო, სამოთახიანი,
უნდა გავაქირავო!

სულ ახლახან გავაკეთე
ქალაქური რემონტი.
თქვენი თვალით შეაფასეთ,
სანახავად შემოდით.

საცხოვრებლად თუკი გინდათ,
არის სრული კომფორტი —
ცხელი წყალი ონკანში და
მაცივარში — კომპოტი.

აბაზანა — გაწყობილი
ანტარქტიდის კაფელით...
ჩემი ხელით გამოვჭიმე
ტელეფონის კაბელი.

საოფისე ფართი გნებავთ?
ამაზე კარგს სად ნახავთ!
ისე, კიდეც მიჯობს, თუ თქვენ
აქაური არა ხართ.

ნეტავ, სულაც აფრიკიდან
ჩამოვიდეს აქლემი!..
უცხოელზე სხვა ფასია,
აქაურზე — ნაკლები.

ესეცა ვთქვათ — ტყის ცენტრია,
მშვენიერი ადგილი.
სამი მუხის მოედანზე,
მისასვლელად ადვილი...

როგორც ვატყობ, არავის სურს...
რად ვიყბედე ამდენი?!
თუ არ გინდათ, ამ სოროში
თავად დავბინავდები!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004